ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
5 ოქტომბერი შაბათი 2013
№235 (14 151) ფასი 80 თეთრი

## დელ ბოსკემ საჩვენო ჩამოთვალა

ტორესი, ლორენტე და სოლდადო სიაში არ არიან

4



# რეორგანიზაცია დინამოში

## ტყავაძე მოხსნეს!

### მწვრთნელად შეიძლება გეგუჩაძე ვიხილოთ... თუ ქეცბაია?



უჰრინიც ჩემოდნებზე ზის?

3





6

## იტალია სამ სპექტაკლზე გვეპატიჟება

იუვენტუსი-მილანი, ინტერი-რომა, ლაციო-ფიორენტინა

## ისევ უარი კისლინგს

ლიოვმა მთელ გერმანიას აწყენინა! შტეფანი თავისი შესაძლებლობების დამტკიცებას ბაიერთან შეეცდება



8

**06.10. ქუთაისი. ტორპედო — 15:00**

**ჩიხურა — სპარტაკი**

ურთიერთშეხვედრები: არ შეხვედრიან

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| სიონი-ჩიხურა | 2:2 (სჩ) |
| ლოკომოტივი-ჩიხურა | 0:3 (სთ) |
| ჩიხურა-დილა | 3:1 (სჩ) |
| მერანი-ჩიხურა | 3:2 (სჩ) |
| ჩიხურა-ზესტაფონი | 1:0 (სჩ) |
| დილა-სპარტაკი | 3:1 (სჩ) |
| ტორპედო-სპარტაკი | 2:2 (სთ) |
| სპარტაკი-ზესტაფონი | 1:0 (სჩ) |
| დინამო-სპარტაკი | 2:0 (სჩ) |
| მეტალურგი-სპარტაკი | 1:0 (სჩ) |

**06.10. ქობულეთი. ჩელე არენა. — 15:00**

**გურია — დილა**

ურთიერთშეხვედრები: 19: +8 =5 -6 (32:27)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| ზესტაფონი-გურია | 1:0 (სჩ) |
| გურია-მერანი | 1:2 (სთ) |
| გურია-მეტალურგი | 3:1 (სჩ) |
| საპოვნელა-გურია | 2:3 (სთ) |
| ტორპედო-გურია | 1:0 (სჩ) |
| დილა-სპარტაკი | 3:1 (სჩ) |
| დილა-დინამო (ბთ) | 1:0 (სთ) |
| ჩიხურა-დილა | 3:1 (სჩ) |
| ტორპედო-დილა | 0:0 (სჩ) |
| ზესტაფონი-დილა | 2:0 (სჩ) |

**06.10. განმუხური. — 15:00**

**ზუგდიდი — ზესტაფონი**

ურთიერთშეხვედრები: 19: +1 =2 -16 (9:39)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| მეტალურგი-ზუგდიდი | 1:0 (სჩ) |
| ზუგდიდი-ტორპედო | 0:0 (სთ) |
| კოლხეთი (ხ)-ზუგდიდი | დდ 2:1 (სთ) |
| დინამო-ზუგდიდი | 3:0 (სჩ) |
| ზუგდიდი-სიონი | 2:1 (სჩ) |
| ზესტაფონი-გურია | 1:0 (სჩ) |
| სიონი-ზესტაფონი | 1:0 (სთ) |
| სპარტაკი-ზესტაფონი | 1:0 (სჩ) |
| ზესტაფონი-სულორი | 5:0 (სთ) |
| ზესტაფონი-დილა | 2:0 (სჩ) |

**06.10. მცხეთა. მცხეთა პარკი. — 15:00**

**ვიტ ჯორჯია — მეტალურგი**

ურთიერთშეხვედრები: 21: +6 =5 -10 (18:25)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| ტორპედო-ვიტ ჯორჯია | 4:1 (სჩ) |
| შუქურა-ვიტ ჯორჯია | 1:0 (სთ) |
| ვიტ ჯორჯია-დინამო | 0:2 (სჩ) |
| სიონი-ვიტ ჯორჯია | 1:1 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-მერანი | 3:0 (სჩ) |
| მეტალურგი-ზუგდიდი | 1:0 (სჩ) |
| მეტალურგი-კოლხეთი (ფ) | 2:0 (სთ) |
| გურია-მეტალურგი | 3:1 (სჩ) |
| გაგრა-მეტალურგი | 1:1 (სთ) |
| მეტალურგი-სპარტაკი | 1:0 (სჩ) |

**06.10. სამტრედია. ე. მანჯგალაძე. — 15:00**

**მერანი — ტორპედო**

ურთიერთშეხვედრები: 6: +3 =0 -3 (8:8)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| დინამო (თბ)-მერანი | 4:2 (სჩ) |
| გურია-მერანი | 1:2 (სთ) |
| მერანი-სიონი | 2:0 (სჩ) |
| მერანი-სამტრედია | 0:0 (სთ) |
| მერანი-ჩიხურა | 3:2 (სჩ) |
| ტორპედო-ვიტ ჯორჯია | 4:1 (სჩ) |
| ტორპედო-სპარტაკი | 2:2 (სთ) |
| ზუგდიდი-ტორპედო | 0:0 (სჩ) |
| ტორპედო-დილა | 0:0 (სჩ) |
| ტორპედო-გურია | 1:0 (სჩ) |

**06.10. რუსთავი. ფოლადი. — 15:00 (LIVE მეორე არხზე)**

**სიონი — დინამო (თბ)**

ურთიერთშეხვედრები: 48: +4 =3 -41 (21:123)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| სიონი-ჩიხურა | 2:2 (სჩ) |
| სიონი-ზესტაფონი | 1:0 (სთ) |
| მერანი-სიონი | 2:0 (სჩ) |
| სტუ-სიონი | 2:5 (სთ) |
| სიონი-ვიტ ჯორჯია | 1:1 (სჩ) |
| დინამო (თბ)-მერანი | 4:2 (სჩ) |
| კოლხეთი (ხ)-დინამო (თბ) | 0:9 (სთ) |
| ვიტ ჯორჯია-დინამო (თბ) | 0:2 (სჩ) |
| დინამო (თბ)-სპარტაკი | 2:0 (სჩ) |
| დინამო (თბ)-ზუგდიდი | 3:0 (სჩ) |

**ჯამური სტატისტიკა**

| VII ტ | | სულ |
|---|---|---|
| 6 | მატჩი | 42 |
| 5 | მასპინძლების მოგება | 26 |
| 1(0) | ფრე (ნულოვანი) | 8(4) |
| 0 | სტუმრების მოგება | 8 |
| 20 | გოლები | 102 |
| 15 | მასპინძლები | 68 |
| 5 | სტუმრები | 34 |
| 3.33 | საშუალო შედეგიანობა | 2.43 |

**სულ**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გან | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო თბ | 7 | 5 | 1 | 1 | 15 | 6 | 16 |
| 2 | ტორპედო | 7 | 4 | 3 | 0 | 10 | 4 | 15 |
| 3 | ჩიხურა | 7 | 4 | 1 | 2 | 15 | 10 | 13 |
| 4 | მერანი | 7 | 4 | 0 | 3 | 11 | 11 | 12 |
| 5 | დილა | 7 | 3 | 2 | 2 | 10 | 8 | 11 |
| 6 | მეტალურგი | 7 | 3 | 2 | 2 | 7 | 9 | 11 |
| 7 | გურია | 7 | 3 | 0 | 4 | 6 | 9 | 9 |
| 8 | სიონი | 7 | 2 | 2 | 3 | 9 | 9 | 8 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 7 | 2 | 2 | 3 | 8 | 9 | 8 |
| 10 | ზესტაფონი | 7 | 2 | 1 | 4 | 6 | 7 | 7 |
| 11 | ზუგდიდი | 7 | 1 | 2 | 4 | 3 | 10 | 5 |
| 12 | სპარტაკი | 7 | 1 | 0 | 6 | 3 | 11 | 3 |

**შინ**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გან | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო თბ | 4 | 4 | 0 | 0 | 11 | 3 | 12 |
| 2 | მერანი | 4 | 4 | 0 | 0 | 9 | 3 | 12 |
| 3 | გურია | 3 | 3 | 0 | 0 | 6 | 2 | 9 |
| 4 | ტორპედო | 4 | 2 | 2 | 0 | 6 | 2 | 8 |
| 5 | დილა | 3 | 2 | 1 | 0 | 7 | 2 | 7 |
| 6 | მეტალურგი | 3 | 2 | 1 | 0 | 2 | 0 | 7 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 0 | 2 | 6 | 4 | 6 |
| 8 | ჩიხურა | 3 | 2 | 0 | 1 | 6 | 4 | 6 |
| 9 | ზესტაფონი | 3 | 2 | 0 | 1 | 5 | 3 | 6 |
| 10 | სიონი | 4 | 1 | 2 | 1 | 6 | 5 | 5 |
| 11 | ზუგდიდი | 4 | 1 | 2 | 1 | 3 | 4 | 5 |
| 12 | სპარტაკი | 3 | 1 | 0 | 2 | 1 | 3 | 3 |

**სტუმრად**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გან | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩიხურა | 4 | 2 | 1 | 1 | 9 | 6 | 7 |
| 2 | ტორპედო | 3 | 2 | 1 | 0 | 4 | 2 | 7 |
| 3 | დინამო თბ | 3 | 1 | 1 | 1 | 4 | 3 | 4 |
| 4 | დილა | 4 | 1 | 1 | 2 | 3 | 6 | 4 |
| 5 | მეტალურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 5 | 9 | 4 |
| 6 | სიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 3 | 4 | 3 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 3 | 0 | 2 | 1 | 2 | 5 | 2 |
| 8 | ზესტაფონი | 4 | 0 | 1 | 3 | 1 | 4 | 1 |
| 9 | სპარტაკი | 4 | 0 | 0 | 4 | 2 | 8 | 0 |
| 10 | მერანი | 3 | 0 | 0 | 3 | 2 | 8 | 0 |
| 11 | ზურდიდი | 3 | 0 | 0 | 3 | 0 | 6 | 0 |
| 12 | გურია | 4 | 0 | 0 | 4 | 0 | 7 | 0 |

■ **კვირის** მატჩების შემდეგ ჩემპიონატში ორკვირიანი პაუზა გამოცხადდება: მოგეხსენებათ, ამ პერიოდში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლო მატჩი უნდა ჩაატაროს ესპანეთის ნაკრებთან, ხოლო ახალგაზრდულ ნაკრებს თბილისში ორი ოფიციალური მატჩი ელოდება ჰოლანდიელ და შოტლანდიელ თანატოლებთან (შესაბამისად, 10 და 14 ოქტომბერს).
ვნახოთ, როგორ „განწყობაზე" შეხვდებიან ჩვენი მწვრთნელ-ფეხბურთელები კარსმომდგარ ტურს, რომელიც განსაკუთრებული იქნება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გუშინ საგანგებო განცხადება (სრულად სხვა მასალაში გაეცნობით) გააკეთა სოფელ დიცსა და დვანში ამ ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო. როგორც განცხადებაში ვკითხულობთ, ეს იქნება ქართული საფეხბურთო ოჯახის ხმამაღალი პოზიცია და სოლიდარობა დიცისა და დვანის მოსახლეობის მიმართ...

# სოლიდარობის ნიშნით...



შარშანდელი სიონი-დინამო (თბ) 0:5 დამთავრდა

## ჩიხურა-სპარტაკი

*დისკვალიფიკაცია: გიორგი გაბედავა (ჩიხურა); კონსტანტინე ხიზანეიშვილი (სპარტაკი)*

ეს ორი გუნდი საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში არასდროს შეხვედრია, არადა, „ჩიხურასა" და „სპარტაკის" მთავარი მწვრთნელები, უმაღლეს ლიგაში ყველაზე გამოცდილი სპეციალისტები **სოსო ფრუიძე** და **ვლადიმერ ხაჩიძე** ერთმანეთს არაერთხელ დაპირისპირებიან სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა გუნდის თავკაცების რანგში.

ერთი შეხედვით, ამ წყვილში ფავორიტად „ჩიხურა" უნდა მივიჩნიოთ,-კომფორტულ, მესამე საფეხურზე რომ მოკალათებულა. ამ დროს კი „სპარტაკი" კვლავაც ბოლო ადგილზეა, თუმცა ცხინვალელთა გუნდის მდგომარეობას კრიტიკული ჯერ მაინც არ ეთქმის.

## გურია-დილა

*დისკვალიფიკაცია: არავინ*

სამწუხაროდ, „გურია" კვლავაც ვერ ახერხებს საშინაო მატჩების ლანჩხუთში ჩატარებას; თუმცა, უმაღლეს ლიგაში 11-წლიანი პაუზის მერე დაბრუნებულმა გუნდმა **დავით მახარაძის** ხელმძღვანელობით, „პირობითი მასპინძლის" რანგში სამი მატჩი ჩაატარა ქობულეთში და სამჯერვე გაიმარჯვა.

აი, ხვალ კი „გურიას" პირველად უნდა უხელმძღვანელოს საშინაო მატჩში უკრაინელმა **რომან პოკორამ**, რომელსაც ერთობ რთული პაექრობა ელოდება ამ ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტთან (უამრავი დანაკლისისა თუ ცვლილების მიუხედავად), გორის „დილასთან". ისე, **გიორგი დევდარიანის** გუნდს თუ უნდა, რომ მაქსიმალური მიზნებისათვის იბრძოლოს, მოგებებს სტუმრადაც უნდა „დაეჩვიოს".

აქვე, იმასაც დავძენთ, რომ უმაღლეს ლიგაში „გურია"-"დილას" პაექრობა... 14-წლიანი პაუზის მერე უნდა აღდგეს!

## ზუგდიდი-ზესტაფონი

*დისკვალიფიკაცია: ირაკლი ქობალია (ზესტაფონი)*

ორივე გუნდმა სეზონი წარუმატებლად დაიწყო, თუმცა მდგომარეობის გამოსასწორებლად დრო აქვს შედარებით მოკრძალებული მიზნების მქონე „ზუგდიდსაც" და ბევრად უფრო ამბიციურ „ზესტაფონსაც".

საერთოდ კი ამ გუნდების ურთიერთდაპირისპირებაში იმერლებს სოლიდური უპირატესობა აქვთ: „ზესტაფონი" ერთადერთხელ დამარცხდა (2010 წელს) თავის ხვალინდელ მეტოქესთან. სხვათა შორის, „ზესტაფონის" შემადგენლობაში 4 ისეთი ფეხბურთელია, წინა თუ იმისწინა სეზონში „ზუგდიდში" რომ თამაშობდა: **ირაკლი ქობალია, ლევან კუტალია, გურამ სამუშია, ავთო ენდელაძე.**

თუმცა, დღესდღეობით „ზესტაფონის" და წინა წლებში „ზუგდიდის" საუკეთესო ბომბარდირი, 21 წლის **ირაკლი ქობალია** ხვალინდელ მატჩს დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს.

## ვიტ ჯორჯია-მეტალურგი

*დისკვალიფიკაცია: ლევან კუხალეიშვილი (ვიტ ჯორჯია); დავით კირკიტაძე (მეტალურგი)*

...წინა სეზონში ამ გუნდების დაპირისპირება „საინტერესო სცენარით" მიმდინარეობდა: „ვეტერინარებმა" ორჯერ მოუგეს „მეტალურგს" და ორჯერვე რუსთავში იმარჯვეს, აი, მცხეთაში კი ორჯერვე დამარცხდნენ. საერთოდაც, უკვე დიდი ხანია, „ვიტ ჯორჯია" ვერ ახერხებს „მეტალურგის" საშინაო მატჩში დამარცხებას და ვნახოთ, რა მოხდება ხვალ, როცა გამოცდილი სპეციალისტის **ზურაბ ბერიძის** დამოძღვრილი ახალგაზრდა „ვეტერინარები" ახალგაზრდა მწვრთნელის, **გელა სანაიას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „მეტალურგს" დაუპირისპირდება.

შეგახსენებთ, რომ „მეტალურგში" არაერთი ისეთი ფეხბურთელია, კარიერის არცთუ მცირე პერიოდი „ვიტ ჯორჯიაში" რომ გაუტარებია: **გრიგოლ ბედიაშვილი, ლუკა რაზმაძე, ლაშა ჯაფარიძე, გიორგი ბერიაშვილი, გიორგი ვასაძე, გურამ გურეშიძე, დავით მაისაშვილი...**

## მერანი-ტორპედო

*დისკვალიფიკაცია: არავინ*

როგორც გნებავთ, ისე აღიქვით, მაგრამ ფაქტია: ეს არის VIII ტურის ერთადერთი მატჩი, სადაც ერთმანეთს... ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლები დაუპირისპირდებიან! ჰო, უკვე არახალი ამბავია, რომ **მალხაზ ჟვანიას** დამოძღვრილი „მერანია" ამ სეზონის სტარტის სასიამოვნო მოულოდნელობა, თანაც, „გურიას" მსგავსად, „მერანიც" სხვაგან ატარებს საშინაო მატჩებს, მაგრამ ასპროცენტიანი შედეგით დაიკვეხნის. ოთხი მატჩი და ოთხი მოგება! საერთოდ კი, „მერანისა" და „ტორპედოს" ურთიერთდაპირისპირებათა ისტორიაში ერთობ საინტერესო თანაფარდობაა: ორივე გუნდს სამ-სამი მოგება აქვს და ყოველთვის მასპინძელი იმარჯვებდა!

## სიონი-დინამო (თბ)

*დისკვალიფიკაცია: არავინ*

მოგეხსენებათ, რომ „სიონი" საშინაო მატჩებს თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ატარებს, მაგრამ ძველი მეტოქეების დაპირისპირება ამჯერად... რუსთავში შედგება! ისე, უმაღლესი ლიგის „ძველი კადრების" ურთიერთდაპირისპირებათა ისტორიაში აშკარა უპირატესობა დინამოელთა მხარესაა და **დუშან უჰრინის** გუნდი ხვალაც შეეცდება თავისი წარმატებული სერიის გაგრძელებას.

აი, „სიონი" კი კვლავაც არასტაბილურად აგრძელებს ასპარეზობას, თუმცა ბოლნისელთა კლუბის მწვრთნელ-ფეხბურთელებს ხვალ ხომ საკმარისზე მეტი მოტივაცია ექნებათ: ჯერ ერთი, „დინამოსთან" ყველა ცდილობს მაქსიმალურად თავის წარმოჩენას.

ამას გარდა, „სიონის" მთავარ მწვრთნელს **გიორგი კიკნაძეს** და ფეხბურთელთა სოლიდურ ნაწილს (**ზურაბ ბათიაშვილი, რევაზ ქემოკლიძე, ვალერი აბრამიძე, ალექსანდრე გოგობერიშვილი, ირაკლი სამხარაძე, გიორგი კახელიშვილი, კოკა მიკუჩაძე, ლადო ახალაია, გიორგი ჩივაძე**) სხვადასხვა დროს „დინამოში" უთამაშიათ.

**გია ტუხაშვილი**

***P.S.*** *შეგახსენებთ, რომ, დებულების თანახმად, საქართველოს ჩემპიონატის მატჩები ოქტომბერში 15 საათზე იწყება.*

**II ლიგა**

**დასავლეთის ზონა. V ტური**

| | |
|---|---|
| შუქურა 2-დინამო 2 (ბთ) | 0:1 |
| რაჭა-ეგრისი | 2:1 |
| საპოვნელა-საირმე | 6:1 |
| კოლხეთი 2 (ფ)-მერცხალი 2 | 3:1 |
| სამეგრელო-კოლხეთი 2 (ხ) | 0:4 |
| ლაზიკა-ქუთაისი | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოლხეთი 2 (ფ) | 5 | 4 | 0 | 1 | 14-9 | 12 |
| 2. რაჭა | 5 | 4 | 0 | 1 | 10-8 | 12 |
| 3. ლაზიკა | 4 | 3 | 1 | 0 | 12-0 | 10 |
| 4. მარგვეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 10-4 | 10 |
| 5. საპოვნელა 2 | 5 | 3 | 1 | 1 | 14-9 | 10 |
| 6. კოლხეთი 2 (ხ) | 5 | 2 | 1 | 2 | 11-7 | 7 |
| 7. შუქურა 2 | 5 | 2 | 1 | 2 | 8-7 | 7 |
| 8. ეგრისი | 4 | 2 | 0 | 2 | 7-7 | 6 |
| 9. ქუთაისი | 5 | 2 | 0 | 3 | 10-13 | 6 |
| 10. დინამო 2 (ბთ) | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 11. საირმე | 5 | 1 | 0 | 4 | 7-16 | 3 |
| 12. მერცხალი 2 | 5 | 0 | 0 | 5 | 4-14 | 0 |
| 13. სამეგრელო | 4 | 0 | 0 | 4 | 2-14 | 0 |

**აღმოსავლეთის ზონა. IV ტური**

| | |
|---|---|
| დინამო (ს)-აბული | 2:0 |
| საქ. უნივერსიტეტი-დურუჯი | 2:0 |
| ფორვარდი-ივერია | 1:2 |
| ბორჯომი-რუსთავი | 8:0 |
| სასკო 2-ივერიონი | 1:4 |
| იბერია-მარკ სტარი | 0:7 |
| ლიახვი-გოლეადორი | 5:1 |
| ალაზანი-დუშეთი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარკ სტარი | 4 | 4 | 0 | 0 | 16-3 | 12 |
| 2. საქ. უნივერსიტ. | 4 | 3 | 0 | 1 | 14-7 | 9 |
| 3. ლიახვი | 4 | 2 | 2 | 0 | 9-4 | 8 |
| 4. არაგვი | 4 | 2 | 2 | 0 | 9-5 | 8 |
| 5. ბორჯომი | 3 | 2 | 1 | 0 | 13-2 | 7 |
| 6. ივერია | 4 | 2 | 1 | 1 | 9-4 | 7 |
| 7. ალაზანი | 4 | 2 | 1 | 0 | 4-3 | 7 |
| 8. გოლიადორი | 3 | 2 | 0 | 1 | 8-8 | 6 |
| 9. ივერიონი | 4 | 1 | 2 | 1 | 7-7 | 5 |
| 10. დინამო (ს) | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 4 |
| 11. დურუჯი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-6 | 4 |
| 12. იბერია | 4 | 1 | 1 | 2 | 6-13 | 4 |
| 13. რუსთავი | 4 | 1 | 0 | 3 | 7-19 | 3 |
| 14. ფორვარდი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-7 | 1 |
| 15. აბული | 4 | 0 | 1 | 3 | 3-7 | 1 |
| 16. სასკო 2 | 4 | 0 | 0 | 4 | 2-14 | 0 |

პროტესტი

## ფეხბურთის ფედერაცია რუსულ აგრესიას ეხმაურება

რაც საქართველოა, მას შემდეგ მტერი არ მოჰკლებია - შინაურიც და გარეულიც. ერთი თაობაც არ დაბადებულა, ომი რომ არ გადაეტანა. „ტრადიცია" გრძელდება. რუსეთის მმართველებს არც ერთი ქართველი პრეზიდენტი არ მოსწონდათ, მაგრამ - ქართველი ხალხის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს და გვიყვარსო. სწორედ ამ ხალხსართმევენ ისედაც შაგრენის ტყავივით დაპატარავებულ მიწა-წყალს.

ამის დასტური ბოლო პერიოდში სამაჩაბლოში განვითარებული მოვლენებია. საოკუპაციო ჯარები ნაბიჯ-ნაბიჯ მოიწევენ. ამ ყველაფერს გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია საგანგებო განცხადებით გამოეხმაურა.

„უკანასკნელი დღეების განმავლობაში, სოფელ დიცსა და დვანში განვითარებული მოვლენების გამო, ჩვენ, როგორც საქართველოში ფეხბურთის მმართველმა უპირველესმა ორგანომ, საჭიროდ მივიჩნიეთ ჩვენი მოქალაქეობრივი პოზიცია დაგვეფიქსირებინა იმ განუზომელი ბოროტების წინააღმდეგ, რაც ამ ქართულ სოფლებში რუსი ოკუპანტების მიერ ხორციელდება.

ფეხბურთი ყოველთვის იყო ერებისა და ხალხების გამაერთიანებელი სპორტის სახეობა, რომელშიც ადგილი არ ჰქონდა ეროვნებისა და პოლიტიკური კუთვნილების მიხედვით ხალხის დაყოფასა და ჩაგვრას. ქართული ფეხბურთის უდიდესი თარიღი - 1981 წლის 13 მაისი, სწორედ, ორმა დიდმა ქართველმა - ეროვნებით აფხაზმა ვიტალი დარასელიამ და ეროვნებით ოსმა ვლადიმერ გუცაევმა შექმნეს. დღეს, დიცსა და დვანში განვითარებული მოვლენები კი ჩვენი, როგორც საქართველოს რიგითი მოქალაქეების აღშფოთებასა და წუხილს იწვევს.

ქართულ სოფლებში მცხოვრები მოქალაქეების მხარდასაჭერად და სოლიდარობის მიზნით, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მე-8 ტურის მატჩები, რომლებიც 6 ოქტომბერს, საქართველოს ექვს ქალაქში - რუსთავში, ქუთაისში, ქობულეთში, განმუხურში, მარტვილსა და მცხეთაში ჩატარდება, ლოზუნგით „დიცი და დვანი - საქართველოა" - გაიმართება.

ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის თორმეტივე გუნდის ფეხბურთელები მატჩებს სწორედ, ამ წარწერის მქონე მაისურებით დაიწყებენ და ეს იქნება ქართული საფეხბურთო ოჯახის ხმამაღალი პოზიცია და სოლიდარობა დიცისა და დვანის მოსახლეობის მიმართ".



...ისრაელისა და არაბული სამყაროს დაპირისპირება ყველას კარგად მოგეხსენებათ. მათ შორის მტყუან-მართლის გარჩევა ჩვენი საქმე არაა, უბრალოდ, ფაქტს მოგახსენებთ. ამ დაპირისპირებამ თავი ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებაშიც იჩინა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრაში „მაკაბი" თელ-ავივში „ბაზელთან" 0:1 დამარცხდა. შვეიცარიულ კლუბში ორი ეგვიპტელი ფეხბურთელი თამაშობს - **მოჰამედ სალახი** და **მოჰამედ ელ-ნენი**. თავიდან მათ ჯერ ისრაელში ჩასვლა არ სურდათ, მაგრამ, როცა ეს არ გამოვიდა, სალახმა მატჩისწინა მისალმების დროს მეტოქის მოთამაშეებს ხელი არ ჩამოართვა. ის ამ დროს სათადარიგოთა სკამზე იმ მოტივით შეყოვნდა, ვითომდა, ბუცებზე ზონარს იკრავდა.

ჩვენ არც ერთ მოთამაშეს გმირობას და აქციების გამართვას არ და ვერც მოვთხოვთ, მაგრამ მსგავს შემთხვევებში ქართველი ფეხბურთელები მეტად პასიურობენ და პოზიციას არასოდეს აფიქსირებენ. ეს ხდება მხოლოდ კულისებში - აქ ქართველებზე აუგს არავის ათქმევინებენ. თუნდაც **გიორგი ნავალოვსკის** ამბავი კმარა - 2010 წელს, ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგაში" თამაშისას, ულიანოვსკში ადგილობრივ მოთამაშეს ქართველების გინებისთვის „ხურდა" არ აკმარა. თუმცა საჯარო პროტესტი მაინც გაცილებით დასაფასებელია.

გასაგებია, რომ ფიფა და უეფა პოლიტიკურ განცხადებებს კრძალავენ, ამის გამო კლუბებს პრობლემები შეექმნებათ, მაგრამ პროტესტის ათასგვარი ფორმა არსებობს...

დინამო

# ტყავაძე გათავისუფლებულია



## გია გეგუჩაძე: ამასთან მე ნუ დამაკავშირებთ!

**„თბილისის „დინამოს" სპორტული დირექტორი გიორგი ტყავაძე დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლდა. საფეხბურთო კლუბი „დინამო" მადლობას უხდის მას გაწეული სამსახურისთვის და წარმატებებს უსურვებს მომავალ საქმიანობაში",** - წერია თბილისის „დინამოს" გუშინდელ განცხადებაში, რომელიც კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა.

საერთოდ, ადამიანს მადლობას დაწინაურებით ან პრემიით უხდიან და არა - განთავისუფლებით, ხოლო უშვებენ მაშინ, როცა მისით უკმაყოფილონი არიან. ტყავაძე კი „დინამოსთვის" მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. როცა გუნდის მთავარ მწვრთნელს **დუშან უჰრინს** ზაფხულის ტრანსფერებზე ვკითხეთ, ტყავაძისკენ ორჯერ გაიშვირა ხელი - მოთამაშეთა ჩამოყვანას ის წყვეტსო...

თუმცა ტყავაძემ, ორიოდე დღის წინათ, „გეოსპორტთან" ინტერვიუში ესეც უარყო და გავრცელებული ხმებიც, თითქოს **გიორგი მერებაშვილს** ხელფასის განახევრება მოსთხოვა. ტყავაძემ ერთი საინტერესო განცხადებაც გააკეთა:

*„ვერ ჩავერევი მთავარი მწვრთნელის ფუნქციებში. ამ კლუბს ჰყავს პრეზიდენტი, ჰყავს დირექტორი და მრჩეველთა საბჭო. აქედან გამომდინარე, ძალიან ბევრი გადაწყვეტილება ამ ადამიანებისგანაც მოდის. ამიტომ, ყველა გადაწყვეტილება ჩემგან ერთპიროვნულად არ მოდის - ეს, უბრალოდ, აბსურდია! ჩემი მხრიდან, გიორგი მერებაშვილის მიმართ ზეწოლა არ ყოფილა. ხოლო თუ ვისი მხრიდან მოხდა - მწვრთნელის, მრჩეველთა საბჭოს, პრეზიდენტის თუ კლუბის დირექტორისგან, ეს უკვე თქვენ გაარკვიეთ".*

მანამდე, „დინამოში" კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილება მოხდა: 19 სექტემბერს კლუბის დირექტორის პოსტი **სანდრო შახოვმა** დატოვა. ოფიციალური ვერსიით, ეს „დინამოს" პრეზიდენტ **რომან ფიფიასა** და შახოვს შორის შეთანხმების საფუძველზე მოხდა. გაწეული სამსახურისთვის მადლობა მასაც გადაუხადეს და შემცვლელად **მამუკა მახათაძე** დანიშნეს.

„დინამო" გადაწყვეტილების მიზეზს არ ასახელებს. კომენტარი არც ტყავაძეს გაუკეთებია, თუმცა ცნობილი გახდა, რომ წასვლამდე ისიც შეხვდა ფიფიას და გადაწყვეტილება ამის შემდეგ მიიღო.

ამ საკითხში სიცხადეს თავად „დინამოს" პრეზიდენტი თუ შეიტანს. მანამდე კი გავრცელდა ვერსია, თითქოს თბილისის „დინამოს" **გია გეგუჩაძე** ჩაიბარებს. გამოჩნდა, რომ „დინამო" მზად არ იყო ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად, რასაც ფიფია ითხოვდა. პირველად, სწორედ მაშინ ითქვა, თითქოს, გეგუჩაძე „დინამოში" კი მიიწვიეს, მაგრამ მუშაობის დაწყების ერთ-ერთ წინაპირობად კლუბიდან ტყავაძის წასვლა დაასახელა. გუშინ კომენტარისთვის გეგუჩაძეს დავუკავშირდით:

*„ეს გადაწყვეტილება „დინამოს" შიდა საქმეა და მოდით, ტყავაძის გათავისუფლებასთან მე ნუ დამაკავშირებთ. ეს არ არის სიმართლე, მსგავსი ლაპარაკი არ ყოფილა",* - გვითხრა „დინამოს" ყოფილმა მწვრთნელმა.

ერთ-ერთი ვერსიით, შესაძლოა, თბილისის „დინამოში" მუშაობა **თემურ ქეცბაიას** შესთავაზონ. მოკლედ, ჯერ ბევრი დაუზუსტებელი ინფორმაცია და მომავალი გამოაჩენს, რა არის მართალი და რა - ჭორი. ისიც სათქმელია, რომ უჰრინს „დინამოსთან" ისეთი კონტრაქტი აკავშირებს, ასე ადვილად ვერ გაუშვებენ. მაგრამ ხომ გაგიგიათ - „არასოდეს თქვა - „არასოდეს!".

კიდევ ერთი ვერსია ტყავაძის სავარაუდო შემცვლელს შეეხება. როგორც ამბობენ, „დინამოს" ახალი სპორტული დირექტორი იქნება **ირაკლი ვაშაკიძე**, რომელიც გუნდში სატრანსფერო საკითხების მოსაწესრიგებლად მიიწვიეს. სამწუხაროდ, მასთან დაკავშირება და კომენტარის ჩაწერა ვერ მოხერხდა.

სამწვრთნელო ცვლილება?

## ჟვანია დინამოს დუბლებში?



მალხაზ ჟვანია

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, მარტვილის „მერანის" მთავარ მწვრთნელ **მალხაზ ჟვანიას** თბილისის „დინამოს" დუბლებში მუშაობა შესთავაზეს. 29 სექტემბერს მარტვილელებმა „დინამოსთან" 2:4 წააგეს, მაგრამ ჩინებული თამაში აჩვენეს. თანაც, ჟვანიას გაწვრთნილებს თბილისელები აქამდეც გაუმწარებიათ და, ეტყობა, „დინამოს" დაინტერესება მოკრძალებულ კლუბში მისმა წარმატებულმა საქმიანობამ განაპირობა.

ამავე დროს, ისიც გვითხრეს, რომ ჟვანიას „მერანში" ქუთაისის „ტორპედოს" ყოფილი მთავარი მწვრთნელის, **გია გეგუჩაძის** ასისტენტი **კახა ჩხეტიანი** შეცვლის.

„მერანის" პრეზიდენტმა **ფრიდონ ინჯიამ** კი ჟვანიას „დინამოში" შესაძლო მისვლის ამბავი ნაწილობრივ დაგვიდასტურა: *„ჟვანიას „დინამოში" გადასვლაზე ინფორმაცია მეც გავიგე, მაგრამ ეს ჯერ დასაზუსტებელია. რაც შეეხება ჩხეტიანს, ჯერჯერობით არც ეს არის გადაწყვეტილი".*

ფუტსალი. უეფას თასი

## იბერია ევროპას დაემშვიდობა




გუშინ დიორის „მიხალი სპორტჰოლში" ფუტსალის უეფას თასის ძირითადი ეტაპის მატჩები დასრულდა. პირველ შეხვედრაში ბოსნიის ჩემპიონმა „ტანგო სარაევომ" ბულგარულ „გრანდ პროს" 8:4 მოუგო და ქულებით „იბერიას" გაუთანაბრდა, ბურთების სხვაობით კი - გაასწრო. ამდენად, საქართველოს ჩემპიონისა და „დიორ ეტოს" შეხვედრა გადამწყვეტი იყო.

პირველი ტაიმი დაძაბული გამოდგა და უგოლოდ დასრულდა. ასეთივე სცენარით წარიმართა მეორე ტაიმიც. ანგარიში 30-ე წუთზე გახსნა **ირაკლი თოდუამ**, რომელიც ამ ტურნირზე საქართველოს ჩემპიონის შემადგენლობაში გამორჩეული გახლდათ.

მასპინძლებმა წონასწორობა მალევე აღადგინეს, ხოლო შემდეგ ორი გოლიც მიაყოლეს. 1:3 - „იბერია სტარი" დამარცხდა, ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა და ევროპას დაემშვიდობა.

**P.S.** მოკლე რეცენზია უკვე მზად იყო, როცა სოციალურ ქსელებში ეს ფოტო გავრცელდა: „დიორთან" ბოლო ტურის მატჩამდე „იბერია სტარის" ფეხბურთელებმა დარბაზში გამოფინეს ბანერი - „დვინი და დიცი საქართველოა"! იმედია, ფეხბურთელებს სხვა სახეობების წარმომადგენლებიც მიბაძავენ. ბოლოს და ბოლოს, სპორტი უნდა იყოს ქვეყნისთვის და არა - ქვეყანა სპორტისთვის.

გვერდი მოამზადა **მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი კვირის 1000 ფიქრი

## ვითომ შეირჩინეს?

ამ უქმეების შემდეგ სანაკრებო პაუზა დაიწყება, ეროვნული ჩემპიონატის ეს ტური კი ბევრ საინტერესოს გვპირდება.
წინა კვირაში არა ერთი საინტერესო რამ მოხდა როგორც საკლუბო ფეხბურთში, ისე ნაკრების ირგვლივ. ლევან კობიაშვილი გამოვიდა და თქვა, რაც ჩვენს ეროვნულ გუნდში ხდება, ბლეფიაო.
BLUFF - ამის პირდაპირი თარგმანი არ არსებობს, ხოლო რა მნიშვნელობაც აქვს ამ სიტყვას, ყველამ იცის. 70-იან წლებში იტალიური ფილმიც გადაიღეს, რომელშიც მთავარ როლს ადრიანო ჩელენტანო ასრულებს. იმ ფილმსაც ასე ჰქვია - „ბლეფი“. ფილმი წარმატებული გამოდგა. ყოველ შემთხვევაში, საქართველოში ის ძალიან პოპულარული იყო და მას შემდეგ სიტყვა „ბლეფი“ უფრო მყარად დამკვიდრდა ჩვენს ლექსიკონში. ფილმიც იმისაა, რომ მისგან რალაც ჩაიბეჭდოს გონებაში. „ბლეფი“ კომედიური, საინტერესო ფილმია, კარგი რეჟისურითა და დიდებული მსახიობებით...
ჩვენი სანაკრებო ბლეფი კი გულდათუთქვის გარდა არაფერს არ იწვევს. ნაკრებსა და მის მწვრთნელზე წერაც უკვე მოსაბეზრებელი გახდა. ნაკრებს ცვლილებები სჭირდება, ოლონდ როგორი, ეს უკვე ჟურნალისტიკის სფეროს სცილდება, ეს ცვლილებები ამ საქმის სპეციალისტების გასაკეთებელია.
ისე, ნაკრებში 100 კეპის მომნაგრებელი ფეხბურთელი ასეთ რამეს რომ იტყვის, ვფიქრობ, სამწვრთნელო შტაბიდანაც უნდა მოვისმინოთ პასუხი. კობიაშვილის ინტერვიუს იგნორირება იმის მაუწყებელი იქნება, რომ მისი ნათქვამი თემურ ქეცბაიამ და მისმა სამწვრთნელო გუნდმა შეირჩინეს.
პოლემიკა ჩვეულებრივი რამეა, საინტერესო და ხშირად თავშესაქცევიც. მძიმე ხასიათის ადამიანები პოლემიკას ერიდებიან, რადგან არ აქვთ საკუთარი თავის იმედი - პოლემიკის დროს აგრესიული ტონით საუბარი დამარცხებას ნიშნავს და - ამიტომ.
ბლეფი - ქართულ ფეხბურთში მოსაქმეთაგან ინტერვიუში ეს სიტყვა მანამდე მგონი არავის არ გამოუყენებია, თორემ ბლეფობა ნაკრებშიც ხდებოდა და ჩვენს კლუბებშიც.
მიკიბ-მოკიბულ ლაპარაკს მწვავე, არგუმენტირებული განცხადებები და პოლემიკა სჯობს - ვფიქრობ, ეს უკეთესი ტენდენცია იქნება.

■ ■ ■

ამ ტურის შემდეგ საქართველოს ჩემპიონატში 20 ოქტომბრამდე შესვენება იქნება. სამი კვირა ის მონაკვეთია, დაფიქრების საშუალებას რომ იძლევა. ზოგმა კი ამ პაუზამდეც მიილო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება.
ეს ჩემპიონატი ჯერჯერობით ისეთია, მატჩების შედეგის პროგნოზირება ძალიან რთულია. მოულოდნელობის ეფექტი გაიზარდა, ოლონდაც, მხოლოდ ეს არ კმარა. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ სტადიონზე მაყურებელმა კიდევ უფრო იკლო, არადა, არცთუ ცოტაა ისეთი მატჩი, ათასობით ქომაგის დასწრება რომ დაამშვენებდა...
მარტვილის „მერანი“ ამ დროისთვის მეოთხე ადგილზე რომ არის, ამის წინასწარმეტყველება, ალბათ, შეუძლებელი იყო. „მერანი“ რალაცნაირი გუნდია, ვერ მიხვდები, როდის ითამაშებს რიგიანად და როდის - ურიგოდ. მცხეთაში ვუყურე „ვიტ ჯორჯია“-„მერანის“ შეხვედრას, რომელიც მასპინძლებმა 3:0 მოიგეს, „მერანს“ კი იმის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა, რომ უახლოეს ხანში რაიმე საინტერესოს მოახერხებდა, თუმცა...
„ვიტ ჯორჯიას“ შემდეგ „მერანმა“ მიჯრით 3 მატჩი მოიგო ჩემპიონატში, მერე „დინამოსთან“ 2:4 ისე წააგო, ძლიერ მეტოქეს კარგი ბრძოლა რომ გაუმართა. „მერანში“ გამოჩნდა საინტერესო ახალგაზრდაც - 17 წლის აკაკი შულაია, რომელმაც გოლი „დინამოსაც“ კი გაუტანა. გათამაშების ცხრილში, სხვათა გარდა, „მერანს“ გორის „დილა“ და რუსთავის „მეტალურგიც“ ჰყავს უკან მოტოვებული, ის გუნდები, მოწინავეებად რომ მიიჩნევიან დღევანდელი მოცემულობით (ფეხბურთელების კონტინგენტს ვგულისხმობ).
ამ ტურში მთავარი მატჩი „სიონი“-„დინამო“ მგონია. რამდენიმე დღის წინ „ლელოსთან“ ინტერვიუში სიონელმა ალექსანდრე გოგობერიშვილმა თქვა - დარწმუნებული ვარ, „დინამოს“ მოვუგებთო. გოგობერიშვილი ის კაცია, სიტყვას ჰაერში რომ არ ისვრის. „დინამოსთვის“ „სიონთან“ შეხლა ჩემპიონატის ერთ-ერთი რიგითი შეხვედრა უნდა იყოს, „სიონისთვის“ კი ეს, შესაძლოა, წლის თამაში გახდეს. ბოლნისურ გუნდს ყველაზე ტიტულოვან მეტოქესთან სურს იმის დამტკიცება, რომ ფეხბურთელების გამოცდილება ძალიან ბევრს ნიშნავს.
აბა, ვინ იცის, თუ რა მოხდება „სიონი“-„დინამოს“ შეხვედრაში, მაგრამ ასაკი მაინც თავისას შვრება და „სიონის“ შანსი მხოლოდ გამოცდილება არ უნდა იყოს, გამოცდილი მოთამაშეები ხომ „დინამოსაც“ ჰყავს. მე მაინც მგონია, რომ „სიონს“ სტრატეგიული გეგმის იმედი უფრო ექნება, ვიდრე - ცალკეული ფეხბურთელების გამოცდილების. „სიონი“-„დინამო“ თითქოს ვაკეში უნდა გამართულიყო, მაგრამ რუსთავში გადაიტანეს. თუმცა უქმე დღეა და, იქნებ, ეს თამაში გულშემატკივართა მაღალი ყურადღების ღირსიც შეიქნას...

**დავით თავართქილაძე**

● ინტერვიუ

## დავით კვირკველია:
# რალაც გვაკლია და ვერ ვხვდებით



**1999 წელს ფოთის „კოლხეთში“ დაწყებული კარიერის შემდეგ დავით კვირკველიას თავს ბევრი რამ გადახდა - 9 კლუბი გამოიცვალა, ეროვნულ ნაკრებში 53 შეხვედრა ჩაატარა...**
**33 წლის კვირკველია ახლა თბილისის „დინამოშია“. მას შეტევებში ჩართვა კი უყვარს, მაგრამ 29 სექტემბერს მის კარიერაში განსაკუთრებული რამ მოხდა - მარტვილის „მერანთან“ დუბლი შეასრულა. „ლელომ“ გამოცდილ მცველს ინტერვიუ სთხოვა...**

- სასიამოვნოა, როცა გუნდს დუბლით ეხმარები. ასეთი შემთხვევა ადრეც მოხდა, თბილისის „დინამოში“ პირველად რომ ჩავირიცხე. მაგრამ მაშინ ვის გავუტანე, რალა დაგიმალოთ და, ველარ ვიხსენებ.

**- ასეთი ამბავი როგორ დაგავიწყდათ?**

- პატარა ბიჭიც ალარ ვარ, თქვენ კი 11 წლის წინანდელი თამაში გამახსენეთ. ეს დუბლი კი აუცილებლად დამამახსოვრდება, რადგან ჩემდა მოულოდნელად ალმოვაჩინე, რომ საქართველოში არის ერთი მშვენიერი კლუბი - მარტვილის „მერანი“, ამ კლუბთან მძიმე შეხვედრაში გავიმარჯვეთ. მასთან კიდევ ბევრ გუნდს გაუჭირდება, მათ შორის, ლიდერებსაც.

**- საკმაოდ მაღალი დონის ჩემპიონატების შემდეგ, საქართველოში თამაში არ გაგიჭირდათ? სამწუხაროდ, ჩვენთან ძალიან დაბალი დონეა, რაც ევროტურნირებზეც კარგად ჩანს...**

- ჩვენთან სასურველი დონე მართლაც არ არის, მაგრამ თუ თქვენ „ტოტენჰემთან“ მარცხს გულისხმობთ, ამ გუნდთან მოგება ჩვენზე ძლიერი ლიგის ბევრ გუნდს გაუჭირდება. რუსეთის ჩემპიონატზე ცუდს ვერავინ იტყვის, მშვენიერი გუნდები, მწვრთნელები და ფეხბურთელები ჰყავთ, მაგრამ ხომ ნახეთ, ევროპის ლიგაზე მახაჩყალის „ანჟიმ“ იმავე „ტოტენჰემთან“ შინ ვერაფერი გააწყო და დამარცხდა... თუმცა ჩვენთან რომ მძიმე მდგომარეობაა, ეს აშკარაა და ამის უარყოფა სისულელე იქნება. გამოსავალი გვჭირდება და იქნებ, ქართული ფეხბურთისთვის ახლა მაინც გაკეთდეს რამე.

**- თქვენი აზრით, გამოსავალი რა იქნება?**

- რომან ფიფიასავით მზრუნველი და ფეხბურთზე შეყვარებული რამდენიმე ადამიანის გამოჩენა! ასე რომ მოხდეს, თუნდაც 4-5 კლუბში, დარწმუნებული ვარ, ბევრად უკეთესი და დაძაბული ჩემპიონატი გვექნება. ეს კი საერთო დონის ზრდასაც შეუწყობს ხელს. მიმაჩნია, რომ ჩემპიონატის დონის ასაწევად სწორედ 4-5 ძლიერი გუნდი გვჭირდება, რომელთა გვერდითაც მოთხოვნებს სხვებიც გაზრდიან. ასე დაიწყო რუსეთში ჩემპიონატის პროგრესი და ასე იყო უკრაინაშიც.

**- ჩვენს გუნდებზე რას იტყვით?**

- მარტვილის „მერანზე“ უკვე გითხარით, მომეწონა და ამ გუნდს რომ მეტი დაფინანსება ჰქონდეს, დარწმუნებული ვარ, სამეულში თავისუფლად მოხვდება. არის კიდევ რამდენიმე საინტერესო კლუბი, მაგალითად, გორის „დილა“, „ტორპედო“, „ზესტაფონი“, „მეტალურგი“, საჩხერეს „ჩიხურა“, მაგრამ საერთო დონის გასაზრდელად, ბევრად მეტი ძლიერი და, რაც მთავარია, სტაბილური გუნდი გვჭირდება. თანაც, წლეულს ბევრს გაუჭირდა.

**- ვითომ, შარშან უკეთესი გუნდები გვყავდა?**

- უფრო მეტი დაფინანსება ნამდვილად იყო და ეს გუნდის მომზადების დონესაც განაპირობებდა. მე „დინამოში“ გორის „დილადან“ გადმოვედი და კარგად ვიცი, რომ იქ შარშან ბევრად უკეთესი პირობები იყო. ახლა კი ასე ალარ არის. ვიცი, ქუთაისის „ტორპედოშიც“ სხვა ვითარებაა. „ზესტაფონი“ ჩემპიონატამდე ორი კვირით ადრე შეიკრიბა და სეზონისთვის ნორმალურად როგორ მოემზადებოდა? ეს ყველაფერი ჩემპიონატს დაეტყო.

**- შესაბამისად, „დინამოც“ მეტოქეებისგან ნაკლებ წინააღმდეგობას აწყდება?**

- „დინამოსთან“ ყველა თავს იკლავს და შეუძლია თუ არა, ბოლომდე იბრძვის. გუნდში მეორედ ვარ და ერთ შემთხვევასაც ვერ გავიხსენებ, ვინმეს ჩვენთან მოდუნებულს ეთამაშა - ყველა 200 პროცენტით იხარჯება. „დინამოს“ ბედი ასეთია და ამას შეგუებულები ვართ. ჩვენთან მოგება პრესტიჟიც არის და თავის გამოჩენის მშვენიერი შანსიც - იქნებ, „დინამოში“ მოხვდე, მეტი პრემია აილო ან ხალხმა უკეთ გაგიცნოს. მაგალითად, მარტვილელმა შულაიამ ჩვენთან მშვენივრად ითამაშა და ახალგაზრდულში მიიწვიეს. წარმატებას ვუსურვებ ამ ბიჭს. მიმაჩნია, რომ დიდი პერსპექტივა აქვს. დღეს ჩვენ საქართველოს პირველი გუნდი ვართ, მაგრამ ასეთი კიდევ რამდენიმე უნდა იყოს. ერთი გუნდი დონეს ვერ გაზრდის.

**- ეს ნაკრების გაძლიერებასაც წაადგება...**

- რა თქმა უნდა. დიდი არჩევანი რომ იქნება ეროვნულ ჩემპიონატსა და უცხოეთში მოთამაშეებს შორის, ეს ნაკრებში კონკურენციას გაზრდის, ფეხბურთელებში კი - მოტივაციას. გუნდის წინსვლის მთავარი წინაპირობაც სწორედ ეს არის.

> „რომან ფიფიასავით მზრუნველი და ფეხბურთზე შეყვარებული რამდენიმე ადამიანის გამოჩენა თუ გვიშველის...“

**- ბოლო ორი ციკლია, ნაკრებს ერთი და იგივე მოსდის - ადრე, გადამწყვეტ შეხვედრაში თბილისში ლატვიამ მოგვიგო - 1:0. ახლა კი, ასევე პრინციპულ მატჩში, შინ ფინეთთან დავმარცხდით - 0:1. არადა, ორივესთან გასვლაზე 1:1 ვითამაშეთ და მოგების შანსიც რეალური იყო. რა ემართება ჩვენს გუნდს პრინციპულ მატჩებში?**

- მგონია, რომ გადაჭარბებულმა ემოციებმა ცუდი სამსახური გაგვიწია. რალაც არ გამოვიდა, უილბლობაც იყო... ბიჭები შემეცოდნენ. ეტყობა, საფრანგეთთან ძალიან დიდი ენერგია დახარჯეს. დასანანი კი იყო - ფრანგებთან მშვენივრად ვითამაშეთ. არადა, ხალხს დიდი მოლოდინი ჰქონდა.

**- წლებია, ჩვენი ფეხბურთი უმძიმესი მდგომარეობიდან ვერ გამოსულა. ზოგადად, ფინანსების გარდა, კიდევ რა პრობლემებს ხედავთ?**

- ვეტერანებით დაწყებული, ახალი მმართველებით დამთავრებული, ეს საკითხი ვერავინ გადაწყვიტა და ზუსტი პასუხი ვერც მე მექნება. ზოგადად კი ფეხბურთი ადამიანივით არის - სითბო, სიყვარული და მზრუნველობა უყვარს. სხვაგვარად, არაფერი გვეშველება.

**- კატასტროფული მდგომარეობის მიუხედავად, გულშემატკივრებისა და სპეციალისტების ნაწილი ფიქრობს, რომ ქართულ ფეხბურთში დიდი პოტენციალია. თქვენი აზრით, ეს მართლაც ასეა?**

- თამაში როგორ არ შეგვიძლია?! ბევრი ნიჭიერი მოთამაშე გვეზრდება და ასაკობრივი ნაკრებებიც წარმატებებს აღწევენ. მაგრამ რალაც გვაკლია, კონკრეტულად რა - ეს არ ვიცით და ვერც ვხვდებით.

**მერაბ მამულაშვილი**

● მეტოქე

# დელ ბოსკეს საჩვენო

ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვისენტე დელ ბოსკემ** ის ფეხბურთლები დაასახელა, ვისაც მუნდიალის შესარჩევი ეტაპის დასკვნითი ორი მატჩისთვის მოამზადებს. შეგახსენებთ, რომ „ფურია როხა“ 11 ოქტომბერს ბელარუსს, 15-ში კი ჩვენს ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს.

სიაში არ არის **დიეგო კოშტა**, რომელმაც ესპანეთის ნაკრებში თამაშის სურვილი გამოთქვა. სამაგიეროდ, „დონ ვისენტემ“ „სევილიას“ მარცხენა მცველი **ალბერტო მორენო** მიიწვია, ვისაც, თუ ითამაშა, ნაკრებში დებიუტი ექნება. ასევე, ეროვნულ გუნდში დაბრუნდნენ **ხუანფრანი, სერხიო ბუსკეტსი** და **ხუან მატა**.

ტრავმირებული ფეხბურთელების გარდა, დელ ბოსკემ **ფერნანდო ტორესი, ფერნანდო ლორენტე, ხავი გარსია, სანტი კასორლა** და **რობერტო სოლდადო** არ გამოიძახა. სრული შემადგენლობა კი ასეთია:

მეკარეები - **იკერ კასილიასი** (რეალი), **ვიქტორ ვალდესი** (ბარსელონა), **პეპე რეინა** (ნაპოლი);

მცველები - **ხუანფრანი** (ატლეტიკო), **სერხიო რამოსი, ალვარო არბელოა** (ორივე - რეალი), **ხერარდ პიკე** (ბარსელონა), **რაულ ალბიოლი** (ნაპოლი), **ალბერტო მორენო** (სევილია), **ნაჩო მონრეალი** (არსენალი);

ნახევარმცველები - **ჩავი ერნანდესი, ანდრეს ინიესტა, სერხიო ბუსკეტსი, სესკ ფაბრეგასი** (ყველა - ბარსელონა), **კოკე, მარიო სუარესი** (ორივე - ატლეტიკო), **ისკო** (რეალი), **ხესუს ნავასი, დავიდ სილვა** (ორივე - მანჩესტერ სიტი), **ხუან მატა** (ჩელსი);

თავდამსხმელები - **პედრო როდრიგესი** (ბარსელონა), **დავიდ ვილია** (ატლეტიკო), **ალვარო ნეგრედო** (მანჩესტერ სიტი).

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი. პრემიერლიგა. VI ტურის წინ

### 5 ოქტომბერი

**ქარდიფი-ნიუკასლი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ანდრეას კორნელიუსი - რაიან ტეილორი, შოლა ამეობი, სტივენ ტეილორი

ბოლო 6 მატჩი

| | |
|---|---|
| +2=2-2 | +2=1-3 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 31 თამაში: +13=7-11 (42-50)**

**ფულჰემი-სტოკი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** მაარტენ სტეკელენბურგი, მეტიუ ბრიგსი, აარონ ჰიუზი, აშკან დეჟაგა, სკოტ პარკერი - მარკ მუნიესა, ჯონათან უოლტერსი, მეტიუ ეთერინგტონი

ბოლო 6 მატჩი

| | |
|---|---|
| +1=1-4 | +2=1-3 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 30 თამაში: +14=7-9 (44-33)**

**ჰალი-ასტონ ვილა 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ჟორეს ოკორე, გაბრიელ აგბონლაჰორი, ეშლი ვესტვუდი, კრისტიან ბენტეკე, შარლ ნზოგბია - ჯეიმს ჩესტერი, რობერტ კორენი, რობი ბრეიდი

ბოლო 6 მატჩი

| | |
|---|---|
| +3=1-2 | +3=0-3 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 5 თამაში: +0=0-5 (0-8)**

**ლივერპული-პალასი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** ლუკას ლეივა -
**ტრავმა:** გლენ ჯონსონი, ფილიპე კოუტინიო, სებასტიან კოატესი, ალი სისოკო, ჯო ალენი - პატრიკ მაკარტი, იანიკ ბოლასი, გლენ მარი, ჯონათან უილიამსი, ჯეკ ჰანტი, დემიენ დელენეი

ბოლო 6 მატჩი

| | |
|---|---|
| +4=1-1 | +1=0-5 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 27 თამაში: +15=6-6 (58-19)**

**სანდერლენდი-იუნაიტედი 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ფილ ბერდსლი, ანდრეა დოსენა, ვეს ბრაუნი, სტივენ ფლეტჩერი - რიო ფერდინანდი, დარენ ფლეტჩერი

ბოლო 6 მატჩი

| | |
|---|---|
| +0=1-5 | +2=1-3 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 114 თამაში: +33=27-54 (156-199)**

### 6 ოქტომბერი

**ნორვიჩი-ჩელსი 16:30**

**დისკვალიფიკაცია:** - ფერნანდო ტორესი
**ტრავმა:** სებასტიან ბასონგი, ელიოტ ბენეტი, ხავიერ გარიდო, ნათან რედმონდი - მარკო ვან გინკელი, ედენ აზარი, ტომაშ კალაში

ბოლო 6 მატჩი

| | |
|---|---|
| +2=1-3 | +3=2-1 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 33 თამაში: +10=11-12 (38-47)**

**საუთჰემპტონი-სუონსი 16:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** არავინ - ეშლი უილიამსი, ანხელ რანხელი

ბოლო 6 მატჩი

| | |
|---|---|
| +3=2-1 | +2=1-3 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 8 თამაში: +2=3-3 (10-12)**

**ტოტენჰემი-ვესტ ჰემი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** დენი როუზი, იუნეს კაბული, აარონ ლენონი, ემანუელ ადებაიორი, ეტიენ კაპუ - რაველ მორისონი, დენიელ პოტსი, ჯორჯ მონკური

ბოლო 6 მატჩი

| | |
|---|---|
| +4=1-1 | +1=2-3 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 101 თამაში: +44=23-34 (159-142)**

**ვესტ ბრომვიჩი-არსენალი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ჯორჯ ტორნი, კემარ რუფი, ადილ ნაბი, საიდო ბერაინო, კემერონ გეილი - ბაკარი სანია, ლუკას პოდოლსკი, თეო უოლკოტი, ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი, სანტი კასორლა, იაია სანოგო, აბუ დიაბი, გედიონ ზელალემი

ბოლო 6 მატჩი

| | |
|---|---|
| +2=2-2 | +5=0-1 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 119 თამაში: +31=27-61 (153-211)**

### 5 ოქტომბერი. მანჩესტერი. ეტიჰადი. 15:45

**სიტი**

ბოლო 6 მატჩი

| | |
|---|---|
| +3=1-2 | +3=3-0 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 156 თამაში: +58=40-58 (217-209)**

**ევერტონი**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** მარტინ დემიჩელისი, ჯეკ როდუელი - დარონ გიბსონი, კევინ მირალიაში, სტივენ პიენაარი, ანტოლინ ალკარასი

**სავარაუდო შემადგენლობა**

სიტი: ჰარტი; კომპანი, ნასტასიჩი, რიჩარდსი, კოლაროვი; ფერნანდინიო, ი. ტურე; ნასრი, დ. სილვა, აგუერო; ჯეკო

ევერტონი: ლუკაკუ; ნეისმიტი, ბარკლი, მაკარტი; ოსმანი, ბერი; კოულმანი, ბეინსი, დისტინი, იაგიელკა; ჰოვარდი

# მარტინესის ვალი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 6 | 5 | 0 | 1 | 13-7 | 15 |
| 2. ლივერპული | 6 | 4 | 1 | 1 | 8-4 | 13 |
| 3. ტოტენჰემი | 6 | 4 | 1 | 1 | 6-2 | 13 |
| 4. ევერტონი | 6 | 3 | 3 | 0 | 9-6 | 12 |
| 5. ჩელსი | 6 | 3 | 2 | 1 | 7-3 | 11 |
| 6. საუთჰემპტონი | 6 | 3 | 2 | 1 | 5-2 | 11 |
| 7. სიტი | 6 | 3 | 1 | 2 | 14-7 | 10 |
| 8. ჰალი | 6 | 3 | 1 | 2 | 6-7 | 10 |
| 9. ასტონ ვილა | 6 | 3 | 0 | 3 | 9-8 | 9 |
| 10. ვესტ ბრომვიჩი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-5 | 8 |
| 11. ქარდიფი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-7 | 8 |
| 12. იუნაიტედი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-8 | 7 |
| 13. სუონსი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-9 | 7 |
| 14. ნორვიჩი | 6 | 2 | 1 | 3 | 4-6 | 7 |
| 15. სტოკი | 6 | 2 | 1 | 3 | 4-6 | 7 |
| 16. ნიუკასლი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-11 | 7 |
| 17. ვესტ ჰემი | 6 | 1 | 2 | 3 | 4-5 | 5 |
| 18. ფულჰემი | 6 | 1 | 1 | 4 | 4-9 | 4 |
| 19. კრისტალ პალ. | 6 | 1 | 0 | 5 | 4-10 | 3 |
| 20. სანდერლენდი | 6 | 0 | 1 | 5 | 4-14 | 1 |

**ბომბარდირები:** 5 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული), 4 - კრისტიან ბენტეკე (ასტონ ვილა), ოლივიე ჟირუ (არსენალი), აარონ რემსი (არსენალი), იაია ტურე (მანჩესტერ სიტი)



პეპ გვარდიოლასთან ზედიზედ მეშვიდე წაგების შემდეგ მანუელ პელეგრინიმ „სიტი" გონზე უნდა მოიყვანოს

ჯერჯერობით „მანჩესტერ სიტის" საჩემპიონო ამბიციებს ინგლისში ეჭვქვეშ არავინ აყენებს. „ქალაქელებს" აქამდე საშინაო არენაზე 100%-იანი შედეგი ჰქონდათ, თუმცა შუა კვირაში „ბაიერნმა" ისინი მიწაზე დაანარცხა. **კომპანი-ნასტასიჩის** კედელი გერმანელებმა ერთი ხელის მოსმით დაანგრიეს. **მანუელ პელეგრინის** გუნდს შოკიდან გამოსვლა მართებს, მით უფრო, რომ დღესაც რთული თამაში ელის. „ეტიჰადს" პრემიერლიგაში შემორჩენილი ერთადერთი ბეჭდაუდებელი გუნდი სტუმრობს. **რობერტო მარტინესს** მასპინძელთა ვალი აქვს. მაისში სწორედ მისმა „უიგანმა" დაამარცხა „სიტი" ასოციაციის თასის ფინალში. ასე რომ, „სიტის" ფეხბურთელებს მოტივაციის პრობლემა არ უნდა ჰქონდეთ. მიმდინარე პრობლემების გარდა აღსანიშნავია ისიც, რომ „ევერტონმა" დღევანდელ მეტოქესთან სტუმრად ბოლო ექვსიდან მხოლოდ ერთი თამაში დათმო, ოთხჯერ იმარჯვა და აქედან სამჯერ მშრალი ანგარიშით. კიდევ ერთი ფეხის დაცდენა და „სიტი" კონკურენტებს უკვე დიდ დისტანციაზე ჩამორჩება. უკან დახევა დღეს ნახევრად სიკვდილის ტოლფასია.

## არის თუ არა ეს კრიზისი?

„სტედიუმ ოფ ლაითზე" ერთმანეთს კრიზისში მყოფი გუნდები ხვდებიან. „იუნაიტედში" მაქსიმალურად ცდილობენ მსგავს ფორმულირებას თავი აარიდონ, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება: „ეშმაკებს" სასტარტო ტურის შემდეგ ერთადერთი მოგება აქვთ და ისიც აუტსაიდერ „კრისტალ პალასთან". კარგია, რომ დღევანდელი მეტოქეც ამავე კლასიდან არის. **დევიდ მოიესის** გუნდს ეს ამოცანას უადვილებს. „შავ კატებს" მოქმედ ჩემპიონთან მატჩში **კევინ ბოლი** გაიყვანს მინდორზე. სპეციალისტი ვისი პრემიერლიგური გამოცდილებაც სულ 11 თამაშს ითვლის. მაქსიმალური 33-დან მას სულ 5 ქულა აქვს აღებული. ასე რომ, თავად განსაჯეთ, რა შანსი შეიძლება ჰქონდეს მის გუნდს დღევანდელ შეხვედრაში. „სანდერლენდის" პლუსად ვერც საშინაო კედლებს მივიჩნევთ, თუნდაც იმიტომ, რომ „იუნაიტედი" აქ ბოლოს 1997 წლის 8 მარტს დამარცხდა. აქედან მოყოლებული კი 12 შეხვედრაში 9-ჯერ იმარჯვა.

## ლაზარეთი იცლება

„ლივერპულის" გულშემატკივარს შეუძლია დამშვიდდეს. ამ დღეებში ერთბაშად სამი ტრავმირებული მოთამაშე შეუდგება სრულფასოვან ვარჯიშს. ლაპარაკია **გლენ ჯონსონზე, ჯო ალენსა** და **ალი სისოკოზე**. თამაშს ისინი სანაკრებო შეხვედრებით გამოწვეული პაუზის შემდეგ შეძლებენ. „ენფილდზე" წინა შეხვედრა მოულოდნელი ანგარიშით დასრულდა. მასპინძელმა „საუთჰემპტონთან" მინიმალური ანგარიშით წააგო. შესაბამისად, „წითლებს" დღეს რეაბილიტაცია მართებთ. ამისთვის კი სწორედ რომ მისწრებაა **სტარიჯი-სუარესის** დუეტის აღდგენა. „წმინდანებთან" მარცხს თუ არ ჩავთვლით, **ბრენდან როჯერსს** შინ შესანიშნავი შედეგები აქვს. ექსპერტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ჩრდილოირლანდიელს 3 ქულის ასაღებად დღესაც კარგი შანსები აქვს. **იან ჰოლოვეი** და კომპანია ხომ მიმდინარე სეზონში სტუმრად ჩატარებულ შეხვედრებში მეტისმეტად უკბილოდ ირჯებიან - 3 თამაში 3 მარცხი და მხოლოდ 1 გოლი. მერსისაიდელების უპირატესობაზე მეტყველებს სტატისტიკაც. „ლივერპულს" მეტოქე „ენფილდზე" 13-დან 10-ჯერ ჰყავს დამარცხებული.

### ამბები

## საბალეტა: კასილიასი ზედმეტია

„მანჩესტერ სიტის" მეკარეს, 26 წლის **ჯო ჰარტს** ამ ბოლო დროს კრიტიკოსები მოუმრავლდნენ. ინგლისის ნაკრების ფეხბურთელის თამაშით უკმაყოფილება საჯაროდ დააფიქსირა **როი ჰოჯსონის** ასისტენტმა **გარი ნევილმა**. სიმართლე ითქვას, ამისთვის საფუძველი ნამდვილად არსებობს. გაზეთებში გაჩნდა ვერსია, რომ „სიტი" „რეალიდან" **იკერ კასილიასის** შეძენას შეეცდებოდა, თუმცა ოფიციალურად ინფორმაცია არავის დაუდასტურებია. ესპანური „მარკა" კომენტარისთვის **პაბლო საბალეტას** დაუკავშირდა. არგენტინელის პასუხი მოკლე და ამომწურავი იყო: *„სიტის" კასილიასი არ სჭირდება. შეიძლება მას სხვები ნამდვილად იწვევდნენ, მაგრამ იმედია, ის მადრიდშივე დარჩება".*

## ოტამენდი ლონდონში

„ექსპრესის" ცნობით, „პორტუს" 25 წლის ცენტრალური მცველი **ნიკოლას ოტამენდი** 2014/15 წლების სეზონს „ჩელსიში" დაიწყებს. აქამდე ცნობილი იყო, რომ არგენტინის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის ყიდვას „ზენიტი", „მილანი" და „ბარსელონა" გეგმავდნენ. ლონდონელთა ინტერესი კი ბევრისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა. თუკი ინფორმაცია დადასტურდა, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ „ჩელსი" **ელიაკიმ მანგალასთვის** ბრძოლას ჩამოშორდება, ვინც იმავე „პორტუს" ღირსებას იცავს.

## სანია დაისვენებს

„არსენალის" 30 წლის მარჯვენა მცველმა **ბაკარი სანიამ** ჩემპიონთა ლიგის II ტურში „ნაპოლისთან" მუხლის მყესები დაიზიანა, თუმცა თამაში მაინც ჩაამთავრა, რამაც ტკივილი კიდევ უფრო გააძლიერა. წინასწარი ვარაუდით მას სამი კვირა გაუცდება. „ვესტ ბრომვიჩთან" ხვალინდელი დაპირისპირების გარდა ის „ნორვიჩთან" და „კრისტალ პალასთან" მომდევნო ტურებშიც არ იქნება. ამას გარდა ვეტერანი საფრანგეთის ნაკრებს 15 ოქტომბერს ფინელებთან ვერ დაეხმარება.

### სკანდალი

# ვენგერი განიკითხავს, აგენტი უარყოფს



უილშირის აგენტი ამ ფოტოზე გვიმტკიცებს, რომ ფეხბურთელი არ ეწევა

„ნაპოლისთან" თამაშის (2:0) დასრულების შემდეგ „არსენალის" 21 წლის ნახევარმცველი **ჯეკ უილშირი** შესანიშნავ ხასიათზე მყოფი ლონდონის ერთ-ერთ ღამის კლუბს ეწვია. ამაში თავისთავად სკანდალური არაფერია, რადგან იქ სხვა არსენალელებიც იყვნენ. იქაურობის ერთ-ერთმა სტუმარმა ფეხბურთელი კლუბის შესასვლელში სიგარეტით ხელში დააფიქსირა. ფოტო სკანდალებით სახელგანთქმულმა „სანმა" გამოაქვეყნა. ამ ყოველივემ არსენ ვენგერი ზომაზე მეტად აღაშფოთა: *„მსგავს საქციელს კატეგორიულად ვგმობ. ამ თემაზე ჯეკს აუცილებლად დაველაპარაკები. პროფესიონალმა ფეხბურთელმა არ უნდა გადადგას ისეთი ნაბიჯი, რაც მის ჯანმრთელობას გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს. შეიძლება ლუდი დალიო და მერე სიგარეტიც დააყოლო, მაგრამ როცა ამას ხალხის დასანახად აკეთებ, ამით შენს იმიჯს მიწასთან ასწორებ".*

„მეთოფეთა" თავკაცის სამართლიანი აღშფოთების შემდეგ სპეციალური განცხადება გააკეთა უილშირის აგენტმა: *„ჯეკი კლუბში თანაგუნდელებთან და მეგობრებთან ერთად იყო. მას სიგარეტი ნამდვილად უჭირავს ხელში, თუმცა არ მოუწევია. მეტიც, ის არც სხვების მაგალითს მიესალმება. ჯეკი ჯანმრთელი ცხოვრების წესს მისდევს".* ერთია რას ამბობს აგენტი და მეორეა, რომ ფოტო აშკარად საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

იტალია. სერია A. VII ტურის წინ

# სუპერმატჩი სუპერმარიოს გარეშე

## დიდი მატჩები ასარჩევად: მილანში, რომში, ტურინში...

5 ოქტომბერი. მილანი.
ჯუზეპე მეაცა. 22:45

**ინტერი**

ურთიერთშეხვედრები
სულ 57 თამაში: +24=17-16, (99-85)

**რომა**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** მარტინ დემიჩელისი, ჯეკ როდუელი - დარონ გიბსონი, კევინ მირალიაში, სტივენ პიენაარი, ანტოლინ ალკარასი

### სავარაუდო შემადგენლობა




| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რომა | 6 | 6 | 0 | 0 | 17-1 | 18 |
| 2. ნაპოლი | 6 | 5 | 1 | 0 | 14-4 | 16 |
| 3. იუვენტუსი | 6 | 5 | 1 | 0 | 11-4 | 16 |
| 4. ინტერი | 6 | 4 | 2 | 0 | 16-3 | 14 |
| 5. ფიორენტინა | 6 | 3 | 2 | 1 | 13-8 | 11 |
| 6. ლაციო | 6 | 3 | 1 | 2 | 11-10 | 10 |
| 7. ვერონა | 6 | 3 | 1 | 2 | 9-9 | 10 |
| 8. ლივორნო | 6 | 2 | 2 | 2 | 8-6 | 8 |
| 9. მილანი | 6 | 2 | 2 | 2 | 11-10 | 8 |
| 10. ტორინო | 6 | 2 | 2 | 2 | 8-8 | 8 |
| 11. კალიარი | 6 | 1 | 4 | 1 | 8-9 | 7 |
| 12. უდინეზე | 6 | 2 | 1 | 3 | 7-8 | 7 |
| 13. ატალანტა | 6 | 2 | 0 | 4 | 8-10 | 6 |
| 14. პარმა | 6 | 1 | 3 | 2 | 8-11 | 6 |
| 15. ჯენოა | 6 | 1 | 1 | 4 | 5-10 | 4 |
| 16. კატანია | 6 | 1 | 1 | 4 | 4-10 | 4 |
| 17. კიევო | 6 | 1 | 1 | 4 | 5-12 | 4 |
| 18. ბოლონია | 6 | 0 | 3 | 3 | 7-16 | 3 |
| 19. სამპდორია | 6 | 0 | 2 | 4 | 4-11 | 2 |
| 20. სასუოლო | 6 | 0 | 2 | 4 | 4-18 | 2 |

**ბომბარდირები:** 5 - ჩერჩი (ტორინო), როსი (ფიორენტინა); 4 - ჰამშიკი (ნაპოლი); 3 - კალეხონი (ნაპოლი), იგუაინი (ნაპოლი), ვიდალი (იუვენტუსი), ბორხა ვალერო (ფიორენტინა), პაულინიო (ლივორნო), ბალოტელი (მილანი), ტევესი (იუვენტუსი), ჟერვინიო (რომა).

### 5 ოქტომბერი

**კიევო-ატალანტა 20.30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** დაინელი, კუპიში - ჯორჯი, კაცოლა, მილიაჩო.

ურთიერთშეხვედრები
სულ 21 თამაში: +4=8-9, (18-25)

**პარმა-სასუოლო 15.00**

**დისკვალიფიკაცია:** ამაური, მარკიონი (პარმა).
**ტრავმა:** გალოპა, პალეტა - ანტეი, მარონე, ტერანოვა, გომესი.

ურთიერთშეხვედრები
სულ 2 თამაში: +0=2-0, (3-3)

**ბოლონია-ვერონა 17.30**

**დისკვალიფიკაცია:** ნატალი (ბოლონია).
**ტრავმა:** კერუბინი, პაციენცა, ხიმენესი - რაგაცუ, მარტინიო, მორასი.

ურთიერთშეხვედრები
სულ 12 თამაში: +8=2-2, (22-12)

**კატანია-ჯენოა 17.30**

**დისკვალიფიკაცია:** ლანცაფამე - მარკეზე.
**ტრავმა:** ალვარესი, სპოლი, პერუცი - ანტონელი.

ურთიერთშეხვედრები
სულ 19 თამაში: +10=3-6, (25-21)

### 6 ოქტომბერი

**ნაპოლი-ლივორნო 17.30**

**დისკვალიფიკაცია:** დე ლუკა (ლივორნო).
**ტრავმა:** მაჯო, ალბიოლი - ბიტა, ჯემიტი, ბიაჯანტი.

ურთიერთშეხვედრები
სულ 9 თამაში: +5=2-2, (10-8)

**სამპდორია-ტორინო 17.30**

**დისკვალიფიკაცია:** კოსტა, კრსტიჩიჩი - გაცი, ბარეტო, ჟილე.
**ტრავმა:** ბერარდი - ლარონდო, როდრიგესი.

ურთიერთშეხვედრები
სულ 20 თამაში: +8=6-6, (22-17)

**უდინეზე-კალიარი 17.30**

**დისკვალიფიკაცია:** კონტი (კალიარი).
**ტრავმა:** დომიცი, პინცი, ბრკიჩი - პიზანო, კოსუ, ეკდალი.

ურთიერთშეხვედრები
სულ 28 თამაში: +17=6-5, (51-28)

**ლაციო-ფიორენტინა 23.15**

**დისკვალიფიკაცია:** მაური - ლუკარელი, ოლივერა.
**ტრავმა:** პერეირინია, ბერიშა, რადუ, ბიავა, ნივარეტი, კონკო, კლოზე - როსი, გომესი, პასკუალი, აგაცი, რებიჩი.

ურთიერთშეხვედრები
სულ 10 თამაში: +7=1-2, (18-8)



ტურინში ჩამოცხება

**სერია A-ს მიმდინარე გათამაშება ხეირიანად დაწყებული არაა და უკვე ბევრი საინტერესო ჯახი ვიხილეთ... რომაული დერბი, რომელშიც „რომამ“ რევანში აიღო; დიდი იტალიური დერბი, სადაც „ინტერი“ „იუვენტუსს“ მედგრად დაუხვდა; „ინტერი“-„ფიორენტინა“, სადაც მილანელები აგებდნენ და მოიგეს; თუნდაც „იუვენტუსის“ მიერ „ლაციოს“ კიდევ ერთხელ განადგურება, ან გნებავთ „ნაპოლის“ „მილანზე“ გამარჯვება. მოკლედ, იტალიის ჩემპიონატი გვანებივრებს და ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეული ტური სწორედ ამ უქმეებზე შედგება...**

### რომელია მთავარი?

მიუხედავად იმისა, რომ ამავე ტურში „იუვენტუსი“-„მილანის“ ჯახი შედგება, ბევრი ტურის ცენტრალურ პაექრობად „რომა“-„ინტერის“ დაპირისპირებას მიიჩნევს. ეს სადღაც ლოგიკურია, რადგან ბევრისთვის მოულოდნელად, ორივე გუნდმა სეზონი შესანიშნავად დაიწყო. განსაკუთრებით ეს „რომაზე“ ითქმის, რომელსაც 6 მატჩიდან 6 მოგება აქვს. მოკლედ, წინ მეტად საინტერესო თამაში გველის, რომლის პროგნოზირება ურთულესი საქმეა.

მატჩის წინ, ჟურნალისტთა წინაშე ორივე გუნდის მწვრთნელი წარსდგა, კომენტარები კი დაახლოებით იდენტური გაკეთდა - **რუდი გარსიამ** და **ვალტერ მაცარიმ** ერთმანეთი შეაქეს, რთული თამაში იწინასწარმეტყველეს და დაგვპირდნენ, დროის დიდ ნაწილს შეტევაში გავლევთო. შეტევაზე ორიენტირებული უფრო რომაელთა ტაქტიკა-შემადგენლობა იქნება, დანარჩენი კი მოედანზე გამოჩნდება...

### შეტევაში დაჭრილი იები

„რომას“ წარმატების ფონზე, „ლაციო“ ჩრდილშია მოქცეული, მაგრამ ამ გუნდს რომ ნებისმიერ დროს შეუძლია სიჩქარის აკრეფვა, ბოლო სეზონებში არაერთხელ დამტკიცდა. „ფიორენტინასთან“ თამაშის წინ, **ვლადიმირ პეტკოვიჩმა** შემდეგი განაცხადა:

*„სეზონი ისე ვერ დავიწყეთ, როგორც გვსურდა და დროა, ვითარება გამოვასწოროთ. ამისთვის „ფიორენტინასთან“ ჯახი ნამდვილად მისწრებაა, რადგან ძლიერი მეტოქის დამარცხება საკუთარი თავის რწმენას გაგვიზრდის. ფეხბურთელები საბრძოლველად არიან განწყობილნი და მჯერა, რომ სასურველ მიზანს მივაღწევთ“.*

„ლაციოსთან“ მატჩს „ფიორენტინა“ პრობლემებით ხვდება - **ჯუზეპე როსი** და **მარიო გომესი** ტრავმირებულნი არიან, მათ ნაცვლად კი ძირითად შემადგენლობაში **იოსიპ ილიჩიჩს** და **რიდერ მატოსს** ვიხილავთ; ეს უკანასკნელი ბრაზილიელია და აქამდე არც მისცემია თავის გამოჩენის საშუალება. ვნახოთ, წინ საინტერესო მატჩი გველის...

### ყველაფერი ცენტრში გადაწყდება

ტურის კიდევ ერთი გამორჩეული შეხვედრა ტურინში გაიმართება, სადაც „იუვენტუსი“ „მილანს“ უმასპინძლებს. მიუხედავად იმისა, რომ „როსონერი“ ცხრილის შუაგულშია გაჭედილი და ბოლო ხანს ვერც „იუვე“ ბრწყინავს, ამ გუნდთა ჯახი ყოველთვის უდიდეს ინტერესს იწვევს.

ტურინელებმა ჩემპიონთა ლიგაზე ხასიათი წაიხდინეს და მის გამოკეთებას „როსონერისთან“ შეეცდებიან - სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება **ანტონიო კონტემ:** *„ჩემპიონთა ლიგაზე მძიმე მატჩი გადავიტანეთ და რაც ყველაზე სამწუხაროა, სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ. ამიტომ, გულშემატკივართა წინაშე სარეაბილიტაციოდ გვაქვს საქმე და ეს „მილანთან“ უნდა მოვახერხოთ. „როსონერი“ ძლიერ გუნდებთან ყოველთვის მობილიზებულია და ცხადია, რომ წინ ურთულესი მატჩი გველის“.*

დიდი სამზადისია „მილანის“ ბანაკშიც, რომელსაც სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თამაშს დისკვალიფიცირებული **მარიო ბალოტელი** გამოტოვებს. სუპერმარიოს აყოფნაში, შეტევის წინა ხაზზე ალბათ **რობინიო** და **ალესანდრო მატრი** გაირჯებიან. როგორც **მასიმილიანო ალეგრი** ამბობს, მთავარი ბრძოლა ცენტრში გაჩაღდება.

**ლაშა წიკლაური**

6 ოქტომბერი. ტურინი.
იუვენტუს არენა. 22:45

**იუვენტუსი**

ურთიერთშეხვედრები
სულ 45 თამაში: +17=14-14, (58-50)

**მილანი**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** მარტინ დემიჩელისი, ჯეკ როდუელი - დარონ გიბსონი, კევინ მირალიაში, სტივენ პიენაარი, ანტოლინ ალკარასი

### სავარაუდო შემადგენლობა




## ამბები

### ტევესმა კალჩო შეაფასა

„იუვენტუსის“ არგენტინელმა თავდამსხმელმა **კარლოს ტევესმა** „გაძეტა დელო სპორტს“ ვრცელი კომენტარი მისცა და იტალიურ საკლუბო ფეხბურთზე საკუთარი მოსაზრებები გაუზიარა. როგორც აღმოჩნდა, 29 წლის სამხრეთამერიკელს კალჩოზე მცდარი წარმოდგენა ჰქონდა შექმნილი:

*„როდესაც იტალიის ჩემპიონატს ტელევიზორით ვადევნებდი თვალს, მეგონა რომ არავინ დარბოდა და თამაშებიც ნელ ტემპში მიმდინარეობდა. რეალობა სხვაგვარი ყოფილა და ჩემი შეცდომა უნდა ვაღიარო. დღეს, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სერია A-ში თამაში ყველაზე რთულია, სადაც კი ოდესმე მითამაშია. აქ ყველა წვრილმან დეტალს უდიდესი ყურადღება ექცევა, დაწყებული ტაქტიკური ნიუანსებიდან, ეს ყველაფერი კი სწორედაც რომ მაღალ ტემპში უნდა გაკეთდეს. მოკლედ, იტალიაში თამაში მეტად რთული და ძალიან საინტერესოა“.*

### გუარინმა ინტერი იუვეს ამჯობინა

როგორც იტალიელ სპორტულ ჟურნალისტებს **ფრედი გუარინმა** განუცხადა, თავის დროზე, მას „იუვენტუსში“ გადასვლა შეეძლო, მაგრამ არჩევანი „ინტერზე“ შეაჩერა. მოვუსმინოთ 26 წლის კოლუმბიელს:

*„როდესაც პორტუგალიაში ვასპარეზობდი, პირველად „იუვენტუსის“ მესვეურები დამიკავშირდნენ და მოლაპარაკებაც დავიწყეთ. იყო შანსი, რომ ტურინულ გრანდში გადავსულიყავი, მაგრამ შემდეგ „ინტერი“ გამოვიდა კონტაქტზე და მეც ბევრი ფიქრის გარეშე გავაკეთე არჩევანი. „ნერაძური“ დიდი ხანია მესიპათიურება და ამ გუნდში თამაში ყოველთვის მინდოდა. მეტიც, მსურს კარიერა სწორედ „ინტერში“ დავასრულო“.*

**ლაშა წიკლაური**

### საბელიამ იკარდი გამოიძახა

**ალეხანდრო საბელიამ** ეროვნულ გუნდში კიდევ ერთი ფეხბურთელი გამოიძახა. არგენტინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, როგორც იქნა, **მაურო იკარდი** მიიწვია და ამ საქციელით დაამშვიდა, როგორც არგენტინელი ჟურნალისტები და სპეციალისტები, ასევე გულშემატკივრები.

შეგახსენებთ, რომ „ალბისელესტეს“ მუნდიალის საგზური უკვე მოპოვებული აქვს და ამის ფონზე, ჟურნალისტებისთვის გაუგებარი გახდა საბელიას გადაწყვეტილება, რომელმაც საკმაოდ კარგ ფორმაში მყოფი იკარდი არ გამოიძახა. შეგახსენებთ, რომ „ინტერის“ 20 წლის ფორვარდი იტალიის მოქალაქეც არის და იყო საფრთხე, რომ მას სწორედ „სკუადრა აძურაში“ ეთამაშა. ახლა, თუ პერუსთან ან ურუგვაისთან ითამაშა, არგენტინა იკარდის საბოლოოდ დაიბევებს.

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. VIII ტურის წინ

# რეალის რთული გასვლა

## ბარსელონამ და ატლეტიკომ თავიანთი მატჩები უნდა მოიგონ

| | |
|---|---|
| ვილიარეალი-გრანადა | 3:0 |
| მალაგა-ოსასუნა | 0:1 |

5 ოქტომბერი. ვალენსია.
სიუდად დე ვალენსია. 22:00

**ლევანტე**

ბოლო 6 მატჩი
+2 =4 -0 (6-4) +4 =1 -1 (12-6)
ურთიერთშეხვედრები
სულ 14 თამაში: +3 =1 -10 (11:39)

**რეალი**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** - ჩაბი ალონსო, ბეილი

### 5 ოქტომბერი

**ელჩე-ესპანიოლი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** ბოტია (ელჩე)
**ტრავმა:** საპუნარუ, სერხიო პელეგრინი - ხუან ფუენტესი, ვიქტორ ალვარესი

ბოლო 6 მატჩი
+1 =3 -2 (6-7) +2 =2 -2 (7-8)
ურთიერთშეხვედრები
არ უთამაშიათ

**ვალეკანო-სოსიედადი 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** სება ფერნანდესი, ტიტო, იაგო ფალკე, ხოსე კარლოსი - ჩაბი პრიეტო, დანი ესტრადა, სურუტუსა, გრანერო, ელუსტონდო, იფრანი

ბოლო 6 მატჩი
+1 =0 -5 (5-16) +0 =4 -2 (4-8)
ურთიერთშეხვედრები
სულ 23 თამაში: +9 =5 -9 (35:37)

**ბარსელონა-ვალიადოლიდი 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** მასკერანო, ალბა, კუენკა, აფელაი - ალვარო რუბიო, ოსკარი, დ. ლარსონი, ვიქტორ პერესი, სასტრე

ბოლო 6 მატჩი
+6 =0 -0 (23-5) +1 =3 -2 (5-7)
ურთიერთშეხვედრები
სულ 30 თამაში: +22 =5 -3 (74:23)

### 6 ოქტომბერი

**ატლეტიკო-სელტა 14:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** მარიო სუარესი, ადრიანი - ბელვისი, სამუელ ლორკა, ბერმეხო

ბოლო 6 მატჩი
+6 =0 -0 (16-4) +1 =2 -3 (5-8)
ურთიერთშეხვედრები
სულ 26 თამაში: +12 =6 -8 (40:34)

### 6 ოქტომბერი

**სევილია-ალმერია 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ჩერიშევი, მბია, ფ. ნავარო, ვიტოლო, კარიკო, რეიესი, სისინიო

ბოლო 6 მატჩი
+1 =2 -3 (11-13) +0 =3 -3 (8-14)
ურთიერთშეხვედრები
სულ 8 თამაში: +5 =0 -3 (10:11)

**ხეტაფე-ბეტისი 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ლაფიტა, ვალერა - რუბენ კასტრო, ხუან კარლოსი, სერხიო როდრიგესი, ედერ ვილარჩაო

ბოლო 6 მატჩი
+3 =1 -2 (9-8) +2 =2 -2 (6-5)
ურთიერთშეხვედრები
სულ 18 თამაში: +4 =7 -7 (18:24)

**ბილბაო-ვალენსია 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** საბორიტი, ბალენსიაგა, კიკე სოლა, ეკისა - ელდერ პოშტიგა, გუაიტა, რ. კოშტა, პიატი

ბოლო 6 მატჩი
+3 =0 -3 (10-11) +3 =0 -3 (9-10)
ურთიერთშეხვედრები
სულ 40 თამაში: +11 =9 -20 (48:68)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 7 | 7 | 0 | 0 | 24-5 | 21 |
| 2. ატლეტიკო | 7 | 7 | 0 | 0 | 19-5 | 21 |
| 3. ვილიარეალი | 8 | 5 | 2 | 1 | 15-7 | 17 |
| 4. რეალი | 7 | 5 | 1 | 1 | 14-7 | 16 |
| 5. ბილბაო | 7 | 4 | 0 | 3 | 12-12 | 12 |
| 6. ვალენსია | 7 | 4 | 0 | 3 | 10-10 | 12 |
| 7. ესპანიოლი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-9 | 11 |
| 8. ხეტაფე | 7 | 3 | 1 | 3 | 9-10 | 10 |
| 9. ლევანტე | 7 | 2 | 4 | 1 | 6-11 | 10 |
| 10. მალაგა | 8 | 2 | 3 | 3 | 11-7 | 9 |
| 11. ბეტისი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-7 | 8 |
| 12. გრანადა | 8 | 2 | 2 | 4 | 5-8 | 8 |
| 13. სოსიედადი | 7 | 1 | 4 | 2 | 6-8 | 7 |
| 14. სევილია | 7 | 1 | 3 | 3 | 11-13 | 6 |
| 15. სელტა | 7 | 1 | 3 | 3 | 7-10 | 6 |
| 16. ვალიადოლიდი | 7 | 1 | 3 | 3 | 6-9 | 6 |
| 17. ელჩე | 7 | 1 | 3 | 3 | 6-10 | 6 |
| 18. ოსასუნა | 8 | 2 | 0 | 6 | 6-13 | 6 |
| 19. ალმერია | 7 | 0 | 3 | 4 | 10-17 | 3 |
| 20. ვალეკანო | 7 | 1 | 0 | 6 | 5-21 | 3 |

**ბომბარდირები:** 8 - მესი (ბარსელონა), დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 6 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 5 - პედრო (ბარსელონა)

სავარაუდო შემადგენლობა




**პრიმერას მერვე ტური პარასკევს ორი მატჩით დაიწყო, „ბარსელონა“ და „რეალი“ თავიანთ მატჩებს დღეს ჩაატარებენ, „ატლეტიკო“ კი კვირას დილით ითამაშებს. ტურის ბოლო შეხვედრა საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევს - ბილბაოში, „ატლეტიკი“ „ვალენსიას“ უმასპინძლებს...**

## რეალს რთული მატჩი ელის

მადრიდის „რეალი“ სტუმრად „ლევანტეს“ შეხვდება. ვალენსიელები საკმაოდ კარგ ფორმაში არიან - „ბარსელონასთან“ პირველ ტურში განადგურების შემდეგ (0:7), **ხოაკინ კაპაროსის** გუნდს უკვე 6 მატჩია არ წაუგია. უკანასკნელ ტურში „ბაყაყებმა“ „ოსასუნას“ სძლიეს და სატურნირო ცხრილში მე-9 ადგილზე გადაინაცვლეს. ზოგადად, „ლევანტე“ საშინაო გუნდად ითვლება, მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ, რომ ვალენსიელებს საკუთარ მოედანზე უკვე 8 მატჩია (წინა სეზონის ჩათვლით) არ უმარჯვიათ, თანაც ამ პერიოდში გუნდმა შინ მხოლოდ 4 გოლი გაიტანა.

შარშან, „სიუდად დე ვალენსიაზე“ „რეალმა“ 2:1 მოიგო, გადამწყვეტი გოლი კი **ალვარო მორატამ** გაიტანა, რომელიც დღეს, შესაძლოა, ძირითად შემადგენლობაში იყოს. მსგავსი მოსაზრება თავად **კარლო ანჩელოტიმ** გააჟღერა, რომელმაც პრესკონფერენციაზე შემდეგ რამ განაცხადა:

*„გუნდის პირველი ფორვარდი უდავოდ ქარიმ ბენზემაა, თუმცა „ლევანტესთან“ შეიძლება მორატამ ითამაშოს. ვალენსიელები შინ საკმაოდ კარგად თამაშობენ და ჩვენ რთული მატჩის მოლოდინში ვართ. „ვილიარეალთან“ და „ელჩესთან“ სერიოზული პრობლემები შეგვექმნა და დარწმუნებული ვარ, რომ იოლი გასეირნება არც „ლევანტესთან“ გველის“.*

„რეალმა“ „კოპენჰაგენთან“ საკმაოდ დამაჯერებლად იმარჯვა. შესანიშნავი მატჩი ჩაატარა **ანხელ დი მარიამ**, ვინც იტალიელმა სპეციალისტმაც შეაქო. გარდა ამისა, გუნდს დაუბრუნდა **რაფაელ ვარანი**, რაც კარლოს დაცვაში კიდევ უფრო დიდი არჩევნის საშუალებას მისცემს. საეჭვოა **პეპეს** ასპარეზობა - პორტუგალიელმა ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში თავის ტრავმა მიიღო. არ იქნება **გარეთ ბეილიც**, რომელსაც მცირე ტრავმა აქვს და მადრიდელები სარეკორდო თანხად შეძენილ ფეხბურთელს დასვენების საშუალებას აძლევენ.


ალვარო მორატამ პრიმერაში პირველი გოლი შარშან, „ლევანტეს“ გაუტანა

## მოიგებს ბარსა მერვეს?

„ბარსელონა“ „ვალიადოლიდს“ უმასპინძლებს და ეცდება, რომ მოგებათა სარეკორდო სერია რვა მატჩამდე გაზარდოს. ამ გუნდების ბოლო 7 მატჩიდან ყველა „ბარსას“ გამარჯვებით დასრულდა, „ნოუ კამპზე“ კი „ვალიადოლიდმა“ ბოლოს 1997 წელს იმარჯვა.

მასპინძლებს არ ეყოლებათ **ლიონელ მესი,** სამაგიეროდ, შესაძლოა დაბრუნდეს **კარლეს პუიოლი**, რომელსაც პროფესიულ ფეხბურთში დებიუტი სწორედ „ვალიადოლიდთან“, 14 წლის წინ ჰქონდა. ძირითადში იქნება **სესკ ფაბრეგასი**, ვინც შუა კვირაში „სელტიკის“ კარში გაიტანა და გუნდს გამარჯვება მოუტანა.

**ხუან იგნასიო მარტინესის** გუნდმა სეზონში ერთადერთი გამარჯვება 31 აგვისტოს, საკუთარ მოედანზე, „ხეტაფესთან“ მოიპოვა.

## ატლეტიკო დილით ითამაშებს

**დიეგო სიმეონეს** გუნდმა სეზონი მართლაც საოცრად დაიწყო. „როხიბლანკომ“ საკლუბო რეკორდი დაამყარა და პრიმერაში ზედიზედ 7 გამარჯვება მოიპოვა, შუა კვირაში კი „ატლეტიკომ“ „დრაგაოზე“ იმარჯვა და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფს სათავეში ჩაუდგა. აი, ასეთ მეტოქესთან მოუწევს თამაში „სელტას“, რომელსაც უკვე 5 მატჩია არ უმარჯვია, ბოლო სამ შეხვედრაში კი გოლიც არ გაუტანია - **ლუის ენრიკეს** გუნდს უმძიმესი შეხვედრა ელის.

ჩემპიონთა ლიგაში დისკვალიფიცირებული **დიეგო კოშტა** ძირითად შემადგენლობაში იქნება და ეცდება, რომ შედეგიანი სერია 5 მატჩამდე გაზარდოს.

შარშანდელ სეზონში „ატლეტიკომ“ „სელტას“ ორივე მატჩი მოუგო და თუ რამე სასწაული არ მოხდა, ამ სეზონის პირველ დაპირისპირებაშიც გამარჯვება მადრიდელებს უნდა დარჩეთ. გალისიურ კლუბს კვლავ არ ეყოლება **სამუელ ლორკა** და **მარიო ბერმეხო,** მასპინძლებს კი **ადრიანის** და **მარიო სუარესის** იმედი არ უნდა ჰქონდეთ.

## ლამურები ახალ სან მამესზე

„ვალენსია“ ბილბაოს „ატლეტიკისთვის“ საკმაოდ უხერხული მეტოქეა. ამ გუნდების ბოლო მატჩი ბასკების გამარჯვებით კი დასრულდა, მაგრამ იქამდე ჩატარებული 8 მატჩიდან 7 „ვალენსიას“ ჰქონდა მოგებული, ერთი შეხვედრა კი ფრედ დასრულდა. იმის გათვალისწინებით, რომ **ერნესტო ვალვერდეს** გუნდი შინ შესანიშნავად თამაშობს, ხოლო „ლამურებს“ სტუმრად უჭირთ, ფავორიტად „ბილბაო“ უნდა მივიჩნიოთ, თუმცა „ვალენსიამ“ ბოლო დროს გამოილვიძა, პრიმერაში ზედიზედ სამი მატჩი მოიგო, რასაც ევროპა ლიგაზე „ყუბანის“ ძლევაც მიაყოლა.

მასპინძლებს **კიკე სოლა** და **ეკისა** არ ეყოლებათ, **მიროსლავ ჯუკიჩს** კი სერიოზული დანაკლისი აქვს - **ელდერ პოშტიგა, იგნასიო პიატი, ვისენტე გუაიტა** და **რიკარდო კოშტა** ტრავმირებულნი არიან და კვირას მათი ასპარეზობა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა.

ბრაზილია. სერია A XXV ტური

**პონტე პრეტა-ნაუტიკო 1:2**

**გოლები:** 1:0 ვილიამი (45), 1:1 უგო (81), 1:2 მაიკონ ლეიტე (90)

**გრემიო-ატლ. პარანაენსე 1:0**

**გოლი:** 1:0 რივეროსი (44)
**გაძევება:** ლუის ალბერტო (69. ატლეტიკო პარანაენსე), ე. ვარგასი (73. გრემიო), პედრო ბოტელიო (84. ატლეტიკო პარანაენსე)

**კრუზეირო-პორტუგეზა 4:0**

**გოლები:** 1:0 ევერტონ რიბეირო (6), 2:0 ბორჟესი (16), 3:0 ვილიანი (28), 4:0 ბორჟესი (30)

**ფლუმინენსე-ბოტაფოგო 1:1**

**გოლები:** 1:0 ბირო ბირო (3), 1:1 ბოლივარი (14)

**ვიტორია-გოიასი 2:1**

**გოლები:** 1:0 დ. ესკუდერო (16), 1:1 პედრაო (35), 2:1 ვილიამ ენრიკე (88)

**კორინთიანსი-ბაია 2:0**

**გოლები:** 1:0 გერერო (21), 2:0 კლებერი (41)

**კორიტიბა-ფლამენგო 0:2**

**გოლები:** 0:1 ანდრე სანტოსი (45), 0:2 ულასი (50)
**გაძევება:** ჟერმანო (83. კორიტიბა)

**სანტოსი-სან პაულო 3:0**

**გოლები:** 1:0 ედუ დრასენა (23), 2:0 ტიაგო რიბეირო (60), 3:0 ლეო ბასტოსი (90)
**გაძევება:** ალისონი (43. სანტოსი)

**ვასკო-ინტერნასიონ. 3:1**

**გოლები:** 1:0 ედმილსონი (10), 1:1 ჟორჟე ენრიკე (19), 2:1 ანდრე (43), 3:1 ვილი (75)

**VIII ტურის გადატანილი მატჩი**

**ატლ. მინეირო-პონტე პრეტა 4:0**

**გოლები:** 1:0 მარკოს როჩა (7), 2:0 ჟო (24), 3:0 ჟო (71), 4:0 ალექსანდრო (83)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კრუზეირო | 25 | 17 | 5 | 3 | 54-20 | 56 |
| 2. გრემიო | 25 | 13 | 6 | 6 | 31-21 | 45 |
| 3. ბოტაფოგო | 25 | 12 | 7 | 6 | 37-29 | 43 |
| 4. ატლ. პარანაენ. | 25 | 11 | 8 | 6 | 43-34 | 41 |
| 5. ატლ. მინეირო | 25 | 10 | 8 | 7 | 32-26 | 38 |
| 6 ვიტორია | 25 | 10 | 7 | 8 | 36-35 | 37 |
| 7. სანტოსი | 25 | 9 | 9 | 7 | 32-25 | 36 |
| 8. ფლუმინენსე | 25 | 9 | 7 | 9 | 31-32 | 34 |
| 9. კორინთიანსი | 25 | 8 | 10 | 7 | 22-17 | 34 |
| 10. ინტერნასიონ. | 25 | 8 | 10 | 7 | 37-37 | 34 |
| 11. ფლამენგო | 25 | 8 | 9 | 8 | 30-30 | 33 |
| 12. გოიასი | 25 | 8 | 9 | 8 | 27-31 | 33 |
| 13. ბაია | 25 | 8 | 8 | 9 | 26-31 | 32 |
| 14. პორტუგეზა | 25 | 8 | 7 | 10 | 37-38 | 31 |
| 15. კორიტიბა | 25 | 7 | 10 | 8 | 28-33 | 31 |
| 16. ვასკო | 25 | 7 | 7 | 11 | 34-41 | 28 |
| 17. სან პაულო | 25 | 7 | 6 | 12 | 21-27 | 27 |
| 18. კრისიუმა | 25 | 7 | 4 | 14 | 31-43 | 25 |
| 19. პონტე პრეტა | 25 | 6 | 4 | 15 | 25-39 | 22 |
| 20. ნაუტიკო | 25 | 4 | 5 | 16 | 16-41 | 17 |

# კრუზეირო: სრული სვლით ტიტულისკენ

**ბომბარდირები:** 15 - ედერსონი (ატლეტიკო პარანაენსე); 12 - ვილიამი (პონტე პრეტა); 11 - ჟილბერტო (პორტუგეზა); 10 - ალექსი (კორიტიბა), ანდრე (ვასკო და გამა), ფერნანდაო (ბაია); 9 - ერნანი (ფლამენგო)

ბრაზილიის ჩემპიონატის 25-ე ტურში მორიგი გამარჯვება მოიპოვა „კრუზეირომ“ და ჩემპიონობისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. მართალია, ტურნირის დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო (13 ტური) დარჩა და ამ ტურში „გრემიომაც“ იმარჯვა, მაგრამ **მარსელო ოლივეირას** გუნდი იმდენად დამაჯერებლად გამოიყურება, რომ ტიტულის მოპოვებაში ხელს სასწაული თუ შეუშლის.

ამჯერად, „მელიებმა“ საკმაოდ კარგ ფორმაში მყოფ „პორტუგეზას“ უმასპინძლეს და საქმე 30-ე წუთისთვის მოუთავეს. არადა, სტუმრებს უკანასკნელი სამი მატჩი მოგებული ჰქონდათ და ბელუ ორიზონტიშიც ოპტიმისტური განწყობით ჩავიდნენ, თუმცა ნახევარი საათის შემდეგ ანგარიში 4:0 იყო. ლიდერმა ბოლო 11 ტურში მე-10 გამარჯვება (1 ფრე) მოიპოვა.

საინტერესო სიტუაციაში აღმოჩნდა „პონტე პრეტა“ - სან პაულოს წარმომადგენელმა ორ დღეში ორი მატჩი ჩაატარა და ნული ქულა აიღო. ჯერ, **ჟორჟინიოს** შეგირდებმა აუტსაიდერ „ნაუტიკოს“ უმასპინძლეს და 1:2 წააგეს, არადა, მასპინძელთა დამრიგებელმა აქცენტი სწორედ ამ მატჩზე გააკეთა და მოედანზე ძირითადი შემადგენლობა გამოიყვანა. ორი დღის შემდეგ კი მეორე შემადგენლობით მოთამაშე „პონტე პრეტამ“ „ატლეტიკო მინეიროსთან“ უშანსოდ, 0:4 წააგო. ლიბერტადორესის თასის მფლობელთა რიგებში დუბლის ავტორი **ჟო** და ორი საგოლე გადაცემის შემსრულებელი **ლუანი** გამოირჩნენ.

3-მატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა „ბოტაფოგომ“, რომელიც „ფლუმინენსე“ დაუზავდა. **კლარენს ზეედორფის** გუნდმა ძალიან მოუკლო და უკვე მესამე ადგილამდე ჩამოქვეითდა. მომდევნო ტურში „ფოგო“ მეორე ადგილზე მყოფ „გრემიოს“ ეთამაშება, რომელმაც ამ ტურში „ატლეტიკო პარანაენსეს“ 1:0 მოუგო. ერთადერთი გოლი **კრისტიან რივეროსმა** გაიტანა, გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა **ედუარდო ვარგასმა** კი წითელი ბარათი მიიღო, ასე რომ, ჩილეს ნაკრების წევრი „ბოტაფოგოს“ ვერ დაუპისპირდება, რაც **ოსვალდო დე ოლივეირას** გუნდის შანსებს გაზრდის.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია. ბუნდესლიგა. VIII ტურის წინ

### 4 ოქტომბერი

ჰანოვერი-ჰერტა 1:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დორტმუნდი | 7 | 6 | 1 | 0 | 21-5 | 19 |
| 2. ბაიერნი | 7 | 6 | 1 | 0 | 14-2 | 19 |
| 3. ლევერკუზენი | 7 | 6 | 0 | 1 | 17-7 | 18 |
| 4. ჰანოვერი | 8 | 4 | 1 | 3 | 11-11 | 13 |
| 5. ჰერტა | 8 | 3 | 3 | 2 | 14-9 | 12 |
| 6. შტუტგარტი | 7 | 3 | 1 | 3 | 15-9 | 10 |
| 7. გლადბახი | 7 | 3 | 1 | 3 | 17-13 | 10 |
| 8. აუგსბურგი | 7 | 3 | 1 | 3 | 8-11 | 10 |
| 9. ვერდერი | 7 | 3 | 1 | 3 | 8-11 | 10 |
| 10. ჰოფენჰაიმი | 7 | 2 | 3 | 2 | 18-18 | 9 |
| 11. ვოლფსბურგი | 7 | 3 | 0 | 4 | 9-9 | 9 |
| 12. მაინცი | 7 | 3 | 0 | 4 | 10-15 | 9 |
| 13. აინტრახტი | 7 | 2 | 2 | 3 | 10-12 | 8 |
| 14. შალკე | 7 | 2 | 2 | 3 | 10-16 | 8 |
| 15. ნიურნბერგი | 7 | 0 | 5 | 2 | 9-12 | 5 |
| 16. ჰამბურგი | 7 | 1 | 2 | 4 | 12-19 | 5 |
| 17. ფრაიბურგი | 7 | 0 | 3 | 4 | 8-17 | 3 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 7 | 0 | 1 | 6 | 3-18 | 1 |

**ბომბარდირები:** 6 - იბიშევიჩი (შტუტგარტი), ლევანდოვსკი (დორტმუნდი), მოდესტე (ჰოფენჰაიმი), ნ. მიულერი (მაინცი); 5 - ალაგუი (ჰერტა), ობამეიანგი (დორტმუნდი), კისლინგი (ლევერკუზენი), სემი (ლევერკუზენი).

### 5 ოქტომბერი

**შალკე-აუგსბურგი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ფუხსი, კ. პაპადოპულოსი, ანანი, ფარფანი, ჰუნტელაარი, ობასი - ბობადილია

ბოლო 6 მატჩი
+2=1-3 +3=1-2
ურთიერთშეხვედრები
**სულ 4 თამაში: +2=2-0, (7:3)**

**გლადბახი-დორტმუნდი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** დემსი - პიშჩეკი, სარი, შმელცერი, გიუნდოგანი, კელი

ბოლო 6 მატჩი
+3=1-2 +5=1-0
ურთიერთშეხვედრები
**სულ 82 თამაში: +26=28-28, (137:136)**

**შტუტგარტი-ვერდერი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** დი სანტო (ვერდერი)
**ტრავმა:** ულრაიხი, ნიდერმაიერი, დიდავი, ლაიტნერი, როხასი - ლუკიმია, ბარგფრედე, იგნიოვსკი, მაკიადი, პ. სტევანოვიჩი, იოზ. ილდირიმი

ბოლო 6 მატჩი
+3=1-2 +2=1-3
ურთიერთშეხვედრები
**სულ 94 თამაში: +33=29-32, (149:162)**

**ვოლფსბურგი-ბრაუნშვაიგი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ვიეირინია, დოსტი - პეტკოვიჩი, კორეია, ჰოხშაიდტი

ბოლო 6 მატჩი
+3=0-3 +0=1-5
ურთიერთშეხვედრები
**არ შეხვედრიან**

05.10. ლევერკუზენი. ბაი არენა 20:30

**ლევერკუზენი**

ბოლო 6 მატჩი
+5=0-1 +5=1-0
ურთიერთშეხვედრები
**სულ 68 თამაში: +15=13-40, (83:132)**

**ბაიერნი**

სავარაუდო შემადგენლობები




**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ბადშტუბერი, ჰოიბერგი, ხავი მარტინესი, ტიაგო ალკანტარა (ყველა ბაიერნი)

### 5 ოქტომბერი

**მაინცი-ჰოფენჰაიმი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** კარიუსი, ბუნგერტი, კოხი, სვენსონი, ბაუმგარტლინგერი, შ. პარკერი - ლუდვიგი, ვუკჩევიჩი

ბოლო 6 მატჩი
+2=0-4 +2=2-2
ურთიერთშეხვედრები
**სულ 8 თამაში: +5=2-1, (13:9)**

### 6 ოქტომბერი

**ნიურნბერგი-ჰამბურგი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** მარკოს ანტონიო, გებჰარტი, გინჩეკი - დიკმაიერი, რაიკოვიჩი, დემირბაი, ილიჩევიჩი, რინკონი

ბოლო 6 მატჩი
+0=4-2 +1=1-4
ურთიერთშეხვედრები
**სულ 62 თამაში: +14=16-32, (73:122)**

**ფრაიბურგი-აინტრახტი 19:30**

**დისკვალიფიკაცია:** დიანიე (ფრაიბურგი)
**ტრავმა:** ჰედენსტადი, მუიჯა, დარიდა, პილარი, ტერაცინო - კიტელი, მაიერი, როზენტალი, შვეგლერი, შტენდერა

ბოლო 6 მატჩი
+0=3-3 +2=2-2
ურთიერთშეხვედრები
**სულ 20 თამაში: +8=2-10, (22:29)**

# ბაიერნი ბაიერნის წინააღმდეგ

## ...და ბორუსიების მძაფრი დუელი მიონხენგლადბახში

**ბუნდესლიგის მე-8 ტური ორ გამორჩეულად საინტერესო დუელს გვთავაზობს: მიუნხენის „ბაიერნი" შაბათის საღამოს მატჩში ლევერკუზენის „ბაიერს" სტუმრობს, მანამდე კი მიონხენგლადბახში „ბორუსიების" დაპირისპირებაა. ერთმანეთს მნიშვნელოვანი ქულებისთვის შეებრძოლებიან „ვოლფსბურგი" და „ბრაუნშვაიგიც". კვირას, „ნიურნბერგი" (ჰამბურგთან) და „ფრაიბურგი" (აინტრახტთან) პირველი გამარჯვებების მოპოვებას შეეცდებიან.**

წინა ტურში „შალკე" „ჰოფენჰაიმს" ორჯერ და თანაც, ორივე შემთხვევაში ორი ბურთის სხვაობით უგებდა, მაგრამ ბოლოს ქულაც სანატრელი გაუხდა - ის შეხვედრა 3:3 დასრულდა. მას მერე გელზენკირხენულ კლუბში არასახარბიელო ვითარებაა. მართალია, „შალკემ" ჩემპიონთა ლიგაში ხასიათი გამოიკეთა (1:0 ბაზელში), მაგრამ გულშემატკივრებისთვის ყველაზე მთავარი მაინც ბუნდესლიგაა, სადაც **იენს კელერის** გუნდი მე-8 ტურის წინ მხოლოდ და მხოლოდ მე-14 ადგილზეა. გუნდში შექმნილი არასახარბიელო ვითარების დასტური ისიცაა, რომ კელერმა საყრდენი ნახევარმცველი **ჯერმეინ ჯონსი** გუნდიდან მოკვეთა. ზოგადად, კელერი ამ კვირაში აგრესიული კომენტარებით გამოირჩეოდა - მენტალიტეტის შესახებ არაფერი მითხრათ, „ჰოფენჰაიმთან" უამრავი ინდივიდუალური შეცდომა დავუშვით, მენტალიტეტი კი არაფერ შუაშიაო. დღეს „შალკე" თავისი ამბიციების კვალობაზე საკმაოდ კარგ ფორმაში მყოფ „აუგსბურგს" მასპინძლობს.

### ბორუსიების დერბი მიონხენგლადბახში

მიონხენგლადბახის „ბორუსია-პარკზე" „ბორუსიების" დუელი გაიმართება: „გლადბახი" „დორტმუნდის" წინააღმდეგ. ყურადღების ცენტრში გუნდების ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელები, **მაქს კრუზე** (7 მატჩი, 4 გოლი, „კიკერის" საშუალო შეფასება: 2.29) და **რობერტ ლევანდოვსკი** (7 მატჩი, 6 გოლი, „კიკერის" საშუალო შეფასება: 2.29) მოექცევიან. თუკი კრუზე „გლადბახის" გამოკვეთილი ლიდერია, დორტმუნდელები მხოლოდ ლევანდოვსკიზე არ არიან დამოკიდებულები - **პიერ-ემერიკ ობამეიანგს** 5 გოლი აქვს გატანილი, **მარკო როისს** - 4, **ჰენრიხ მხითარიანს** კი - 3. თუმცა საკითხავია, გაამწესებს თუ არა **იურგენ კლოპი** ოთხივეს ძირითად შემადგენლობაში, რადგან „დორტმუნდის" თავკაცი ჩემპიონთა ლიგის მატჩებით დატვირთულ დღეებში როტაციას მიმართავს ხოლმე. შეგახსენებთ, რომ „დორტმუნდმა" შუა კვირაში „მარსელი" 3:0 დაამარცხა.

### გამოფხიზლებული შტუტგარტი პრაგმატული ვერდერის წინააღმდეგ

საკმაოდ საინტერესო უნდა გამოვიდეს „შტუტგარტისა" და „ვერდერის" ჯახიც. შვაბებმა ბოლო დროს სერიოზული პროგრესი განიცადეს, **თომას შნაიდერის** ხელში 12 შესაძლოდან, 10 ქულა აიღეს და გასავარდნი ზონიდან ევროზონამდე აღზევდნენ. გამოფხიზლდა ბრემენის „ვერდერიც" და „მუსიკოსების" თავკაცი **რობინ დუტი** ტენდენციით კმაყოფილია. თუმცა „ვერდერის" ფანები ძველებურ სპექტაკლებს ითხოვენ, დუტი კი ამბობს, ოდესმე სპექტაკლებს ისევ დავდგამთ, მანამდე კი პრაგმატული გზით უნდა მივიდეთო.

### ახალი დერბი ქვემო საქსონიაში

„ვოლფსბურგი" და „ბრაუნშვაიგი" ბუნდესლიგაში ერთმანეთს არასდროს შეხვედრიან, მაგრამ ეს ახალი ქვემოსაქსონიური დერბი, უფრო სწორად, მისი ისტორიის დასაწყისია. „ვოლფსბურგმა" აქამდე ყველა საშინაო მატჩი მოიგო და ცხადია, რომ მგლები აუტსაიდერთანაც მხოლოდ სამ ქულას გეგმავენ. „ბრაუნშვაიგი" კი უკვე სამარცხვინო მდგომარეობაშია - **ტორსტენ ლიბერკნეხტის** გუნდს 7 ტურის შემდეგ მხოლოდ ერთი ქულა და 18 მიღებული გოლი აქვს. თანაც, ბრაუნშვაიგელებს ამ ეტაპზე სამომავლოდ არაფრის იმედი არ აქვთ.

„მაინცის" დაღმასვლა წინა ტურშიც გაგრძელდა და **თომას ტუხელის** შეგირდებს ახლა უკვე ზედიზედ ოთხი წაგება აქვთ. თანაც, ამ ოთხ შეხვედრაში „მაინცმა" 12 გოლი მიიღო. ერთი სიტყვით, გუნდი კრიზისშია და სწორედ ამ დროს ხვდება დონითა და კლასით იდენტურ, მაგრამ გაცილებით ეფექტურად მოთამაშე „ჰოფენჰაიმს".

### რა შეუძლია ლევერკუზენს სინამდვილეში?

„ბაიერნი" „ლევერკუზენზე" გაცილებით ძლიერია და ახლაც გაცილებით უკეთეს ფორმაში იმყოფება, მაგრამ „ბაიერისა" და „ბაიერნის" დაპირისპირება, რომელიც „ბაი-არენაზე" შედგება, პირველ რიგში იმის გამოა ტურის ტოპ-მატჩი, რომ „ფარმაცევტები" მესამე ადგილზე იმყოფებიან, ბავარიელები კი - მეორეზე. ზოგადად, ამ ეტაპზე ბუნდესლიგის სამი ლიდერია გამოკვეთილი და თუკი „დორტმუნდის" გარდა რომელიმე კლუბზე ითქმის, „ბაიერნს" კონკურენცია უნდა გაუწიოსო, პირველ რიგში სწორედ „ლევერკუზენზე".

*„სერიოზულად არ მივიჩნევ ისეთ კითხვებს, არის თუ არა ჩვენი მიზანი ამ ტურში „ბაიერნის" გადასწრება ან სულაც ერთპიროვნულად გალიდერება. მთავარია, ვინ რომელ ადგილზე იქნება მაისში,"* - აცხადებს „ლევერკუზენის" თავკაცი **სამი ჰიიპია**. ამით ფინელი თავს არიდებს კითხვას, არის თუ არა მისი მიზანი „ბაიერნის" დამარცხება და შესაბამისად, წნეხის თავიდან არიდებასაც ცდილობს.



„ლევერკუზენი"-"ბაიერნი". გაუტანს შტეფან კისლინგი მანუელ ნოიერს?

სამაგიეროდ, მიუნხენელებს მიზნების ჩამოყალიბებისას კომპლექსები არ აწუხებთ: *„ჩვენი მიზანი ყველა და ნებისმიერი მატჩის მოგებაა,"* - ამბობს **თომას მიულერი**. ეს მატჩი ძალიან საინტერესო იქნება ტაქტიკური თვალსაზრისით, რადგან „ლევერკუზენიც" შემტევ ფეხბურთს (4-3-3 ტაქტიკური სქემით) თამაშობს.

„ბრაუნშვაიგთან" ერთად, მე-8 ტურის წინ ჯერაც მოუგებლები არიან „ნიურნბერგი" და „ფრაიბურგი". ხვალ ორივე გუნდი საკუთარ მოედანზე თამაშობს და ორივეს აქვს იმის შანსი, რომ პირველად აიღოს სამი ქულა. „ფრანკები" ჰამბურგელებს მასპინძლობენ, ბრაისგაუელები კი ფრანკფურტის „აინტრახტს" დაუხვდებიან.

## გერმანიის ნაკრები

# ლიოვმა კისლინგს ისევ ხელი ჰკრა!

## ცენტრფორვარდობა მიულერს, გიოტცეს, კრუზეს და როისსაც შეუძლიათო

როგორც მოსალოდნელი იყო, მიუხედავად **მიროსლავ კლოზეს** და **მარიო გომესის** ტრავმებისა, გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** „ლევერკუზენის" გოლეადორი **შტეფან კისლინგი** ბუნდესგუნდში მაინც არ გამოიძახა. არადა, 29 წლის შტეფანისთვის შანსის მიცემას ლამის მთელი საფეხბურთო გერმანია ითხოვდა.

*„კისლინგს პირადად შევხვდი და ვესაუბრე. ვუთხარი, რომ თავდასხმაში პირველ რიგში გომესის და კლოზეს იმედი მაქვს, მათ მერე კი ერთი-ორი ისეთი ფეხბურთელი მყავს, რომლებსაც წელს ცენტრფორვარდის პოზიციებზე გამოვცდი,"* - უთხრა ჩვენს გერმანელ კოლეგებს ლიოვმა, რომელიც ირლანდიასთან (11 ოქტომბერს) და შვედეთთან (15 ოქტომბერს) მატჩებში ცენტრფორვარდის პოზიციაზე ნომინალურად სხვა პოზიციის მოთამაშეებს გამოცდის. კისლინგი კი, რომელიც ბუნდესლიგის წინა სეზონში 25 გოლით საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ხოლო ამ სეზონში უკვე 5 გოლი აქვს გატანილი, როგორც ჩანს, ლიოვს არ სჭირდება.

*„ვფიქრობ, არ იქნებოდა სამართლიანი, შტეფანი მხოლოდ ერთხელ რომ გამომეძახებინა, მერე კი მისთვის ნაკრების კარი ისევ დამეხურა. შტეფანს ძალიან ბევრი გოლი გააქვს და თითქმის 30 წლისაა. ამიტომაც, მასთან საუბრისას შევთანხმდით, რომ დავუძახებ მხოლოდ მაშინ, როცა/თუ ძალიან დამჭირდება,"* - აცხადებს ლიოვი და დასძენს, რომ კისლინგისთვის გერმანიის ნაკრების კარი საბოლოოდ მიხურული არ არის, მაგრამ დიდი ალბათობით, შტეფანი მსოფლიოს ჩემპიონატზე არ გაემგზავრება: *„შტეფანმა მითხრა, რომ ნებისმიერ დროს მზად იქნება ნაკრების დახმარებისთვის, რაც ძალიან კარგია. მე მის შედეგებს პატივს ვცემ."*

კლოზესა და გომესის არყოფნაში, ან მათ შემდეგ, ცენტრფორვარდის პოზიციაზე თამაშის შანსი **თომას მიულერს, მარიო გიოტცეს, მარკო როისს** ან **მაქს კრუზეს** მიეცემათ. სხვა მხრივ, ლიოვს განაცხადში სიურპრიზები არ შემოუთავაზებია: გამოჯანმრთელებული **ბასტიან შვაინშტაიგერი** გერმანიის ნაკრებში ბრუნდება, **მარსელ შმელცერს** კი **მარსელ იანსენი** შეცვლის. შმელცერთან ერთად, ტრავმირებულები არიან **ილქაი გიუნდოგანი** და **ლუკას პოდოლსკიც**.

**მეკარეები:** მანუელ ნოიერი (ბაიერნი), რენე ადლერი (ჰამბურგი), რონ-რობერტ ცილერი (ჰანოვერი).

**მცველები:** ჟერომ ბოატენგი (ბაიერნი), ბენედიქტ ჰიოვედესი (შალკე), მატს ჰუმელსი (დორტმუნდი), მარსელ იანსენი (ჰამბურგი), ფილიპ ლამი (ბაიერნი), პერ მერტეზაკერი (არსენალი).

**ნახევარმცველები:** ლარს ბენდერი (ლევერკუზენი), სვენ ბენდერი (დორტმუნდი), იულიან დრაქსლერი (შალკე), მარიო გიოტცე (ბაიერნი), სამი ხედირა (რეალი), ტონი კროოსი (ბაიერნი), მესუთ იოზილი (არსენალი), თომას მიულერი (ბაიერნი), მარკო როისი (დორტმუნდი), სიდნი სემი (ლევერკუზენი), ანდრე შიურლე (ჩელსი), ბასტიან შვაინშტაიგერი (ბაიერნი).

**თავდამსხმელი:** მაქს კრუზე (გლადბახი).

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

● საფრანგეთი. ლიგა 1. VIII ტურის წინ



ბოლო კლასიკოზე თვით დევიდ ბექჰემმა ითამაშა

# LE CLASSIQUE ველოდრომზე

## ვილას ახსოვს ლიგა, საფრანგეთში მთავარი მატჩია

| | |
|---|---|
| ბასტია-ლორიანი | 4:1 |
| **5 ოქტომბერი** | |
| მონაკო-სტ. ეტიენი | 19:00 |
| გენგამი-რენი | 22:00 |
| ლილი-აიაჩო | 22:00 |
| ნანტი-ევიანი | 22:00 |
| ტულუზი-ნიცა | 22:00 |
| ვალანსიენი-რეიმსი | 22:00 |
| **6 ოქტომბერი** | |
| მონპელიე-ლიონი | 16:00 |
| ბორდო-სოშო | 19:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მონაკო | 8 | 5 | 3 | 0 | 14-4 | 18 |
| 2. პსჟ | 8 | 5 | 3 | 0 | 12-4 | 18 |
| 3. მარსელი | 8 | 5 | 2 | 1 | 12-5 | 17 |
| 4. ლილი | 8 | 4 | 2 | 2 | 8-4 | 14 |
| 5. ნიცა | 8 | 4 | 2 | 2 | 11-9 | 14 |
| 6. ნანტი | 8 | 4 | 1 | 3 | 11-8 | 13 |
| 7. სტ. ეტიენი | 8 | 4 | 1 | 3 | 11-9 | 13 |
| 8. რენი | 8 | 3 | 3 | 2 | 8-7 | 12 |
| 9. ბასტია | 9 | 3 | 3 | 3 | 11-11 | 12 |
| 10. ლიონი | 8 | 3 | 2 | 3 | 12-7 | 11 |
| 11. რეიმსი | 8 | 2 | 5 | 1 | 6-5 | 11 |
| 12. მონპელიე | 8 | 1 | 6 | 1 | 9-11 | 9 |
| 13. ევიანი | 8 | 2 | 3 | 3 | 10-14 | 9 |
| 14. ტულუზი | 8 | 2 | 3 | 3 | 6-10 | 9 |
| 15. გენგამი | 8 | 2 | 2 | 4 | 10-10 | 8 |
| 16. აიაჩო | 8 | 1 | 4 | 3 | 6-9 | 7 |
| 17. ბორდო | 8 | 1 | 4 | 3 | 7-11 | 7 |
| 18. ლორიანი | 9 | 2 | 1 | 6 | 7-15 | 7 |
| 19. სოშო | 8 | 1 | 2 | 5 | 6-14 | 5 |
| 20. ვალანსიენი | 8 | 1 | 0 | 7 | 4-14 | 3 |

**ბომბარდირები:** 7 - რადამელ ფალკაო (მონაკო); 6 - კევინ ბერიგო (ევიანი), ემანუელ რივიერი (მონაკო); 5 - დარიო ცვიტანიჩი (ნიცა).

06.10. მარსელი. ველოდრომი. 23:00

**მარსელი**

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 +5=1-0

ურთიერთშეხვედრები

სულ 39 თამაში: +15=9-15, (44-45)

**პსჟ**

სავარაუდო შემადგენლობები




**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ჟინიაკი, ალო, მორელი - ტ. სილვა, ალექსი

**მორიგი სანაკრებო პაუზის წინ, რომელიც გადამწყვეტია საფრანგეთის ნაკრებისთვის, ლიგა 1-ში მე-8 ტურის მატჩები გაიმართება. ტური წუხელ დაიწყო კორსიკაზე, თუმცა მთავარი მატჩი კვირას გაიმართება - „ველოდრომზე“ ფრანგული „ლე კლასიკია“ და ამაზე კარგი რა უნდა იყოს...**

### აქეთ ვალბუენა, იქით იბრა და კავანი

2010 წლის შემდეგ ამ სუპერდაპირისპირებული გუნდების მატჩებში ინციდენტი აღარ მომხდარა. ამიტომაც საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ ისევ დაუშვა სტუმართა ფანების დასწრება „კლასიკზე“. 2010-ში „პარი სენ-ჟერმენის“ ულტრასის, „ბულონ ბოისის“ ერთ-ერთი წევრი დანით დაჭრეს, რომელიც ერთი თვის შემდეგ გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

გუნდებს შორის სხვაობა მხოლოდ ქულაა სტუმართა სასარგებლოდ, მაგრამ პსჟ შეხვედრას ჩემპიონთა ლიგაზე ბრწყინვალე მატჩის შემდეგ კარგ განწყობაზე ხვდება. მაშინ, როცა იმავე ჩემპიონთა ლიგაზე „მარსელი“ ბოლო ტურში უმწვრთნელო „დორტმუნდთან“ შერცხვა.

მასპინძელთა ლიდერი **მატიო ვალბუენა** ჩინებულ ფორმაშია, მაგრამ ტრავმირებულია ფორვარდი **ანდრე-პიერ ჟინიაკი**, თუმცა ბოლო ცნობებით მან შეიძლება მოახერხოს თამაში. **ლორან ბლანის** თავსატეხი კი დაცვის ცენტრია: **ტიაგო სილვა** და **ალექსი** ტრავმირებულები არიან, მაგრამ „რომადან“ გადასული **მარკინიოსი** ისე დიდებულად თამაშობს, რომ პსჟ-ს ამ დიდ დანაკლისს არ აგრძნობინებს. ეს პირველი „კლასიკი“ იქნება **ედინსონ კავანისთვის**, ურუგვაელს ლიგა 1-ში უკვე 4 გოლი აქვს გატანილი, მისი მეწყვილე **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** კი 2 გოლით და 3 საგოლე პასით იწონებს თავს. ზემოთ ვალბუენა ვახსენეთ, მის ანგარიშზე გოლი და 4 საგოლე პასია უკვე.

### მონაკოს შანსი

შაბათს თანალიდერი „მონაკო“ საფრანგეთის 10-გზის ჩემპიონ „სენტ ეტიენს“ მასპინძლობს. ლიგა 1-ის ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა დიდებულად დაიწყო სეზონი, თუმცა შემდეგ მოუკლო. ახლა „სენტ ეტიენი“ „მონაკოს“ 5 ქულით ჩამორჩება. ამ შეხვედრაში გამოჩნდება, რამდენად სერიოზულია „მწვანეების“ ამბიცია.

სტუმართა უპირველესი თავსატეხი **რადამელ ფალკაოსა** და **ემანუელ რივიერის** გაჩერებაა, ამ ფორვარდებს ერთად 13 გოლი აქვთ უკვე გატანილი („მონაკოს“ 14 გოლიდან).

სხვა მატჩებიდან ექსჩემპიონ „მონპელიესა“ და კრიზისში მყოფ „ლიონის“ დაპირისპირებას გამოვყოფთ. მე-4 ადგილოსანი „ლილი“ შინ „აიაჩოს“ მასპინძლობს. ჩრდილოური კლუბისთვის ეს შესანიშნავი შანსია, თუკი ზემოთ წაიფორხილებს, ლიდერებს მიუახლოვდეს.

● საფრანგეთის ნაკრები

## რემი, ვარანი და კაბაი ნაკრებში დააბრუნეს

საფრანგეთისნაკრების მწ-ვრ-თნელმა **დიდიე დეშამმა** ნაკრების შემადგენლობა დაასახელა. 11 ოქტომბერს „ლე ბლო“ ამხანაგურ მატჩს გამართავს ავსტრალიის ნაკრებთან, ხოლო 4 დღის მერე „პარკ დე პრენსზე“ ფინეთის ნაკრებს დაუპირისპირდება. მეორე უკვე მუნდიალის საკვალიფიკაციო შეხვედრაა. ყველაზე მეტი წარმომადგენელი ნაკრებში, გაგიკვირდებათ და, ინგლისურ კლუბს ეყოლება - „ნიუკასლის“ 4 ფეხბურთელი ნაკრებშია.

მეკარეები: **მიკელ ლანდრო** (ბასტია), **უგო ლორისი** (ტოტენჰემი), **სტივ მანდანდა** (მარსელი).

მცველები: **ერიკ აბიდალი** (მონაკო), **გაელ კლიში** (მანჩესტერ სიტი), **მატიო დებუში** (ნიუკასლი), **პატრის ევრა** (მანჩესტერ იუნაიტედი), **ლორან კოშელნი** (არსენალი), **მამადუ სახო** (ლივერპული), **რაფაელ ვარანი** (რეალი).

ნახევარმცველები: **ბლეზ მატუიდი** (პსჟ), **პოლ პოგბა** (იუვენტუსი), **მუსა სისოკო** (ნიუკასლი), **კლემან გრენიე** (ლიონი), **სამირ ნასრი** (მანჩესტერ სიტი), **იოან კაბაი** (ნიუკასლი).

თავდამსხმელები: **ქარიმ ბენზემა** (რეალი), **ოლივიე ჟირუ** (არსენალი), **დიმიტრი პაიე** (მარსელი), **ფრანკ რიბერი** (ბაიერნი), **მატიო ვალბუენა** (მარსელი), **ლოიკ რემი** (ნიუკასლი).

● კონფლიქტი

## ბრაზილიამ კოშტა დაბლოკა

### ატლეტიკოს ფორვარდი საქართველოსთან ვერ ითამაშებს

მადრიდის „ატლეტიკოს“ 24 წლის ბრაზილიელმა თავდამსხმელმა **დიეგო კოშტამ**, რომელიც ესპანეთის მოქალაქეცაა, ოფიციალურად დაადასტურა, რომ კარიერის გასაგრძელებლად ესპანეთის ნაკრები ამოირჩია, თუმცა მის ოცნებას ჯერჯერობით ახდენა არ უწერია. ფორვარდი სუპერ-ფორმაშია, ის ამჟამად ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი თავდამსხმელია. დიეგოს შარშან 2-ჯერ აქვს ნათამაშები ბრაზილიის ნაკრების ამხანაგურ მატჩებში, თუმცა ფიფას წესებით, რადგან ის შეხვედრები ფიფას A კატეგორიის მატჩებად არ ითვლება, კოშტას შეუძლია ნაკრების შეცვლა.

მას არ იძახებს **ლუიშ ფელიპე სკოლარი**, სამაგიეროდ, მისით დაინტერესებულია **ვისენტე დელ ბოსკე** - „ატლეტიკოს“ ფორვარდმაც მოცდას, ევროპული ვარიანტი არჩია. თუმცა ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციამ ფიფას ოფიციალურად მიმართა, რომ არ დაუშვას დიეგოს გადასვლა ესპანეთის ნაკრებში. ამჯერად კი ბრაზილიელთა პოზიცია გადამწყვეტია.

ბრაზილიელები თავიანთ არგუმენტს იმ ფაქტითაც ამაგრებენ, რომ კონფედერაციათა თასის მერე ბრაზილიის ნაკრებს არ ჰქონდა შესაძლებლობა ფეხბურთელი სატურნირო შეხვედრაში მიეწვია, რადგან მუნდიალის მასპინძელი ასეთ ტურნირში არ მონაწილეობს და მხოლოდ ამხანაგურ მატჩებს მართავს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



დიეგო კოშტა იტალიის ნაკრების წინაალმდეგ მატჩში



თავისუფალი ჭიდაობა. კორკინის ტურნირი

# ყველაზე წონადი



დავით მოძმანაშვილი

ამ უქმეებზე ციმბირულ იაკუტსკში იქაურთა სახელოვანი მწვრთნელის დმიტრი კორკინის მეექვსე მემორიალი იმართება თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებამ უკვე დიდი ავტორიტეტი მოიპოვა და თავისუფალთა საჭიდაო ქვადაც იქცა. მისი როლი განუხრელად იზრდება. წლევანდელი შეჯიბრება ყველაზე ძლიერი იქნება გუნდების რაოდენობითაც და ვარსკვლავთა სიმრავლითაც. ციმბირში ჩავიდნენ აშშ-ს, ირანის, აზერბაიჯანის, თურქეთის, სომხეთის, უზბეკეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის, ისრაელის, მოლდოვის, საბერძნეთის, ბელარუსის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, ფინეთისა და მონღოლეთის გუნდები. რაღა დარჩა – ევროპის ჩემპიონატზე ამაზე ბევრად მეტნი კი არ გამოდიან! მით უფრო, სიას საქართველოს და რუსეთის 14 რესპუბლიკის ნაკრებსაც თუ დავუმატებთ. თურქები და ამერიკელები ორი კვირით ადრე ჩავიდნენ შეკრების გასავლელად.

ძლიერებად უპირველესად ქართველებსა და ირანელებს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **რეზა იაზდანის** (96) და მსოფლიოს ორგზის, ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსან **სადეგ გოუდარზის** (74) ასახელებენ. ცნობილები სხვა გუნდებშიც არიან, თუმცა მასპინძელთა სამწუხაროდ, არ იჭიდავებენ მათი ადგილობრივი თუ სხვა ქვეყნებში გადასული ტიტულოვანი თანამემამულეები. ადგილობრივთა მთავარი დანაკარგი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ვიქტორ ლებედევია** (60), **ასევე** ტრავმის გამო რუსეთის ვიცე-ჩემპიონი **ტიმურ პასტერევიც** ვერ იჭიდავებს. ბელარუსში გადასული იაკუტიელები და ამ შეჯიბრების შარშანდელი გამარჯვებულები, ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ვლადისლავ ანდრეევი** (55) და ევროპის პრიზიორი **ალექსანდრ კონტოევი** (66) მსოფლიოს პირველობის შემდეგ ისვენებენ, თუმცა ანდრეევს ტრავმაც აწუხებს.

## ქართული ზვიდეული ციმბირში

საქართველოს ნაკრები, რომელსაც ამჯერად **გოჩა კირკიტაძე** უხელმძღვანელებს, იაკუტსკში 7 სპორტსმენით იასპარეზებს: **კოტე ხუციშვილი** (55), **ტრისტან ჩირგაძე** (60), **გიორგი მარსაგიშვილი** (74), **ოთარ უროტაძე** (84), **ელიზბარ ოდიკაძე** (96), **დავით მოძმანაშვილი, თორნიკე ხიდეშელი** (ორივე – 120). სიამოვნებით უნდა შევნიშნოთ, რომ ციმბირული მედია ტურნირის დამამშვენებელ ვარსკვლავთა შორის ორ ჩვენებურს – ოდიკაძესა და მოძმანაშვილსაც ასახელებს. მოძმანაშვილის ფაქტორი გასაგებია – ლონდონის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონია და ტიტული „ყვირის", ოდიკაძე კი მათ ყურადღებას იმით იპყრობს, რომ თვით იაზდანი ჰყავს დამარცხებული. თუმცა ეს ფაქტი არა მხოლოდ მათ გაახსენდათ, ამაზე ყურადღებას დაღესტნური სპორტული საიტიც ამახვილებს. დაღესტნელებს არც იმის აღნიშვნა დავიწყებიათ, რომ შარშან ოდიკაძემ ბაქოში „ოქროს დიდი პრიზის" სუპერფინალში მათი ფალავანი **შამილ ახმედოვი** დაამარცხა და წლეულს რევანშის მოლოდინში არიან.

როგორც ხედავთ, 66 კილოგრამში მონაწილე არ გვყავს. აქ **დავით ბერძნიშვილს** უნდა ეჭიდავა, მაგრამ წასვლამდე ორი დღით ადრე მენისკი გაუწყდა და საოპერაციოა.

იაკუტსკში დღეს 55, 66, 84 და მძიმე წონების წარმომადგენლები იჭიდავებენ, დანარჩენები კი ხვალ გავლენ საასპარეზოდ. დაინტერესებულთ შეჯიბრების პირდაპირი რეპორტაჟის ნახვაც შეუძლიათ საიტზე, დღეს ფინალური ბლოკი 11-დან 14 საათამდე გაიმართება, ხვალ – 9-დან 11-მდე, წინასწარი შეხვედრები კი თბილისის დროით შუაღამისას დაიწყება. ტურნირის საპრიზო ფონდი საკმაოდ მაღალია: ჩემპიონი ჯილდოდ 3000$ მიიღებს, მეორეზე გასული – 2000-ს, მესამეადგილოსანი – 1000 დოლარს.

## ქართული კალენდარი

ჩვენებმა ამ ტურნირში პირველად შარშან იჭიდავეს და ორი მედალიც მოიპოვეს – ოქრო-ვერცხლი. ჩემპიონი მძიმეწონოსანი **გიორგი საკანდელიძე** გახდა, მეორეზე კი **მამუკა კორძაია** (96) გავიდა. წლეულს არც ერთი მათგანი არ ჭიდაობს ციმბირში - კორძაია ამჟამად ჭაბუკთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ემზარ ბედინეიშვილთან** ერთად გერმანული ბუნდესლიგის ლიდერ „აალენში" გამოდის (ორი ტურის წარმატებით დასრულების შემდეგ ისინი მცირე ხნით სამშობლოში დაბრუნდნენ), საკანდელიძე კი 18-20 ოქტომბერს ხასავიურტში გასამართი საკონტინენტთაშორისო თასისთვის ემზადება. მის გარდა, იქ **დავით პოლოსიანის** თავკაცობით **ბექა ბუჯიაშვილი** (55), **ამირან ყაზარაშვილი** (60), **მურთაზ კვესაძე** (ორივე – 60), **ლევან ქელეხსაშვილი, თენგიზ ჩოჩიშვილი** (66), **გიორგი სანოძე, ჯუმბერ ყველაშვილი, დავით ტლაშაძე** (სამივე – 74), **სანდრო ამინაშვილი, გიორგი თხელიძე, ნოდარ ეგაძე** (84) და **ზურაბ ახობაძე** (96) იჭიდავებენ. აღსანიშნავია, რომ ამ ტურნირისთვის 7 კაცის ფული იყო გამოყოფილი, მაგრამ დაღესტნელებთან პოლოსიანის კარგი პირადი კონტაქტების დამსახურებით, დაღესტნურმა ფედერაციამ დანარჩენები თავისი ხარჯით მიიწვია.

საკონტინენტთაშორისო თასის მომთავრების შემდეგ, მომდევნო კვირაში ჩვენები კიდევ ერთ შეჯიბრებაში გამოვლენ – ყაზახურ ტარასში (ყოფილი – ჯამბული), სადაც ძირითადად ეროვნული ნაკრების წევრები წავლენ, სულ ხუთი კაცი – **გიორგი ედიშერაშვილი** (55), **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (66), **იაკობ მაქარაშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84) და **ომარ გუსოშვილი** (96). აღსანიშნავია, რომ ესენიც ყაზახებმა მიიწვიეს თავისი ხარჯით, საკანდელიძე კი ამ ტურნირისა და საკონტინენტთაშორისო თასის შარშანდელი გამარჯვებულიცაა.

**ირაკლი თავაძე**

ქართველები უცხოეთში

# გაგიმარჯოს, გარსევან!



გარსევან ნებიერიძე

ახლახან სრულიად შემთხვევით, ვეტერან ფალავანს **გარსევან ნებიერიძეს** შევხვდით.

თბილისელი გარსევან ნებიერიძე საბჭოთა კავშირის სამგზის (1958-1960-1961 წწ) ჩემპიონია თავისუფალ ჭიდაობაში. არადა, ჭიდაობაში წვრთნა ბერძნულ-რომაულით (კლასიკურით), **ლეონიდ ძეკონსკისთან** დაიწყო. შემდეგ კი თავისუფალში **მირიან ცალქალამანიძესთან** გადავიდა...

ერთი კითხვა ამეკვიატა და პირდაპირ ვუთხარი ბატონ გარსევანს — საბჭოთა კავშირის ჩემპიონები, თანაც სამგზის ჩემპიონები, როგორც წესი, მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონ-პრიზიორები ხდებოდნენ, თქვენ საერთაშორისო შეჯიბრებების ტიტულები რატომ არ გაქვთ-მეთქი?

შეკითხვაზე მოკლედ მიპასუხა — საერთაშორისო შეჯიბრებებზე მწვრთნელები და გუნდის ხელმძღვანელები არ მიშვებდნენ. თუ რატომ, იმასაც გეტყვი, ქრთამს (ფულს) ვერ (არ) ვაძლევდი და იმიტომო.

ამ პასუხის შემდეგ კარგა ხანს დუმილი ჩამოვარდა...

გამოდის, რომ ჭიდაობის სამყაროში მოქრთამვა და კორუფცია საერთაშორისო ფედერაციის (FILA) ყოფილი პრეზიდენტის, შვეიცარიელი **რაფაელ მარტინეტის** პრეზიდენტობამდეც ყოფილა...

78 წლის გარსევან ნებიერიძე ნახევარ საუკუნეზე მეტია უკრაინის დედაქალაქში ცხოვრობს, თბილისს და საქართველოს კი არასდროს ივიწყებს.

გარსევანის დიდი გატაცება ნუმიზმატიკაა. ვეტერანი მოჭიდავე საერთაშორისო მასშტაბის კოლექციონერია. ჭაბუკობიდან კი პოეზიის მეხოტბეა. თვითონაც წერს ლექსებს. მისი შთაგონების წყარო რუსთაველი, გურამიშვილი, ვაჟა, აკაკი, და გალაკტიონია...

ჭიდაობის ძველ გულშემატკივრებს შესაძლოა მოაგონდეთ ჩვენი დიდებული მწერლის, **ნოდარ დუმბაძის** წერილი „ახალგაზრდა კომუნისტში" (1959 წ. 3 ივნისი), სათაურით — „გაგიმარჯოს, გარსევან!"

გულშემატკივრებისთვის ისიც ცნობილია, რომ ნოდარ დუმბაძე კიევში სტუმრობისას გარსევან ნებიერიძეს დაეჭიდა. ამ სახალისო ორთაბრძოლას მსაჯობდა სსრკ ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში **ევგენი ზუბკოვსკი...**

**გაბრიელ ბარჯაძე**

ავტორის ფოტო

ჭადრაკი

# ორი ტურით ადრე



ვროცლავში (პოლონეთი) ხვალ დამთავრდება მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო წრიული ტურნირი, რომელშიც ორი ქართველი დიდოსტატიც მონაწილეობს. გუშინ მე-7 ტურში სწორედ ჩვენებურები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მე-14 სვლაზე პოზიციის სამჯერ გამეორების გამო **სოფიკო გურამიშვილი** და **ნინო ბაციაშვილი** ყაიმზე შეთანხმდნენ. ამ დაზავებით ისარგებლა მასპინძელმა იოანა მაიდან-გაევსკამ, რომელმაც თეთრი ფიგურებით ესპანელ საბრინა გუტიერეს ვეგას სძლია და ქულებით ბაციაშვილს გაუთანაბრდა. მესამე ადგილზე გადაინაცვლა გურამიშვილმა - იგი ლიდერებს ქულით ჩამორჩება.

მე-7 ტურის დანარჩენი სამი პარტია ასე დასრულდა: მარტა მიხნა (გერმანია)-იოანა ზავადსკა (პოლონეთი) 0.5:0.5, ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი)-მონიკა სოჩკო (პოლონეთი) 1:0, კარინა ჰოროვსკა (პოლონეთი)-ეკატერინა ატალიკი (თურქეთი) 0.5:0.5.

შვიდი ტურის შემდეგ: ბაციაშვილი, მაიდანი-5-5, გურამიშვილი-4, მკრტიჩიანი, სოჩკო, ჰოროვსკა, ატალიკი-3.5-3.5, ვეგა, ზავადსკა-3-3, მიხნა-1 ქულა.

დღეს და ხვალ ითამაშებენ: **მე-8 ტური.** ზავადსკა-ბაციაშვილი, სოჩკო-გურამიშვილი, ატალიკი-მკრტიჩიანი, ვეგა-ჰოროვსკა, მიხნა-მაიდანი; **მე-9 ტური.** მაიდანი-ზავადსკა, ჰოროვსკა-მიხნა, მკრტიჩიანი-ვეგა, გურამიშვილი-ატალიკი, ბაციაშვილი-სოჩკო.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

**ოსაკაში** (იაპონია) დღეს დაიწყება ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 235.000 დოლარი). ამომავალი მზის ქვეყანაში იმყოფება თბილისელი **სოფიო შაფათავა.** საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ წრეში ჩვენებური ჩინელ ქიან ვანს დაუპირისპირდება. წარმატების შემთხვევაში იგი ჩეხ ბარბორა ზაჰლავოვა-სტრიჩოვასა და იაპონელ მაკოტო ნინომიას შორის გამარჯვებულთან გაარკვევს ურთიერთობას.

■ ■ ■

**ანტალიაში** (თურქეთი) ქალთა 10.000-იანი ტურნირის ძირითად ბადეში მოსინჯავენ ძალებს **ეკატერინე გორგოძე** და **სოფიო ქვაცაბაია.** მეტოქეები ჯერ უცნობია.

■ ■ ■

**ესპანეთის** 25.000-იანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაებმება შეჯიბრებაში **მარგალიტა ჩახნაშვილი.** პირველ წრეში ქართველი ჩოგბურთელი თავისუფალია, მეორეში იგი კარლა ვიგესსა (ესპანეთი) და ორნელა კარონს (არგენტინა) შორის უძლიერესს შეხვდება.

■ ■ ■

**მაკონში** (აშშ, ჯორჯიის შტატი) ისასპარეზებს **ანა ტატიშვილი.** თბილისელი სპორტსმენი ქალთა 25.000-იან ტურნირში გამოვა. ჯერ წილისყრა არ გამართულა. ჩვენებური ძირითად ბადეში, სავარაუდოდ, მე-7 ნომრად იქნება განთესილი.

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი

# ვინ უნდა აირჩიოს პრეზიდენტი?



გუშინ სასტუმრო „რედისონში" საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გამგეობის წევრები ვეტერან კალათბურთელებს შეხვდნენ, რათა ფედერაციის მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ოპტიმალური წესდების შესამუშავებლად იმ ადამიანების მოსაზრებები და წინადადებები მოესმინათ, რომლებსაც ქართული კალათბურთის განვითარება-პოპულარიზაციაში უდიდესი წვლილი მიუძღვით. შეხვედრაზე მწვავე კამათი გაიმართა არჩევნებში ხმის მქონეთა ვინაობისა და რაოდენობის დასადგენად.

**ბესიკ ლიპარტელიანი,** საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი: ჩვენი ორგანიზაციის მომავალ საანგარიშო-საარჩევნო ყრილობასთან დაკავშირებით თბილისსა და რეგიონებში რამდენიმე შეხვედრა დავგეგმეთ. დღეს საქმიანი სჯა-ბაასი გვქონდა ვეტერან კალათბურთელებთან. ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით მათი მოსაზრებები ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ახლა რეგიონებში გადავინაცვლებთ და იქაურ სპეციალისტებს და პროფესიონალებს გავესაუბრებით. ამ შეხვედრებისას გამოთქმულ წინადადებებს გამგეობა შეაჯერებს, გაითვალისწინებს და შესაბამის გადაწყვეტილებასაც მიიღებს, რომელიც ფართო მასებს ეცნობება.

**ვახტანგ ნაცვლიშვილი,** თბილისის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი: ყრილობისთვის მზადების პერიოდში ამ კამპანიის იურიდიული მხარეა მოსაწესრიგებელი. აუცილებელია ხარვეზების გამოსწორება ფიბას რეკომენდაციების შესაბამისად. დღევანდელი შეხვედრისას საკუთარი მოსაზრება დავაფიქსირე: ფედერაციის ბედი ფიზიკურმა პირებმა კი არა, კალათბურთის განვითარებაში ჩართულმა ორგანიზაციებმა უნდა გადაწყვიტონ. იმედია, კალათბურთის ეროვნული ფედერაცია, მისი გამგეობა საარჩევნო კამპანიაში არსებულ გადაცდომებს გაითვალისწინებს. შეხვედრისას დაჯგუფებებზეც იყო ლაპარაკი. აქედანვე უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ რამდენი კანდიდატიც იქნება, იმდენი ბანაკიც ჩამოყალიბდება. ეს გარდაუვალია. ქართულ კალათბურთში მსგავს სიტუაციას არ ვართ ჩვეული, რადგან ბოლო 12 წლის განმავლობაში ფედერაციის არჩევნებისას პრეზიდენტობის მხოლოდ ერთი კანდიდატი გვყავდა. ახლა დრო შეიცვალა. ვინც უკეთეს პროგრამას წარმოადგენს, ჩვენი ფედერაციაც მას დაუჭერს მხარს.

>> მე-12 გვერდზე

## ლისს იქით და ლისს აქეთ...

# სამტრედია

ხელბურთი



გამარჯვებული გუნდი

სამტრედიაში ხელბურთის კერის შექმნაში თავის დროზე უდიდესი წვლილი შეიტანეს **ვახტანგ ხელისუფალმა** და **მილერ ქიშმარიამ** ჯერ როგორც მოთამაშეებმა და შემდგომში როგორც მწვრთნელებმა. სწორედ ამ ღვაწლმოსილი ადამიანების ხსოვნას მიეძღვნა მემორიალური შეჯიბრება, რომელსაც სამტრედიამ ამჯერად უკვე მეთერთმეტედ უმასპინძლა. ადგილობრივ გუნდთან ერთად იქ საასპარეზოდ ქუთაისის, წყალტუბოსა და გორის 1998-1999 წწ დაბადებული სპორტსმენებისგან შემდგარი გუნდები ჩავიდნენ. უძლიერესის სახელი მოიპოვეს გორელებმა, რომელებმაც წყალტუბოს — 32 : 18, ქუთაისს — 33 : 28, ხოლო გადამწყვეტ შეხვედრაში სამტრედიას 28 : 24 სძლიეს. გამარჯვებულ გუნდში თამაშობდნენ — **გიორგი ვათიაშვილი, ტატო მჭედლიშვილი, საბა მურადაშვილი, გურამ ბეთლემაშვილი, ლევან ქესანაშვილი, ნოდარ დალაქიშვილი, ბექა გახოკიძე, დავით ნიაზაშვილი, გიორგი ტიელიძე, ბაკურ ჯაფარიძე, ლევან ღვინიაშვილი, თამაზ ტარუაშვილი, ნიკა სამნიაშვილი.** მწვრთნელები: **გია მამაცაშვილი, თორნიკე გაგლოშვილი.** შეჯიბრების საუკეთესო ბომბარდირი გორელი **ტატო მჭედლიშვილი** გახდა რომელმაც მეტოქეთა კარში 24 გოლი გაიტანა. საუკეთესო მეკარის პრიზიც გორის გუნდის წევრ **გიორგი ვათიაშვილს** გადასცეს, ამავე გუნდის კუთხის მოთამაშე **ნოდარ დალაქიშვილი** კი ორგანიზატორებმა საუკეთესოდ მიიჩნიეს თავის ამპლუაში. აღსანიშნავია, რომ გორის გუნდი ამ შეჯიბრებაში მეშვიდედ მონაწილეობდა, ყოველთვის ახლოს იყო გამარჯვებასთან, მაგრამ პირველობა წლეულს პირველად მოიპოვა.

**ვასილ ბალახაძე**

# თიანეთი

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...



გამარჯვებულები

ამ დღეებში, დაბა თიანეთის ღია საჭიდაო არენაზე ქართული ჭიდაობის ფედერაციის მიერ ორგანიზებული მორიგი გუნდური პირველობა გაიმართა, რომელშიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის ახალგაზრდებით დაკომპლექტებული გუნდები მონაწილეობდნენ. იასპარეზეს თიანეთის, თბილისის, ახმეტის, ცაგერის, ქარელის და გორის წარმომადგენლებმა. ყველაზე უკეთ გამოვიდნენ თიანეთელები და გორელები, რომელებმაც ფინალშიც გააღწიეს და ერთმანეთთან პაექრობაში გაარკვიეს საუკეთესოს ვინაობა. შეხვედრები ხუთ (60, 70, 80, 90, მძიმე) წონით კატეგორიაში ჩატარდა. ხუთი ფინალური დაპირისპირებიდან ოთხში გამარჯვებული სუფთა გდებით გამოვლინდა. თავდაპირველად გორელმა **პაატა მერებაშვილმა** (60 კგ) **ნოდარ ცალუღელაშვილი** დაამარცხა. მასპინძლებმა **ალექსანდრე ნანიევის** (70) **ირაკლი ლომიძესთან** მოგების გზით საერთო ანგარიში გაათანაბრეს. მომდევნო შეხვედრაში **გიორგი ბიჩელაშვილის** მძლეველმა **გიორგი პაპუნაშვილმა** (80) ისევ დააწინაურა გორელები. 90 კგ-ში თიანეთელებს ამჯერად **სოსო იარაჯულმა** მისცა საერთო ანაგარიშის გათანაბრების საშუალება. მან **იოსებ ჩილინდრიშვილი** დაამარცხა. ყველაფერი კი მძიმე წონაში გამართულმა შეხვედრამ გადაწყვიტა, სადაც გორელმა **გიგა გელაშვილმა** ქულებით აჯობა **გიორგი კობაიძეს**. შესაბამისად გამარჯვება გორელებს დარჩათ, რომელთაც ქართული ჭიდაობის ფედერაციისაგან თასი, მედლები და ფულადი პრემია ერგოთ.

**ვასილ ბალახაძე**

## წიგნის თარო




ქართულ ფეხბურთზე არაერთი წიგნი გამოცემულა და მომავალშიც გამოიცემა, მაგრამ **გულბათ ტორაძის** ახალი ნაშრომი „ქართული ფეხბურთი ჩემს ცნობიერებაში" გამორჩეულ ადგილს დაიმკვიდრებს საფეხბურთო ლიტერატურაში. ამაზე თუნდაც თავად წიგნის სათაური მიგვანიშნებს. ბატონი გულბათი კი ის პიროვნება გახლავთ, რომლის თვალწინ გაიარა ქართული ფეხბურთის თითქმის მთელმა ისტორიამ. ინტელექტზე კი ისიც მეტყველებს, რომ არის მუსიკათმცოდნე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, ჭადრაკისა და ფეხბურთისადმი მიძღვნილი მრავალი წიგნის ავტორი.

წინასიტყვაობაში რედაქტორი წერს: „ამ წიგნის განსაკუთრებული ხიბლი სწორედ მისი ავტორი გახლავთ. ქართული ფეხბურთის ყველა თაობის გულშემატკივარს ვიცნობ, წიგნიერ, განსწავლულ და ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებულ ქომაგებთან არაერთხელ გვისაუბრია ჩვენი ფეხბურთის სატკივარზე და სიხარულზე, მაგრამ ბატონი გულბათი ამ მხრივაც სრულიად გამორჩეულია. არ მომერიდება და გადაჭარბებული ნამდვილად არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ მკითხველს ამ წიგნის ფურცლებზე უნიკალურ ავტორთან და პიროვნებასთან მოუწევს შეხვედრა, რომელსაც, მართლაც, რომ საოცარი ემოციური მეხსიერება აქვს და ფეხბურთის ნამდვილი გურმანია.

ხუთი-ექვსი-შვიდი ათეული წლის წინათ ნათამაშებ შეხვედრას (!) ბატონი გულბათი ისეთი ფერადოვნებით და ნიუანსებით აღწერს, ისე ძარღვიანად და კონკრეტიკით, რომ მკითხველისთვის ის თამაში ცოცხლდება, თანაზიარი ხდება იმ დღესასწაულისა, რასაც ნამდვილი ფეხბურთი ჰქვია.

ამ წიგნის მკითხველებს მინდა მივულოცო ის, რომ წინ ნამდვილი სიამოვნება გელით. წაიკითხეთ და კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, რომ ქართულ ფეხბურთს მართლაც დიდი წარსული აქვს (აწმყოსგან განსხვავებით), ღრმა ფესვები აქვს, რომლებიც კიდევ ამოიყრის..."

ყველაფრიდან ჩანს, რომ წიგნის გამოცემას პასუხისმგებლობით მოეკიდებიან რედაქტორი **გიორგი გორგოძე**, შემოქმედებითი მუშაკები — **ილია ბაბუნაშვილი, თამაზ მიგრიაული** და **ვახტანგ შატაიძე**, კორექტორი **ნინო ებანოიძე**, გამომცემლობა შპს „ფავორიტი პრინტი". ფოტოები ავტორისთვის საკუთარი არქივიდან მიუწოდებიათ **გარუნ აკოფოვს** და **დემიკო ლოლაძეს.**

**თენგიზ თომაშვილი**

## საჭადრაკო ეტიუდი

2010 წელს მსოფლიოში აღიარებული საჭადრაკო კომპოზიტორის, სომეხი საერთაშორისო დიდოსტატის **ჰენრის კასპარიანის** (იგი თბილისში დაიბადა და გაიზარდა) დაბადებიდან 100 წელი შესრულდა. საიუბილეო თარიღს მიეძღვნა საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში საერთაშორისო კონკურსი - პირველი პრიზი საჭადრაკო კომპოზიციებში ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა, საერთაშორისო დიდოსტატმა **დავით გურგენიძემ** დაიმსახურა. გთავაზობთ ამ ნაწარმოებს.



**ყაიმი.** 1.მფa3 ეg3 2.მფb2! ეxd3; 3.მფxa1 ეa3 4.ეh1+ მფf2 ; 5.ეh2+ მფg3 6.ეh5 d4 ; 7.ეd5 ეa4 8.ეf5 d3; 9.ეd5 ეa3 10.ეf5=

# მილოცვა



საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია დაბადების 70 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს ვეტერან ძალოსანს, სტუდენტთა თამაშების ჩემპიონს, სპორტის ოსტატ **სერგო ბოხუას.**

## ფოტო მეხსიერებისათვის

იყო დრო, მოზარდების ფიზიკური და სულიერი აღზრდა-განვითარება ტრადიციებით საზრდოობდა. სკოლაში გაკვეთილები, კლასგარეშე და სკოლის გარეშე სპორტულ სექციებში თუ სახელოვნებო, მუსიკალურ წრეებში მეცადინეობა, თავისუფალ დროს ქუჩაში ან ეზოში ფეხბურთის თამაში. ნახეთ, რა ჩინებულად და შთამბეჭდავადაა ყველაფერი ეს გადმოცემული ამ ერთ უბრალო ფოტოკადრში, რომელიც სავსებით შესაძლებელია, ფოტოხელოვნებით გატაცებული მათივე თანატოლის მიერ იყოს გადაღებული.



**ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!**

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

## ვიქტორინა

1. დაასახელეთ გუნდი, რომელსაც 1968 წელს თბილისის „დინამოს" ფეხბურთელმა გოჩა გავაშელმა ერთ მატჩში 5 გოლი გაუტანა
ა - ერევნის „არარატი"
ბ - ფრუნზეს „ალგა"
გ - კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი"

2. წყალბურთში საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატი ქალთა შორის მოიგო თბილისის „ივერიამ" (მწვრთნელი ზურაბ ჩაჩავა), რომელ წელს?
ა - 1984 წელს
ბ - 1989 წელს
გ - 1991 წელს

3. რომელ წელს გახდა საქართველოს ჩემპიონი კალათბურთში ბათუმის გუნდი „ბასკო"?
ა - 1984 წელს
ბ - 1986 წელს
გ - 1978 წელს

4. ყველაზე ახალგაზრდულ ასაკში ვინ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან?
ა - ნინო სალუქვაძე
ბ - ლაშა შავდათუაშვილი
გ - ზურაბ ზვიადაური

5. როდის ჩატარდა საქართველოს პირველი ჩემპიონატი ფეხბურთში?
ა - 1925 წელს
ბ - 1928 წელს
გ - 1934 წელს

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-ბ, 5-ა

## კროსვორდი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | 2 | |
| 3 | | | | |
| | | | | 4 |
| 5 | | | | |
| 6 | | 7 | | |
| 8 | | | | |
| | | | 9 | |
| 10 | | 11 | | |
| | | 12 | | 13 |
| 14 | | | | |
| 15 | | | | |
| 16 | 17 | | 18 | |
| 19 | | | | |
| 20 | | | | 21 |
| 22 | | | | |
| 23 | | | 24 | |
| 25 | | | | |
| | | 26 | | |
| 27 | | | | |
| | | 28 | | |
| 29 | | | | |

**თარაზულად:** 1. მატჩის ნახევარი; 3. მოტო-ველო, ავტომანქანებით და ა.შ. შეჯიბრება; 5. სამაგიდო თამაში; 6. ესპანელი ფეხბურთელი დავიდ... ; 8. ცნობილი ფეხბურთელი ... კინი; 9. ფეხბურთელი იბრაჰიმ..;. 10. ჩრდ. კორეის ნაკრების ფეხბურთელი კიმ გენ...; 12. ლეგენდარული ფრანგი ჩოგბურთელი; 14. ლეგენდარული შვედი მოთხილამურე, გუნდე ...; 15. მოჭიდავეებით განთქმული რაიონი რაჭაში; 16. შეფასება ძიუდოში; 19. იტალიელი ფეხბურთელი, ჯანლუკა...; 20. ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (შემოკლებით); 22. მშვილდით სატყორცნი; 23. სპორტის სათამაშო სახეობა; 25. რაგბის ტერმინი (თამაშის გაშლა); 26. ქუთაისის სარაგბო კლუბი; 27. ჩინური საბრძოლო ხელოვნების სახეობა; 28. ლეგენდარული სამოელი მოკრივე...; 29. კასიუს კლეი, ანუ მუჰამედ...

**შვეულად:** 1. სასროლეთი; 2. სიგრძის საზომი ერთეული; 4. სპორტის სახეობა; 5. ცხენის ქროლვა; 7. ... ვან გაალი; 11. იტალიელი ფეხბურთელი ფილიპო ...; 13. ქართული სპორტული ჟურნალი; 14. ქართული საფეხბურთო კლუბი; 17. სტუდენტთა თამაშები; 18. ზამთრის ოლიმპიური თამაშების (1952) მასპინძელი ქალაქი; 21. ჩოგბურთში პარტიის ნაწილი; 24. ცურვის ყაიდა; 26. ბურთი გვერდით ხაზს მიღმა.

პასუხები შემდეგ ნომერში

ქართველები უკრაინაში

# ფაცაციას სუპერმატჩი
## ლიდერი ცინცაძე

**უკრაინის ჩემპიონატი 10 ოქტომბერს დაიწყება. უმაღლეს ლიგაში ქართული კალათბურთის ისტორიაში პირველად ითამაშებს ორი ჩვენიანი. „დნიპრო-აზოტის“ ღირსებას ლევან ფაცაცია დაიცავს, ხოლო „დონეცკისას“ გიორგი ცინცაძე.**

### დნეპროპეტროვსკული დერბი

დონეცკელებმა უკვე დაასრულეს წინასასეზონო მზადება, ხოლო აზოტელებმა ბოლო ამხანაგური თანაქალაქელ „დნიპროსთან“ ჩაატარეს და ჩემპიონატის დაწყების წინ ხასიათი გაიუმჯობესეს - მეტოქე დრამატულ ბრძოლაში 83:68 დაამარცხეს. მატჩის დასაწყისი „დნეპრისა“ იყო, 10 წუთში 23:10 მოიგო. ამის შემდეგ ლევან ფაცაციას თანაგუნდელები უკეთესად ათამაშდნენ, თუმცა მეოთხე პერიოდამდე დაწინაურება მაინც ვერ მოახერხეს. ყველაფერი ბოლო რაუნდში გადაწყდა, როცა „დნიპრ-აზოტმა“ მეტოქეს ქულების წვიმა დაატეხა - 34:9.

წარმატებაში 32-ქულიანი წვლილი მიუძღვის **სიმსს**. ფაცაციას მონაგარში შესაძლოა, ქულები თვალს არ გვჭრიდეს, მაგრამ იგი არანაკლებ სასარგებლო იყო. ამას ციფრებიც ადასტურებს: 12 ქულა, 14 მოხსნა, 5 შედეგიანი გადაცემა და 4 ჩაჭრა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს გახლდათ ლევანის ერთ-ერთი საუკეთესო თამაში კარიერაში. იმედი დავიტოვოთ, რომ ქართველ ფორვარდს ასეთი სტატისტიკა ოფიციალურ შეხვედრებშიც გადაჰყვება.

გამოცემა „ისპორტმა“ უკრაინის ჩემპიონატის მონაწილე გუნდები სათითაოდ დაახასიათა. „დნიპრო-აზოტს“ პლეი ოფს მიღმა დარჩენა უწინასწარმეტყველა (დნიპროპეტროვსკელებმა უნდა დაამტკიცონ, რომ ჟურნალისტები შეფასებაში ცდებოდნენ). გუნდის ოპტიმალურ ხუთეულში კი ქართველიც შეიყვანა: **სიმსი, კოროჩკინი, ფაცაცია, კრივცოვი, მალდროუ.**



ლევან ფაცაცია (ბურთით)



გიორგი ცინცაძე (მარცხნივ)

### ზომიერი დონეცკი

თუ „დნიპრო-აზოტი“ მხოლოდ უკრაინის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას, გიორგი ცინცაძის „დონეცკს“ ვითიბი ლიგაც ელის. უკრაინელები ამ შეჯიბრებაში პირველ მატჩს 13 ოქტომბერს პეტერბურგის „სპარტაკთან“ ჩაატარებენ.

ვითიბი ლიგის ოფიციალურ საიტზე დეტალურადაა განხილული მონაწილე გუნდები. „დონეცკის“ შესახებ ვკითხულობთ:

**მოლოდინი.** გუნდმა ამ ზაფხულს ზომიერება გამოიჩინა, ვარსკვლავური გვარების ამერიკელები არ ჩამოიყვანა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვითიბი ლიგის წლევანდელ გათამაშებაში აუტსაიდერი იქნება.

**ლიდერი:** გიორგი ცინცაძე. სწორედ ქართველმა პლეიმეიქერმა უნდა იკისროს ლიდერობა. მას საამისოდ ყველა მონაცემი აქვს. გიორგი წლების განმავლობაში საქართველოს ნაკრების საკვანძო ფიგურაა და „დონეცკში“ ლიდერის როლი მისთვის უცხო არ იქნება. ცინცაძე საკლუბო დონეზეც თავს დამაჯერებლად გრძნობს. მაგალითად, გასულ სეზონში „ბუდიველნიკთან“ ერთად უკრაინის ჩემპიონი გახდა.

**შენაძენი:** დენის იაკოვლევი. ჯერ უცნობია, რომელი ამერიკელი ახალწვეული გაიბრწყინებს და რომელს როგორი კარიერა ექნება ევროპაში. ამიტომ, ამ ქვეთავში დენის იაკოვლევზე უნდა დავწეროთ. იგი ნაციონალურ ნაკრებში ვერ მოხვდა, თუმცა, ბევრის აზრით, უკრაინელთა შორის საუკეთესო მსუბუქი ფორვარდია.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ხელშეკრულება



# ედეშკო, ერიომინი და ტარაკანოვი ჩამოვლენ

ორიოდე დღის წინ გაგაცანით საერთაშორისო სტუდენტურ ლიგაში ქართული სტუ-ს მატჩების განრიგი. ამ ლიგის გენერალურ მდივან **ვიქტორ კრავჩენკოსთან** ერთად „კალათბურთელთა კავშირის“ ხელმძღვანელმა **მიხეილ ახვლედიანმა** გამართა პრესკონფერენცია, რომლის დასაწყისში ოფიციალურად მოეწერა ხელი საერთაშორისო სტუდენტურ საკალათბურთო ლიგასთან თანამშრომლობას.

- მოგეხსენებათ, ჩვენს გუნდს პირველი მატჩი 15 ოქტომბერს ელის მოსკოვის მსუ-სთან. ბოლო მოსამზადებელ ეტაპთან დაკავშირებით საქართველოს ეწვია საერთაშორისო სტუდენტური ლიგის გენერალური მდივანი ვიქტორ კრავჩენკო, რომელიც აქტიური სპორტსმენობისას მოსკოვის „დინამოს“ ღირსებას იცავდა, - აღნიშნა მიხეილ ახვლედიანმა.

ვიქტორ კრავჩენკომ ჯერ ზოგადად ლიგაზე ილაპარაკა:

- წლევანდელ გათამაშებაში 38 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ისინი რეგიონული პრინციპით არიან განაწილებულნი. გვაქვს ბრიტანეთის დივიზიონი, ბალკანეთის, ბალტიისპირეთის, აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის. ჯგუფური ეტაპის შემდეგ გუნდები პლეი ოფში გააგრძელებენ ასპარეზობას, ხოლო ფინალური რვაეულის შეხვედრებს ყაზანი უმასპინძლებს. სტუდენტური ლიგის ჩემპიონი გაემგზავრება ევროლიგის ოთხთა ფინალზე, რომელიც მილანში გაიმართება.

ბატონმა ვიქტორმა იქვე ჩვენს პირველ მეტოქე მსუ-ზე გვითხრა: შარშან პლეი ოფში ვერ გავიდა, თუმცა წლეულს უკეთესი გუნდიაო. შევიტყვეთ კიდევ ერთი სიახლე: 15 ოქტომბერს ოფიციალური მატჩის გარდა გაიმართება ვეტერანთა დაპირისპირება. თბილისში ჩამოვლენ **სერგეი ტარაკანოვი, ივან ედეშკო, სტანისლავ ერიომინი** და სხვები...

- მოხარული ვარ, რომ კიდევ ერთხელ მომეცემა ჩემი მეგობრების ხილვის საშუალება, - თქვა პრესკონფერენციაზე ნიკოლოზ დერიუგინმა, რომელიც საერთაშორისო სტუდენტურ ლიგაში მოასპარეზე სტუ-ს მწვრთნელია, - მათთან ერაერთი თბილი მოგონება მაკავშირებს და კარგია, რომ მოედანზე კიდევ ერთხელ გავიხსენებთ ახალგაზრდობას.

**ვაჟა სიმონიშვილი**

შეხვედრა

# ვინ უნდა აირჩიოს პრეზიდენტი?

« მე-10 გვერდიდან

**ლევან მოსეშვილი,** ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი: „ბოლო წლებში რომ ვხედავდი, თუ რა ხდებოდა სპორტის სხვა სახეობათა ფედერაციებში, იმით ვიყავი ამაყი, რომ ჩვენი ფედერაცია ერთიანობით გამოირჩეოდა. ძნელად თუ ვინმე წარმოადგენდა საკალათბურთო ოჯახში განხეთქილებას. არადა, წლეულს ევროპის ჩემპიონატზე ჩვენმა კალათბურთელებმა ტრავმირებული ლიდერების გარეშეც შესანიშნავად ითამაშეს. ეს იმის შედეგია, რომ კალათბურთის ფედერაციამ ბიჭებს კონტინენტის პირველობისთვის მოსამზადებლად ყველა პირობა შეუქმნა და ამის დაუნახაობა უმადურობა იქნება. მომდევნო ეტაპზე რომ ვერ გავედით, ეს მხოლოდ უიღბლობის ბრალია. მე თუ ვინმე მკითხავს, ამ გუნდს ნამდვილად არ დავშლიდი“.

**ვაჟა ჟღენტი,** საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი: „ქუჩაში უბრალო ადამიანები, ქომაგები რომ გვეკითხებიან, ქართულ კალათბურთში რა ხდებაო, ჩვენ, ვეტერანები, ვერაფერს ვპასუხობთ, რადგან არავინ არაფერს გვეკითხება. დღევანდელმა შეხვედრამ კი ბევრი რამ გაარკვია, განსაკუთრებით კი ის, თუ რა გვაღელვებს ვეტერანებს, რაზე შეგვტკივა გული. კალათბურთი ვილაც-ვილაცების კი არა, ქართველი ხალხის კუთვნილებაა და ეს ყველამ უნდა გაითავისოს. დღეს ბევრი რამ გაირკვა. ვილაპარაკეთ, ვინ უნდა ირჩევდეს ფედერაციას, გამგეობას, ფედერაციის პრეზიდენტს. აქ სიტყვა ვეტერანებსაც გვეთქმის, რადგან ქართული კალათბურთის განვითარებაში ჩვენც მიგვიძღვის წვლილი. იმედია, ფედერაციის გამგეობა ჩვენს წინადადებებს და სურვილებს გაითვალისწინებს“.

**ვალერი ლომაძე,** ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდის პრეზიდენტი: „ფედერაციის ყრილობის მოახლოებასთან დაკავშირებით ბოლო დროს დაძაბულობამ და უსიამოვნო აჟიოტაჟმა იმატა. ეკუთვნის თუ არ ეკუთვნის, ყველა ცდილობს, ფედერაცია გააკრიტიკოს, არადა, იგი ამას არ იმსახურებს, განსაკუთრებით იმ ხალხისგან, ვისაც ჩვენში კალათბურთის გასავითარებლად თითი თითზე არასდროს დაუკარებია. ამას წინათ ნაკრების წევრმა ვიქტორ სანიკიძემ ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ეროვნული გუნდის წევრებს ფედერაციის გარშემო არსებული დაძაბულობა არც გვიგრძვნიაო. დიახ, ფედერაციამ ყველაფერი გააკეთა ნაკრების წევრებისთვის სრული კომფორტის შესაქმნელად. მახსოვს, თბილისის „დინამო“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე იტალიის ჩემპიონ „სიმენტალთან“ სათამაშოდ რომ მიემგზავრებოდა, გუნდს ახლდა დედაქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე. ევრობასკეტზე მიმავალი ჩვენი ბიჭებისთვის კი გზაც არავის დაულოცავს. სამაგიეროდ, ვილაც-ვილაცები ფედერაციის არჩევნებისთვის გააქტიურდნენ. განსაკუთრებით, ზოგიერთი სასპორტო სკოლისა და სასპორტო კლუბის ხელმძღვანელები, რომლებსაც ქართულ კალათბურთთან შეხება არასდროს ჰქონიათ. დავიჯერო, ქართული კალათბურთის ბედი ყოფილმა მოჭიდავემ უნდა გადაწყვიტოს და ყრილობაზე ვაჟა ჟღენტს, გურამ მინაშვილს, ლევან მოსეშვილს, ნიკოლოზ დერიუგინს, ვაჟა გვანცელაძეს, გურამ აბაშიძეს და სხვა დამსახურებულ კალათბურთელებს არაფერი ესაქმებათ?“

**ნოდარ ქორქია,** ვეტერანი კალათბურთელი: „ქართული კალათბურთი ისე დაქსაქსული არ არის, როგორც ეს გარედან ჩანს. ეს დღევანდელმა შეხვედრამაც დაადასტურა. მეც მხარს ვუჭერ მოსაზრებას, რომ ქართველ ვეტერანთა საბჭოს ყრილობაზე ერთი კი არა, ხუთი ხმა მაინც უნდა ჰქონდეს. ვეტერანები ამას იმსახურებენ. შესაძლოა, ფედერაციის პრეზიდენტად მეც წამოვაყენო ჩემი კანდიდატურა, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ვინმეს პიროვნულად დავუპირისპირდე. საარჩევნო ციებ-ცხელება რომ ჩაივლის, მერე ჩვენს ერთიან ოჯახში ბზარი არ უნდა გაჩნდეს - ვალდებული ვართ, ყველა ერთად გავისარჯოთ ქართული კალათბურთის საკეთილდღეოდ“.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტოები



მარცხნიდან: ვალერი ლომაძე, ნოდარ ქორქია, ბესიკ ლიპარტელიანი, მერაბ რატიშვილი და პაატა გურასპაული

ისტორია

# პირველი ქართველი მორაგბეების ამბავი

**ეს იმდროინდელი ამბავია, ჭიათურაში მეფის რუსეთის ხელისუფალთა თავხედობა რომ ველარ აიტანეს და კარგა ხნის შეხლა-შემოხლის შემდეგ, 1905 წლის დეკემბერში „ჭიათურის რესპუბლიკა“ გამოაცხადეს. ჭიათურა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ სულაც არ გამოუცხადებიათ — უბრალოდ, მეფის ხელისუფლება ანუ მონარქიზმი დაამხეს და რესპუბლიკური წყობა დაამყარეს თავისი საკანონმდებლო ორგანოთი, რომელსაც „სახალხო საბჭო“ ერქვა, სახალხო გვარდიით და პრეზიდენტით. ყოველი შემთხვევისთვის, „ჭიათურული სეპარატიზმის“ გალვივებაში რომ არ დამადანაშაულონ, აქ იმასაც ვიტყვი, რომ იმხანად საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში გამოცხადდა რესპუბლიკა — მონარქიული წყობა დაემხო და მთელი ხელისუფლება ხალხის ხელში გადავიდა.**

ჭიათურის რესპუბლიკის პრეზიდენტს რა ერქვა, არაა საინტერესო, რადგან მის ამბავს სულაც არ ვყვებით. ჩვენ უფრო „სახალხო გვარდიის“ ორი თავზეხელაღებული მებრძოლის — **ვანო და სერგო ლაბაძეების** თავგადასავალი გვაინტერესებს. ისინი ძმები იყვნენ და მაღაროში მუშაობდნენ, სადაც საყოველთაოდ ცნობილნი იყვნენ იმით, რომ ლელობურთის თამაშში მათ ვერავინ სჯობდა. ლელობურთს კი მაშინ უფრო ხშირად და მეტი ხალისით თამაშობდნენ, ვიდრე დღეს ჭადრაკს ან დომინოს. მაღაროელებს საკუთარი გუნდი ჰყავდათ და საკმაოდ ცნობილიც.

1906 წლის თებერვალში, როცა „ჭიათურის რესპუბლიკა“ გენერალმა მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკიმ დაამხო, ხოლო მისი პრეზიდენტი და სახალხო საბჭოს წევრები ხალხის დასაშინებლად ბაზარში ჩამოახრჩობინა, კაზაკების ტყვიებს სასწაულით გადარჩენილი სერგო და ვანო ლაბაძეები ჯერ მშობლიური სოფლის — ნიგოზეთის ტყეში დაიმალნენ და მერე ოსმალეთის იმპერიაში გაიქცნენ. ჟანდარმერიის დევნას თავი ამგვარად დააღწიეს. ორივე ძმა ტრაპიზონში დასახლდა და თავის სარჩენად, ტრადიციულ ხელობას — მეთუნეობას მიჰყვეს ხელი. მცირე ხანში ცოტა ფულიც მოაქუჩეს და წელშიც გაიმართნენ. ამასობაში, ოსმალეთის იმპერიაშიც გვარიანად აირია სიტუაცია.

სულთნის მოწინააღმდეგე პარტიის — „ახალგაზრდა თურქების“ წევრები ძალზე ცდილობდნენ, რომ ოსმალეთის არათურქი ხალხების ეროვნულ გრძნობებზე თამაშით, ისინი სულთნის წინააღმდეგ გამოეყვანათ. 1907 წლის ბოლოს, მართლაც მთელ ოსმალეთში, არათურქმა ხალხებმა — ალბანელებმა, არაბებმა, ქართველებმა, მაკედონელებმა, სომხებმა და სხვებმაც, ეროვნული კომიტეტები შექმნეს და აჯანყებისთვის მზადება დაიწყეს. სხვათა შორის, რუსეთში რევოლუციური გამოსვლების სისხლში ჩახშობამ კიდევ უფრო გააძლიერა ოსმალეთში მიმდინარე ეს მზადებანი, რამდენადაც უამრავი ქართველი და სომეხი რევოლუციონერი, რომელსაც რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე არ დაედგომებოდა, სწორედ ლაზეთის და დასავლეთ სომხეთის იმ ტერიტორიებზე გადავიდა, რომელიც 1878 წლის ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, კვლავაც ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში დარჩა.

აი, ამგვარ პერიოდში აღმოჩნდნენ ძმები ლაბაძეები ტრაპიზონში, სადაც მაშინ ქართველები უფრო მეტნი ცხოვრობდნენ, ვიდრე ბერძნები და ოსმალები — ერთად. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ლაზეთის მკვიდრ ქართველებს სწორედ ამ ქალაქში ჰქონდათ შექმნილი თავიანთი ეროვნული კომიტეტი, რომელსაც ხოფელი **ბესიმ ახისკალოღლი** მეთაურობდა. მასთანვე იყო დაკავშირებული ტრაპიზონსა და ლაზეთში რუსეთიდან გადმოსული თითქმის ყველა ქართველი; მათ შორის — ძმები ლაბაძეებიც.

1908 წლის ივლისში, მაკედონიაში, რომელიც ოსმალეთის იმპერიის ნაწილი იყო, „ახალგაზრდა თურქთა“ წაქეზებით, სულთნის საწინააღმდეგო აჯანყებამ იფეთქა. ცოტა ხანში, სიტუაცია დაიძაბა ოსმალეთის სხვა ქალაქებშიც. ტრაპიზონში კი, გეგმების თანახმად, აჯანყება უნდა დაწყებულიყო იმავე დღეს, როცა სტამბოლში პირველი თოფი გავარდებოდა. ქალაქში ამ მხრივ, ყველაფერს ქართველები აკონტროლებდნენ — ბესიმ ახისკალოღლი მზად იყო, ცნობის მიღებისთანავე, აჯანყება წამოეწყო და ტრაპიზონიც აეღო, მაგრამ ველარაფერი მოასწრო: სტამბოლში თოფის გავარდნას სწრაფადვე მოჰყვა სულთნის რეაქცია — იენიჩარებმა მოახერხეს მეამბოხეთა რაზმი იქამდე გაენადგურებინათ, სანამ ისინი რაიმე სერიოზულ წარმატებას მიაღწევდნენ. მიუხედავად ამისა, ტრაპიზონში მაინც დაიწყო აჯანყება — ქართველთა „ეროვნული კომიტეტის“ მართული რაზმები ქუჩებში გამოვიდნენ და ქალაქის მნიშვნელოვანი პუნქტების აღება სცადეს. ოსმალური არმიის გარნიზონმა, რომელმაც რეაგირება დროზე მოახდინა, რაზმელები დაამარცხა, ხოლო ჟანდარმერიამ დააკავა კომიტეტის მეთაური ბესიმ ახისკალოღლი და მისი მოადგილეები. ისინი იმ საღამოსვე სატახტო ქალაქში გადაიყვანეს.

ჰოდა, მოხდა ისე, რომ ბესიმ ახისკალოღლი არც მაშინ გაათავისუფლეს, როცა „ახალგაზრდა თურქთა“ აჯანყების მონაწილეთა ამნისტია გამოცხადდა. სტამბოლში მის დასახმარებლად ქართული კომიტეტის შვიდი წევრი გაემგზავრა: სერგო და ვანო ლაბაძეები, მათი ნათესავი **ლევარსი სამხარაძე** და ლაზები: ენვერ-ფაშა **ქავთაროღლი, ნიაზ ბანოღლი, ნური კაკალოღლი** და **ხუსეინ გოჭოღლი.** მათ გადაწყვიტეს, კარგი ადვოკატი დაექირავებინათ და ბესიმ ახისკალოღლი გაეთავისუფლებინათ. მართლაც მონახეს, ვიღაც იტალიელი ადვოკატი, თუმცა მის მიერ მოთხოვნილი ფასი ძალზე ეძვირათ.

სწორედ იმ დროს, როდესაც შვიდი ქართველი სტამბოლის ერთ-ერთ ფუნდუკში იჯდა და მსჯელობდა, ფული როგორ ეშოვათ, ქალაქში შოტლანდიური შვიდკაცა რაგბის გუნდი იყო ჩამოსული და საჩვენებელ მატჩებს მართავდა. მაშინ რაგბი დიდად პოპულარული იყო — როგორც ვთქვი, იმდენადაც, რომ თვით ოლიმპიური თამაშების პროგრამაშიც კი იყო შეტანილი. შოტლანდიური შვიდკაცა რაგბი კი, ჭეშმარიტად საერთო-სახალხო თამაში გახლდათ: მთელ ევროპაში იმხანად დიდად მოდაში იყო შვიდკაცა რაგბის ფულზე თამაში. განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო ქალაქ ედინბურგის შვიდკაცა გუნდი „სენტ გილბერტ სევენი“, რომელსაც მთელი ევროპის მასშტაბით, დაუმარცხებლის სახელი ჰქონდა. სწორედ ეს გუნდი იყო ჩამოსული იმ პერიოდში სტამბოლშიც.

შვიდკაცა რაგბის გუნდის ამბავი ქართველებთან ხუსეინ გოჭოღლიმ მიიტანა — ის ქალაქში იყო გასული, სადაც საკუთარი თვალით იხილა მათი გამართული მატჩი და ისიც კი შეიტყო, რომ ჩამოსულები ყველა მსურველს ეპატიჟებოდნენ სათამაშოდ. ხუსეინი თავადაც კარგი ლელო-მობურთალი იყო. ამიტომ, ბევრი არც უფიქრია, ამხანაგებს პირდაპირ უთხრა: „ჩვენ მაგ თამაშს ვერავინ გვასწავლის და, თან ეს უცხოელები მოგებულ მოწინააღმდეგეს ფულს უხდიან... ბედი ხომ არ გვეცადა?“ — სერგო ლაბაძე მაშინვე დაეთანხმა მას, ვანომ კი იკითხა: *„კი მარა, რომ წავაგოთ, მაშინ რაღა ვქნათ?“* ამაზე ხუსეინ გოჭოღლის გაეცინა: *„რატომ უნდა წავაგოთ? სირცხვილი არ იქნება, ვიღაც ჩამოსულებმა რომ ლელობურთში მოგვიგონ?“* — ამან შვიდეულის ღირსებაზე დიდად იმოქმედა და ყველანი სტადიონისაკენ გაემართნენ.

„სენ გილბერტ სევენს“, მწვრთნელთან ერთად, ედინბურგელი ჟურნალისტი **ჯონ მაკფერსონიც** ახლდა. ის მხატვარიც იყო და თავის სტატიებს თავადვე ასურათებდა ხოლმე. *„სტამბოლში ჩვენმა გუნდმა სულ ოთხი მატჩი გამართა. აქედან ყველაზე შთამბეჭდავი იყო მეოთხე — მაშინ ოსმალეთის იმპერიის კავკასიელი ქვეშევრდომები დაგვიპირისპირდნენ. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც „სენტ გილბერტ სევენს“ მოწინააღმდეგისთვის ერთი ლელოც კი არ გაუტანია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჩვენებთან შედარებით, არ იყვნენ პროფესიონალი მოთამაშეები... შვიდივე ალვისტანა იყო და, ძალიან მსუბუქად მოძრაობდა. ჩვენებს არც მუშტიკრივში უდებდნენ ტოლს და არც ბურთის ფლობაში. ოცდარვაჯერ გაგვიტანეს ლელო და ყურებიც ბაზარში გაყიდული ვირებივით ჩამოგვაყრევინეს... მერეღა შევიტყვე, რომ თურმე რაგბი მათი ეროვნული თამაში ყოფილა, თანაც მათთან გაცილებით უფრო ადრე იყო ცნობილი, ვიდრე ჩვენთან — ბრიტანეთში“* — წერდა საკუთარ სტატიაში ჯონ მაკფერსონი.

აქვე დავძენ იმასაც, რომ იგი ამ შემთხვევის მერე საქართველოთიც დაინტერესდა. ინტერესი კი ისეთი სერიოზული აღმოჩნდა, რომ გუნდს უკან აღარც გაჰყოლია — თავისი გაზეთის რედაქციაში დეპეშა გაგზავნა: ოსმალეთში ვრჩები და თანაც სტამბოლიდან ტრაპიზონისკენ მივემგზავრები, მასალების მოსაძიებლადო და ასეც მოიქცა — თან გამოჰყვა ქართველთა შვიდკაცა გუნდს და მათ განთავისუფლებულ ამხანაგს: იტალიელმა ადვოკატმა ოქროს ლირები რომ დაინახა, შეუძლებელი შეძლო და ბესიმ ახისკალოღლი სასამართლოს დარბაზიდანვე გაათავისუფლებინა.

პირველ ქართველ მორაგბეებს რაც შეეხებათ: მოგვიანებით შვიდივე მათგანი ჯერ „ქართულ ლეგიონში“ იყო, მერე „საქართველოს დამოუკიდებლობის ლაზეთის კომიტეტში“, რუსებსა და ოსმალებს ებრძოდა. ვანო ლაბაძე და ლევარსი სამხარაძე 1918 წელს დაბრუნდნენ საქართველოში. ვანო სასაზღვრო ჯარების სარდალი გახდა, ლევარსი კი ბათუმის ტელეგრაფში მუშაობდა. სერგო ლაბაძე ლაზეთის სოფელ არქაბში დაოჯახდა და სიცოცხლის ბოლომდე იქ ცხოვრობდა. მისი შთამომავლები დღესაც იქ სახლობენ, ოღონდ უკვე თურქულ გვარს ატარებენ. ეს ამბავი სწორედ მათ მიამბეს და ფოტომასალაც დიდსულოვნად მომაწოდეს.



პირველი ქართველი მორაგბეები: მარცხნიდან — ვანო ლაბაძე, სერგო ლაბაძე, ენვერ-ფაშა ქავთაროღლი, ლევარსი სამხარაძე, ნიაზ ბანოღლი; ქვემოთ: ნური კაკალოღლი და ხუსეინ გოჭოღლი.

**მიხეილ ლაბაძე**

ლეგიონერები




# ვინ დაიპყრობს ალიანს რივიერას

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის მე-9 ტური განსაკუთრებით საინტერსო იქნება. აქ რამდენიმე წყვილში უშელავათო ბრძოლებია მოსალოდნელი, რომელთა საბოლოო შედეგის პროგნოზირება ურთულესი საქმეა.**

ტურის ცენტრალურ მატჩად მაინც **ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონისა“ და **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონის“ დაპირისპირება მიიჩნევა, რომელიც ნიცაში, ახალ არენაზე „ალაინს რივიერაზე“ გაიმართება. ეს გადაწყვეტილება ამ შეხვედრისადმი გაზრდილი ინტერესის გამო მიიღეს. მატჩის ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ სტადიონს, რომელიც 35 ათას მაყურებელს იტევს, პირთამდე აავსებენ.

დღეისთვის „ვულკანებს“ 24 ქულა აქვთ და მეორე ადგილზე არიან, ტულონელები მათ ერთი ქულით ჩამორჩებიან და ნიცაში მეტოქეს საბრძოლო რაზმით დაუხვდებიან. გაფართოებულ, 24-კაციან შემადგენლობაში საქართველოს ნაკრების მეორეხაზელი კონსტანტინე მიქაუტაძეცაა, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს დავით ზირაქაშვილი.

კიდევ ერთი, უმნიშვნელოვანესი მატჩი გაიმართება ტულუზში, სადაც **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** ადგილბრივი გუნდი, გათამაშების ამჟამინდელ ლიდერს, **ზურაბ ჟვანიასა** და **დავით ქუბრიაშვილის** „სტად ფრანსეს“ დაუპირისპირდება. ამ გუნდების მატჩი ფრანგული რაგბის კლასიკად მიჩნევა, რომელმაც ბოლო წლებში პარიზელთა კრიზისის გამო პეწი დაკარგა. თუმცა, ამჟამად, „სტად ფრანსე“ ისევ ლიდერებში მოგვევლინა და უნდა ვივიარაუდოთ, რომ „ტულუზს“, რომელიც სამართლიანად არის მიჩნეული ევროპული რაგბის გრანდად, საკადრის წინააღმდეგობას გაუწევს.

მინიმუმ სამეულში დაბრუნების შანსი აქვს **მამუკა გორგოძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიეს“, რომელიც შინ ეთამაშება დივიზიონის დებიუტანტ „ოიონაქსს“. ჩვენებურთა გუნდის მეტოქე შესანიშნავად თამაშობს საკუთარ მოედანზე და ბევრ სოლიდურ გუნდს „წაატეხა რქები“. თუმცა, გასვლით მატჩებში ოიონაქსელები წინააღმდეგობის გაწევას ვერ ახერხებენ. „მონპელიე“ შესანიშნავ ფორმაშია და, სავარაუდოდ, მეტოქეს კუდით ქვას ასროლინებს.

ლიდერთა ჯგუფის კიდევ ერთი წარმომადგენელი **დავით ხინჩაგიშვილის** „მეტრო რასინგი“ შინ ეთამაშება „გრენობლს“. საქართველოს ნაკრების პირველხაზელი ძირითად შემადგენლობაშია.

## I დივიზიონი

### IX ტური

**ბიარიცი-პერპინიანი, ტულონი-კლერმონი, ბრივი-კასტრი, ბორდო-ბაიონი, მონპელიე-ოიონაქსი, მეტრო რასინგი-გრენობლი, ტულუზი-სტად ფრანსე.**

### სატურნირო მდგომარეობა

1. სტად ფრანსე - 26 ქულა, 2. კლერმონი - 24, 3. ტულონი - 23, 4. მონპელიე - 22, 5. ტულუზი - 22, 6. მეტრო რასინგი - 21, 7. კასტრი - 20, 8. პერპინიანი - 20, 9. გრენობლი - 19, 10. ბრივი - 17, 11. ოიონაქსი - 17, 12. ბორდო - 16, 13. ბაიონი - 16, 14. ბიარიცი - 7.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი. ტურნირები

# ნადალი გადარჩა და პირველ ადგილს მიუახლოვდა

პეკინში მიმდინარე ქალთა და მამაკაცთა ტურნირებზე მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა. **რაფაელ ნადალი**, რომელსაც ფინალში გასვლა სჭირდება მსოფლიოს რეიტინგში ლიდერობის დასაბრუნებლად, იტალიელ **ფაბიო ფონინის** ხვდებოდა. წელს, ეს ჩოგბურთელები ორჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ორივეჯერ გრუნტზე და ნადალმა შანსი არ დაუტოვა აპენინელს. ამჯერად, ჰარდის საფარზე, ფონინიმ გვარიანად ანერვიულა მსოფლიოს მეორე ჩოგანი და ძალიან ახლოს იყო გამარჯვებასთან.

ფაბიომ ძალიან ძლიერად დაიწყო გადაწყვიტა, ბევრს უტევდა და ამან თამაშში გარდატეხის შეტანის საშუალება მისცა. მეშვიდე გეიმში რაფამ უმნიშვნელოვანესი ბრეიკი გააკეთა, შემდეგ კი რამდენიმე გადამწყვეტი გათამაშება მოიგო და ანგარიში გაათანაბრა. იტალიელი ანერვიულდა და მნიშვნელოვან მომენტში საკუთარი მოწოდება წააგო. ნადალს ისღა დარჩენოდა, დამაჯერებლად ჩაეწოდებინა სეტზე - 6:4.

ამის შემდეგ, ფონინის საბრძოლო განწყობა საერთოდ გაქრა. იტალიელმა მესამე სეტში მხოლოდ სასტარტო გეიმი აიღო და მთლიანად ჩააგდო გადამწყვეტი პარტიის ბოლო ნაწილი - 2:6, 6:4, 6:1 ესპანელის სასარგებლოდ.

იმისთვის, რომ ფინალში გავიდეს და რეიტინგში ლიდერობა მოიპოვოს, ნადალს ნახევარფინალში **ტომაშ ბერდიხის** დამარცხება სჭირდება. ჩეხმა გუშინ ორ სეტში სძლია **ჯონ ისნერს** - 7:5, 6:2. რაც შეეხება ნადალისა და ბერდიხის ურთიერთშეხვედრებს, ტომაშს მომავალი მეტოქე ბოლოს 2006 წელს ჰყავს დამარცხებული, იქედან მოყოლებული კი ნადალმა ზედიზედ 14 (!) მატჩი მოიგო. წელს მათ სამჯერ მოასწრეს შეხვედრა და რაფამ ერთი სეტიც არ გაიმეტა ბერდიხისთვის.

მეორე ნახევარფინალური წყვილი შეადგინეს **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** და **რიშარ გასკემ**. ჯერ კიდევ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა დიდი ენერგია არ დახარჯა ამერიკელი **სემ კუერის** დასამარცხებლად. ნოვაკმა 5:0 სპურტით დაიწყო, თუმცა ამერიკელმა თავიდან აიცილა „მშრალი" ანგარიშით მარცხი, მეორე სეტში კი ის მოახერხა, რომ ერთით მეტი გეიმის მოგება შეძლო - 1:6, 2:6.

რაც შეეხება გასკეს, მან ამერიკის ღია პირველობაზე შეწყვიტა ესპანელ **დავიდ ფერერთან** საშინელი სერია, რომელიც ზედიზედ რვა მარცხს ითვლიდა, ახლა კი ზედიზედ მეორედ დაამარცხა პირენეელი, თანაც ორ პარტიაში - 6:3, 6:4. შეხვედრა მხოლოდ საათი და 23 წუთი გრძელდებოდა. ფრანგმა სეზონის ბოლოს კარგი ფორმა აკრიფა და რეალურად შეუძლია წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრა. თეორიულად, პირველ რვა ჩოგბურთელს შორის შესვლას ის პეკინის შემდეგაც შეძლებს, ოღონდ, ამისთვის, მან დღეს ჯოკოვიჩი უნდა დაამარცხოს, რაც 2007 წლის შემდეგ არ გაუკეთებია.



რაფა ნადალი

თამაში და რაფაელის პირველივე მოწოდებაზე ბრეიკი გააკეთა. მალე იტალიელმა კიდევ ერთი ბრწყინვალე გეიმი ჩაატარა მიღებაზე და 5:1-ზე სეტზე ჩაწოდების უფლება მიიღო. ნადალმა ბოლომდე ბრძოლა გადაწყვიტა და მატჩში პირველი ბრეიკი გააკეთა. თითქოს ეს მატჩში გარდატეხა უნდა ყოფილიყო, მაგრამ შემდეგ გეიმში მან ისევ წააგო თავისი მოწოდება. ასე რომ, ფონინიმ სამი ბრეიკი გააკეთა და კარიერაში პირველად მოუგო სეტი ნადალს.

თუმცა იტალიელი ამაზე გაჩერებას არ აპირებდა. მეორე პარტია მისი გაქცევით დაიწყო - 3:0 და 4:1! სწორედ ამ დროს, ნადალმა უფრო აქტიური თამაში

**China Open**

**1/4 ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ფაბიო ფონინი (იტა) 2:6, 6:4, 6:1; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 4)**-ჯონ ისნერი (აშშ, 8) 7:5, 6:2; **რიშარ გასკე (საფ, 5)**-დავიდ ფერერი (ესპ, 3) 6:3, 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-სემ კუერი (აშშ) 6:1, 6:2.

# უფორმო სერენაც დომინირებს

ქალების ტურნირზე ისევ არ ასრულდა ჩინელი გულშემატკივრების ოცნება - **ნა ლი** ვერაფრით ახერხებს საშინაო ტურნირზე ფინალში გასვლას. ამჯერად, მისთვის გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა **პეტრა კვიტოვა**, რომელიც ბრწყინვალე ფორმაში შევიდა. გასულ კვირას მან ტოკიოს ტურნირი მოიგო და ახლა, ძალიან ჰგავს იმ ჩოგბურთელს, რომელმაც ორი წლის წინათ უიმბლდონი მოიგო.

ჩოგბურთელებმა ვერ აჩვენეს იდეალური თამაში, ძალიან ბევრი იყო შეცდომა. მაგალითად, კვიტოვა პირველი სეტის ბოლოს საერთოდ ვერ ახვედრებდა მიზანში და ამის გამო დათმო პარტია, მეორეში ნა ლი იყო პასიური და სეტებს შორის თანაფარდობა აღდგა. მესამე სეტში განვითარებული მოვლენები კი ლოგიკას არ შეესაბამებოდა. თავიდან ჩინელმა ზედიზედ სამი გეიმი აიღო და 3:1 დაწინაურდა. გულშემატკივრებმა სიხარული ვერ მოასწრეს, რომ პეტრამ სტატუს-კვო აღადგინა და ბრეიკის გავიდა წინ. გადამწყვეტი აღმოჩნდა გეიმი კვიტოვას მოწოდებაზე, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივი გამოვიდა და ბოლოს, ჩეხმა გაიხსენა, რომ ძლიერი მოწოდების პატრონია. ორჯერ პირველი ბურთი ჩააგდო და წინ გაიჭრა. კვიტოვამ 2 საათსა და 31 წუთში დაამარცხა ადგილობრივი პუბლიკის კერპი - 4:6, 6:2, 6:4.

პეტრამ ზედიზედ მერვე მატჩი მოიგო და ნახევარფინალში სერბ **ელენა იანკოვიჩს** შეხვდება. ამ უკანასკნელმა შეაჩერა **ლუსი საფაროვას** ტრიუმფალური სვლა - 6:7, 6:4, 6:4. ელენა აგრძელებს ბრძოლას წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოსახვედრად და კვიტოვასთან დღევანდელი ნახევარფინალი, ამ მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია.



ნა ლიმ ნავსი ვერ გატეხა

პეკინის ტურნირზე შორს არის თავისი ოპტიმალური კონდიციებისგან **სერენა უილიამსი**, მაგრამ ასეთ ფორმაშიც კი ის აღემატება თავის კონკურენტებს. მეოთხედფინალში ამერიკელმა მხოლოდ ხუთი გეიმი დაუთმო მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს **კაროლინ ვოზნიაცკის**. პირველ პარტიაზე კარგად ლაპარაკობენ ციფრები: 26 წუთში სერენამ 17 „ვინერსი" მიითვალა, კაროლინს კი მხოლოდ ერთი მოგებული ქულა ჰქონდა. მეორე სეტში ამერიკელი 4:0 დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ მოდუნდა და მეტოქეს ზედიზედ სამი გეიმის აღების საშუალება მისცა. თუმცა რეალურ ბრძოლაზე ლაპარაკი არ ყოფილა. სერენამ კონცენტრაცია თავის გეიმზე მოახდინა და მშვიდად მიიყვანა მატჩი გამარჯვებამდე - 6:1, 6:4.

სეზონში მე-12 ფინალში გასასვლელად ამერიკელი **აგნიეშკა რადვანსკას** შეხვდება. მათ შორის ურთიერთშეხვედრებში სერენა წინ არის - 6:0 და დღესაც, უილიამსი ფავორიტი იქნება. აგნიეშკას უცნაური მატჩი ჰქონდა **ანჟელიკ კერბერთან**. სასტარტო პარტიაში 5:1 დაწინაურდა, მაგრამ ტაი-ბრეიკის თამაში მოუწია, რომელიც 9:7 მოიგო. მეორე სეტიც პირველის მსგავსი იყო, თუმცა პოლონელმა არ გაიმეორა წინა პარტიის შეცდომები და თავიდან აიცილა მეორე ტაი-ბრეიკის თამაში - 7:6(7), 6:4. სერენასთან ასეთი არასტაბილური თამაშით წარმატების შანსები მცირე იქნება.

**China Open**

**1/4 ფინალი**

**ელენა იანკოვიჩი (სერ,8)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 6:7, 6:4, 6:4; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 9)**-ნა ლი (ჩინ, 4) 4:6, 6:2, 6:4; **სერენა უილიამსი (აშშ,1)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 6) 6:1, 6:4; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 3)**-ანჟელიკ კერბერი (გერ, 7) 7:6(7), 6:4.

ამბები



ნოვაკი და ენდი

# როგორ იჩხუბეს ენდიმ და ნოვაკმა

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ენდი როდიკმა** ჟურნალისტებს მოუყვა კონფლიქტური სიტუაციის შესახებ **ნოვაკ ჯოკოვიჩთან**, რომელიც 2008 წელს მოხდა და რომელიც კინაღამ ჩხუბით დასრულდა.

როდიკი ამ დღეებში ამერიკის ერთ-ერთი არხის სტუმარი იყო. საუბრის დროს, ამერიკელმა აღიარა, რომ აშშ-ის ღია პირველობის დროს იჩხუბა „ერთ ჩოგბურთელთან", რომლის სახელი დაახლოებით ასე ჟღერს: „შმოვაკ შმოკოვიჩი".

*„მე თითქოს მისი პროვოცირება მოვახდინე საკუთარი სიტყვებით და მან პასუხის გაცემა გადაწყვიტა. ის მომიახლოვდა და შუბლი შუბლზე მომადო. მეც არ ჩამოვრჩი, თუმცა ამის შემდეგ მივხვდი, რომ მისი მწვრთნელი მეტად სოლიდური კომპლექციის იყო. გავაანალიზე, რა შეიძლებოდა მომხდარიყო და უკან დავიხიე"*, - მოჰყავს როდიკის სიტყვები USG Today-ს.

როგორც ირკვევა, კონფლიქტი ჩოგბურთელებს შორის მაშინ მოხდა, როცა ამერიკელმა სერბზე მიანიშნა, რომ ჯოკოვიჩი მუდმივად წუწუნებს მსაჯების, ჯანმრთელობის და მაყურებლების გამო.

მოგვიანებით, როდიკმა თავის „ტვიტერზე" დაწერა, რომ მასსა და ჯოკოვიჩს შორის მტრობა არ არის.

# ყველა წყვილი ცნობილია

გაირკვა წყვილებს შორის WTA-ის წლის შემაჯამებელი ტურნირის ყველა მონაწილე. ჩემპიონატი ოქტომბრის ბოლოს თურქეთის ქალაქ სტამბოლში გაიმართება.

უფრო ადრე, ამ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს წყვილების რეიტინგის ლიდერებმა - იტალიელებმა **სარა ერანიმ** და **რობერტა ვინჩის**. ახლა კი მათ სამი დუეტი შეუერთდა: **ნადია პეტროვა-კატარინა სრებოტნიკი** (რუსეთი-სლოვენია), **ეკატერინა მაკაროვა-ელენა ვესნინა** (ორივე - რუსეთი) და **სე შუვეი-პენ შუაი** (ტაივანი-ჩინეთი), - იტყობინება WTA-ის ოფიციალური ვებგვერდი.

წყვილთა თანრიგის წილისყრის ცერემონია 24 ოქტომბერს გაიმართება, ორი დღის შემდეგ კი შედგება ნახევარფინალი მატჩები. ტურნირის გამარჯვებული 27 ოქტომბერს გამოვლინდება.

შეგახსენებთ, რომ 2012 წელს, შემაჯამებელი ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ რუსები - ნადია პეტროვა და **მარია კირილენკო**.

სტამბოლის ტურნირის საპრიზო ფონდი 6 მილიონ დოლარს შეადგენს.



მაკაროვა და ვესნინა

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-ტამპა ბეი 3:1**

1:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 კელი-1 (ბულიტი), 1:1 ფილპულა-1 (ბრიუერი-1, კილორნი-1), 2:1 ლუჩიჩი-1 (კრეიჩი-1), 3:1 პ. ბერჟერონი-1.

**პიტსბურგი-ნიუ ჯერსი 3:0**

2:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 კობესიუ-1 (ბ. სატერი-1, ბენეტი-1), 2:0 კროსბი-1 (დუპუი-1, ნისკანენი-1), 3:0 ადამსი-1 (მალკინი-1, გლასი-1).

**ვაშინგტონი-კალგარი 5:4 (ბ)**

0:3, 3:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 დ. ჯონსი-1 (მონეჰანი-1), 0:2 სტემპნიაკი-1 (ჯორდანო-1, ბეკლუნდი-1), 0:3 ჰუდლერი-1 (ბროდი-1, ჯორდანო-2), 1:3 კერიკი-1 (იოჰანსონი-1, ელზნერი-1), 1:4 ბუმა-1 (მაკგრეტანი-1, სტრიტი-1), 2:4 ოვეჩკინი-2 (მაიკ გრინი-3, იოჰანსონი-2), 3:4 ოვეჩკინი-3 (იოჰანსონი-3, ბექსტრიომი-3), 4:4 ბექსტრიომი-1 (გრაბოვსკი-2, ოვეჩკინი-2).

**ბულიტები გაიტანეს:** *გრაბოვსკი (ვაშინგტონი), ოვეჩკინი (ვაშინგტონი).*

**სტ ლუისი-ნეშვილი 4:2**

3:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ბეკსი-1 (პიატრანჯელო-1, ბერგლუნდი-1), 2:0 საბოტკა-1 (ბოუმისტერი-1, პიეტრანჯელო-2), 3:0 ოში-1 (სტინი-1, ბეკსი-1), 3:1 ფიშერი-1 (სპალინგი-1, ნისტრიომი-1), 3:2 ლეგუანდი-1 (ჰორნკვისტი-1), 4:2 სტინი-1 (როი-1, შატენკირკი-1).

**მინესოტა-ლოს ანჯელესი 2:3 (ბ)**

2:1, 0:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 კუკი-1 (ბროძიაკი-1, გრანლუნდი-1), 1:1 დაუტი-1 (ვოინოვი-1, კოპიტარი-1), 2:1 ბროდინი-1 (ნიდერაიტერი-1), 2:2 ჯ. კარტერი-1 (ფრატინი-1, რეგერი-1).

**ბულიტები გაიტანეს:** კოპიტარი (ლოს ანჯელესი), ჯ. კარტერი (ლოს ანჯელესი).

**დალასი-ფლორიდა 2:4**

0:1, 1:0, 1:3

**გოლები:** 0:1 გომესი-1 (აპშოლი-1, ბ. კემპბელი-1), 1:1 კიასონი-1 (რეი უიტნი-1, დილონი-1), 2:1 დილონი-1 (ფიდლერი-1, რუსელი-1), 2:2 ბარკოვი-1 (გილბერტი-1, იუბერდო-1), 2:3 გოკი-1 (ფლიშმანი-1, ბ. კემპბელი-2), 2:4 გოკი-2.

**ფინიქსი-რეინჯერსი 4:1**

1:0, 1:1, 2:0

**გოლები:** 1:0 ჩიპჩურა-1 (კლინხამერი-1, ეკმანლარსონი-1), 1:1 მ. სტაალი-1 (ნეში-1, სტეპანი-1), 2:1 ვრბატა-1 (ჰანჟალი-1, მორისი-1), 3:1 ვრბატა-2 (იენდლი-1, ვერმეტი-1), 4:1 ვრბატა-3 (ჰანჟალი-2).

**სან ხოსე-ვანკუვერი 4:1**

0:1, 2:0, 2:0

**გოლები:** 0:1 გარისონი-1 (დ. სედინი-1, ჰ. სედინი-1), 1:1 ბერნსი-1 (ჰერტლი-1, ჯ. ტორნტონი-1), 2:1 ჯ. ბრაუნი-1 (ვლასიჩი-1, კუტური-1), 3:1 მარლო-1 (კუტური-2), 4:1 უინგელსი-1 (დეჟარდენი-1).

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფორმულა 1



ლუის ჰემილტონი

# ჰემილტონმა დუბლი დაიწყო

გუშინ ორი თავისუფალი პრაქტიკით გაიხსნა კორეის გრანპრი. პირველმა სესიამ კარგ მეტეოროლოგიურ პირობებში ჩაიარა, თუმცა სეზონის განმავლობაში კორეის ტრასას იშვიათად იყენებენ, ამიტომაც, დილით ტრეკზე მოცურების საშიშროება იყო.

სწორედ ამ მიზეზით შეემთხვა ავარია **როდოლფო გონსალესს**, რომელიც „მარუსიაში" **ჟიულ ბიანკის** ცვლიდა. ის პირველივე წუთებიდან აგრესიულად მართავდა მანქანას, მე-13 მოსახვევიდან გამოსვლისას მოცურდა და კედელს შეეჯახა. შედეგად, ბოლიდმა წინა მხარე დაკარგა, თუმცა როდოლფომ შეძლო ბოქსებში დაბრუნება და მოგვიანებით, სესიის გაგრძელება.

ვერ გადაურჩა შეცდომებს მეორე ახალგაზრდა პილოტი **ჟეიმს კალადო**, რომელიც **პოლ დი რესტას** ნაცვლად მიუჯდა „ფორს ინდიას" ბოლიდის საჭეს, თუმცა მან ავარია აიცილა თავიდან. შეცდომებს უშვებდნენ უფრო გამოცდილი პილოტები, მაგალითად, **ლუის ჰემილტონი** სახიფათოდ მოცურდა მე-10 მოსახვევში, **პასტორ მალდონადო** - მეთორმეტეში. ასევე არ იყვნენ უნაკლონი **კიმი რაიკონენი, რომენ გროსჟანი, მარკ უებერი** და სხვები...

**ფელიპე მასა** პირველი წრის შემდეგ იძულებული იყო ბოქსებში დაბრუნებულიყო - ინჟინრებმა ბრაზილიელის მანქანაზე ტექნიკური პრობლემები აღმოაჩინეს. შედეგად, ფელიპემ სესიის დიდი ნაწილი გამოტოვა და ტრასაზე მხოლოდ ბოლო 15 წუთს დაბრუნდა.

საუკეთესო წრეებს ცვლიდნენ ერთმანეთში „მერსედესის" პილოტები, რომლებთან ბრძოლასაც ცდილობდნენ უებერი და **სებასტიან ფეტელი. ჯენსონ ბატონი** დიდი ხანი სტაბილური სიჩქარით მოძრაობდა, მაგრამ, როგორც კი შეტევის უფლება მისცეს, „მაკლარენის" პილოტმა „ფერარისა" და „ლოტუსის" წევრები უკან ჩამოიტოვა და პირველ ხუთეულში შევიდა.

სესიის ბოლო წამებზე რაიკონენი ტრასიდან გადავარდა და სერიოზულად დაამტვრია მანქანა. პილოტი არ დაზარალებულა.

საუკეთესო დრო ჰემილტონმა აჩვენა, ხოლო მასთან წამზე ნაკლები წააგო ექვსმა პილოტმა.

■ ■ ■

მეორე სესიისთვის ტრასაზე რეზინის კვალი იყო დარჩენილი და შესაბამისად, შეცდომებიც ნაკლები ვიხილეთ, ვიდრე დილით. ამჯერად ავარიები არ ყოფილა, თუმცა ერთხელ ტრასის მიღმა აღმოჩნდა ფერნანდო ალონსო, მაგრამ არც მანქანა დაზარალებულა და არც პილოტი.

გუნდები ტრადიციული პროგრამით მუშაობდნენ, ადარებდნენ საბურავების ორ შემადგენლობას საწვავის სხვადასხვა რაოდენობას წრეების მოკლე და გრძელი სერიებისას.

ისევე როგორც პირველ სესიაში, ამჯერადაც ოქმს სათავეში ჩაუდგა ლუის ჰემილტონი.

## კრივი

# კლიჩკო უფრო მძიმეა

გუშინ, მოსკოვში გაიმართა უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკოსა** და რუსი **ალექსანდრ პოვეტკინის** ბრძოლისწინა აწონვის ცერემონია. გაირკვა, რომ კლიჩკო მეტოქეზე შვიდი კილოგრამით მძიმეა. უკრაინელის წონა 109.6 კილოგრამია, პოვეტკინისა - 102.4.

კლიჩკოსა და პოვეტკინის ბრძოლა დღეს, მოსკოვის სპორტკომპლექს „ოლიმპიისკში" უნდა გაიმართოს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



კლიჩკო და პოვეტკინი

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| შეფილდი-ქროული | 1:1 |
| **II ლიგა** | |
| აკრინგტონი-დაგენჰემი | 1:2 |
| **FA Trophy** | |
| ჰორშემი-ჩიპსტიდი | 4:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| პადოვა-ვარეზე | 3:2 |
| **ესპანეთი** | |
| ვილიარეალი-გრანადა | 3:0 |
| მალაგა-ოსასუნა | 0:1 |
| **გერმანია** | |
| ჰანოვერი-ჰერტა | 1:1 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| არმინია-კაიზერი | 0:3 |
| სტ. პაული-პადერბორნი | 1:2 |
| უნიონი-ზანდჰაუზენი | 3:0 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ჰანზა-ზაარბრიუკენი | 0:0 |
| შტუტგარტი A-კილი | 1:1 |
| **რეგიონალლიგა (ბაიერნი)** | |
| ჰაიმშტეტენი-ბამბერგი | 1:1 |
| მემინგენი-ბაიერნი II | 0:4 |
| **რეგიონალლიგა (ჩ-ა)** | |
| ბაბელსბერგი-ნოიშტრელიტცი | 1:2 |
| ცვიკაუ-უნიონი II | 5:3 |
| **რეგიონალლიგა (ს-დ)** | |
| ტრირი-ზონენჰოფი | 1:1 |
| **საფრანგეთი** | |
| ბასტია-ლორიანი | 4:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ოსერი-ლავალი | 2:0 |
| კლერმონი-ისტრი | 2:0 |
| ჰავრი-დიჟონი | 0:0 |
| მეცი-შატორუ | 1:0 |
| ნიმი-კაენი | შეწყდა |
| ნიორი-ნანსი | 2:2 |
| ტური-ბრესტი | 1:1 |
| ტრუა-კა ბასტია | 6:1 |
| **ნასიონალი** | |
| პონ დუ გარი-კარკეფუ | შეწყდა |
| ფრეჟუსი-ამიენი | 1:0 |
| დუნკერკი-ბურჟი | 0:1 |
| ლე პუარი-გფკო აიაჩო | 0:1 |
| პარიზი-ლუკონი | 0:1 |
| რედ სტარი-კოლმარი | 0:1 |
| კოლომიერი-ორლეანი | 0:1 |
| სტრასბური-ლუზენაკი | 2:1 |
| ვანი-ბულონი | 2:0 |
| **ჰოლანდია** | |
| კამბური-ტვენტე | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ალმერი-ვენლო | 2:2 |
| ეინდჰოვენი-დენ ბოში | 3:2 |
| დორდრეჰტი-ტელსტარი | 4:3 |
| ფორტუნა-მაასტრიხტი | 0:1 |
| ვოლენდამი-ოსი | 3:1 |
| **პორტუგალია** | |
| აკადემიკა-რიუ ავე | 0:1 |
| **ნორვეგია** | |
| ბრანი-ჰაუგესუნდი | 0:1 |
| **შვედეთი** | |
| მიალბიუ-აიკ | 2:3 |
| **II დივიზიონი** | |
| დეგერფორსი-ვარნამო | 2:2 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ავსტრია (ლ)-სტ. პოლტენი | 1:1 |
| კაპფენბერგი-ალტახი | 3:0 |
| ჰორნი-ჰარტბერგი | 1:2 |
| ვენა-მატერსბურგი | 3:1 |
| პარნდორფი-ლიფერინგი | 0:0 |
| **თურქეთი** | |
| ქარაბუქი-ბურსა | 0:1 |
| **ირლანდია** | |
| დერი-შელბურნი | 3:1 |
| უნივერსიტი-სტ. პატსი | 1:3 |
| **II დივიზიონი** | |
| მერვუ-კოუ რამბლერსი | 2:0 |
| უოტერფორდი-სოლტჰილი | 5:0 |
| ფინ ჰარპსი-ეთლონი | 3:2 |
| **უელსი** | |
| ბანგორი-ეზერისტვიტი | 3:1 |
| **ჩეხეთის თასი** | |
| ბოლესლავი-სლოვაცკო | 1:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| შენიცა-სლოვანი | 0:2 |
| **რუსეთი** | |
| ვოლგა-ამკარი | 0:2 |
| **უკრაინა** | |
| ტავრია-ვორსკლა | 0:1 |
| **პოლონეთი** | |
| ზავიშა-კორონა | 0:1 |
| შლიონსკი-ზაგლები | 2:0 |
| **ხორვატია** | |
| სლავენი-ლოკომოტივა | 3:2 |
| **უნგრეთი** | |
| დებრეცენი-პაკსი | 2:2 |
| **რუმინეთი** | |
| ბრაშოვი-ვიიტორული | 4:0 |
| ტიმიშოარა-კორონა | 0:0 |
| **ბულგარეთი** | |
| ლევსკი-ლოკომოტივი (ს) | 0:0 |
| **ლატვია** | |
| მეტალურგსი-იეგლავა | 0:0 |
| **ჩრ. ირლანდია** | |
| ბალინამალარდი-ბალიმენა | 1:0 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ლიეტუვოსი-ოსტენდე | 75:66 |
| **საფრანგეთი** | |
| პარიზი-ლე მანი | 62:85 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| დინამო (მნ)-ავანგარდი | 4:3 |

### ხელბურთი

| | |
|---|---|
| **ავსტრია** | |
| ზნოიმო-ოლიმპია | 5:2 |
| ფეჰერვარი-დორნბირნი | 2:4 |
| ინსბრუკი-გრაცი | 4:3 (ბ) |
| კლაგენფიურტი-ბოლცანო | 3:2 (ბ) |
| ლინცი-ვილახი | 7:0 |
| **გერმანია** | |
| აუგსბურგი-მიუნხენი | 2:5 |
| ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 6:4 |
| დიუსელდორფი-ნიურნბერგი | 1:5 |
| ინგოლშტადტი-მანჰაიმი | 1:4 |
| იზერლონი-სტრაუბინგი | 2:6 |
| კრეფელდი-კიოლნი | 1:3 |
| შვენინგერი-აისბარენი | 2:3 (ბ) |
| **დანია** | |
| ესბერგი-რუნგსტედი | 7:3 |
| ოდენსე-ჰერლევი | 2:0 |
| სონდერიისკი-როდოვრე | 8:5 |
| ჰერნინგი-ოლბორგი | 3:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-ბისტრიცა | 1:4 |
| სკალიცა-კოშიცე | 2:1 |
| ზვოლენი-პოპრადი | 3:2 |
| ტრენჩინი-მარტინი | 3:2 (ბ) |
| პიეშტანი-ნიტრა | 3:2 (ბ) |
| **ფინეთი** | |
| ილვესი-ჰიფკ | 2:1 (ბ) |
| პელიკანსი-ჰპკ | 3:1 |
| იუვიასკიულა-ლუკო | 1:2 |
| საიპა-იოკერიტი | 3:2 (ბ) |
| ესეტი-ტპს | 3:2 (ბ) |
| **ჩეხეთი** | |
| ხომუტოვი-ზლინი | 4:5 (ბ) |
| კარლოვი ვარი-ლიტვინოვი | 3:1 |
| კლადნო-ტრშინეცი | 4:5 |
| პარდუბიცე-ლიბერეცი | 6:4 |
| სლავია-პლზენი | 0:2 |
| ბრნო-სპარტა | 2:1 |
| **შვეიცარია** | |
| ბილი-ამბრი პიოტა | 4:3 (ბ) |
| კლოტენი-ლუგანო | 1:4 |
| რაპერსვილი-ბერნი | 2:4 |
| ცუგი-სერვეტი | 1:2 |
| ციურიხი-ლოზანა | 3:1 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ლულეა | 2:6 |
| ფერიესტადი-ვექსიო | 1:3 |
| შელეფტეო-ლეკსანდი | 2:1 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. პეკინი** | |
| ფონინი-**ნადალი** | 6:2, 4:6, 1:6 |
| ისნერი-**ბერდიხი** | 5:7, 2:6 |
| ფერერი-**გასკე** | 3:6, 4:6 |
| **ჯოკოვიჩი**-კუერი | 6:1, 6:2 |
| **ATP. ტოკიო** | |
| ნიემინენი-**დოდიგი** | 2:6, 6:7 |
| ლაჩკო-**რაონიჩი** | 3:6, 3:6 |
| **ნიშიკორი**-ალმაგრო | 6:7, 7:5, 3:6 |
| **დელ პოტრო**-დოლგოპოლოვი | 4:6, 6:4, 6:2 |
| **WTA. პეკინი** | |
| **იანკოვიჩი**-საფაროვა | 6:7, 6:4, 6:4 |
| **კვიტოვა**-ნა ლი | 4:6, 6:2, 6:4 |
| **ს. უილიამსი**-ვოზნიაცკი | 6:1, 6:4 |
| **ა. რადვანსკა**-კერბერი | 7:6, 6:4 |

## TV პროგრამა

### 5 ოქტომბერი. შაბათი

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტური. ჰანოვერი-ჰერტა.
**12:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. VIII ტურის მიმოხილვა.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
**15:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**16:00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
**17:30** გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტური. ბორუსია (მ)-დორტმუნდი (LIVE).
**19:30** პორტუგალიის ჩემპიონატი. VI ტურის მიმოხილვა.
**20:30** გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტური. ლევერკუზენი-ბაიერნი (LIVE).
**22:30** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**23:15** პორტუგალიის ჩემპიონატი. VII ტური. სპორტინგი-სეტუბალი (LIVE).
**01:15** გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტური. შალკე-აუგსბურგი.

#### GMG-სპორტი 1

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ტოკიო. იაპონია.
**15:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**16:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ედინბურგი-სარასენი.
**17:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტური. შალკე-აუგსბურგი (LIVE).
**19:30** ძიუდო. გრან პრი. ტაშკენტი. უზბეკეთი.
**22:00** NBA ACTION
**23:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩემპიონის გზა. მაიამი-ოკლაჰომა.

#### GMG-სპორტი 2

**10:00** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**10:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2ფინალი. პეკინი. ჩინეთი.
**12:30** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**13:10** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტოკიო. იაპონია.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
**18:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტოკიო. იაპონია.
**20:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2ფინალი. პეკინი. ჩინეთი.

### 6 ოქტომბერი. კვირა

#### II არხი

**15:00** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. **სიონი-დინამო (თბ)** (LIVE).

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. VII ტური. სპორტინგი-სეტუბალი.
**12:00** არგენტინის ჩემპიონატი. IX ტურის მიმოხილვა.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**14:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. IX ტური. აიაქსი უტრეხტი (LIVE).
**16:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. IX ტური. ვიტესი-ფეიენოორდი (LIVE).
**18:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. IX ტური. ეინდჰოვენი-ვაალვაიკი (LIVE).
**20:30** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**21:15** პორტუგალიის ჩემპიონატი. VII ტური. არუკა-პორტო (LIVE).
**23:15** პორტუგალიის ჩემპიონატი. VII ტური. ეშტორილი-ბენფიკა (LIVE).
**01:15** არგენტინის ჩემპიონატი. X ტური. რივერ პლეიტი-ბოკა ხუნიორსი (LIVE).

#### GMG-სპორტი 1

**09:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ტოკიო. იაპონია (LIVE).
**12:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩემპიონის გზა. ინდიანა-მაიამი.
**14:30** პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**16:00** ძიუდო. გრან პრი. ტაშკენტი. უზბეკეთი (LIVE).
**18:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**19:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტური. ფრაიბურგი-აინტრახტი (LIVE).
**21:20** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ლენსტერი-ექსეტერი.
**23:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. X ტური. ხიმნასია-ველეს სარსფილდი (LIVE).
**01:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩემპიონის გზა. ლეიკერსი-მაიამი.

#### GMG-სპორტი 2

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2ფინალი. პეკინი. ჩინეთი.
**12:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ტოკიო. იაპონია.
**18:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შანხაი. ჩინეთი.

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 9 | 16 | (მზე) |
| ქუთაისი | 9 | 14 | (წვიმა) |
| ბათუმი | 9 | 15 | (წვიმა) |
| ფოთი | 8 | 15 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 8 | 13 | (წვიმა) |
| გორი | 7 | 14 | (წვიმა) |
| თელავი | 9 | 15 | (მზე) |
| სიღნაღი | 8 | 15 | (მზე) |
| ბაკურიანი | -1 | 8 | (მზე) |
| ბორჯომი | 5 | 11 | (მზე) |
| მესტია | 0 | 2 | (თოვლი) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2590 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6620 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6677 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1775 |

კალათბურთი

## დურანტის ხუთეული

„ოკლაჰომა-სიტის“ მსუბუქმა ფორვარდმა **კევინ დურანტმა** ყველა დროის სიმბოლური ნაკრების მისეული ვერსია დაასახელა.

*„ჩემი საყვარელი გამთამაშებელია მეჯიქ ჯონსონი. მეორე ნომრის პოზიციას მაიკლ ჯორდანს მივცემდი, მესამეს – ლარი ბერდს, მძიმე ფორვარდად ავიყვანდი ჰაკიმ ოლაჟუონს, ხოლო ცენტრის პოზიცია ერგებოდა შაკილ ო'ნილს. არგუმენტებს ნუ მომთხოვთ“*, - ჩამოთვალა დურანტმა.

მაგრამ დურანტმა მაინც ახსნა ოლაჟუონის არჩევანი, რადგან მთელი კარიერა „ოცნება“ ცენტრის პოზიციაზე მოქმედებდა. *„ყველას, ვისაც ოლაჟუონის თამაში უნახავს, გაიგებს ჩემს არჩევანს. მას ძალიან ძლიერი და სწრაფი ფეხები ჰქონდა. ის გაუმკლავდებოდა ყველას, თუნდაც ყველაზე სწრაფ ფორვარდებს“*.

დურანტს ჰკითხეს – ვინ არის MVP ამ გუნდში? მან უპასუხა: *„რა თქმა უნდა, მაიკლ ჯორდანი. საუკეთესო მოთამაშე, ვინც ოდესმე შეხებია მოედანს“*.

## ლებრონი კარგად იყიდება

„მაიამი ჰიტის“ ლიდერის **ლებრონ ჯეიმსის** სათამაშო მაისურები ყველაზე გაყიდვადია მთელ მსოფლიოში, - იტყობინება სააგენტო AP. ლიგის ოთხგზის MVP-ის მაისური კვლავაც ლიდერობს სეზონის შედეგების მიხედვით კომპანია „ადიდასის“ გაყიდვებში. ჯეიმსმა ამ სიაში გაუსწრო **დერიკ როუზს** („ჩიკაგო“), **კობი ბრაიანტს** („ლეიკერსი“), **კევინ დურანტს** („ოკლაჰომა“) და **დუეინ უეიდს** („მაიამი“). შემდეგ მოდიან **კარმელო ენტონი** („ნიუ იორკი“), **დუაიტ ჰოვარდი** („ჰიუსტონი“), **დერონ უილიამსი** („ბრუკლინი“), **ბლეიკ გრიფინი** („კლიპერსი“), და **რაჟონ რონდო** („ბოსტონი“).

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპაში, ჩინეთსა და ლათინურ ამერიკაში მაისურების გაყიდვების რაოდენობით ჯეიმსს გაუსწრო 2010-11 წლების სეზონის MVP-მ **დერიკ როუზმა**, რომელმაც გასული სეზონი ტრავმის გამო გამოტოვა.

## თვალახვეული უფრო ადვილია

**დუაიტ ჰოვარდმა** დაამარცხა **ჯეიმს ჰარდენი** - ასეთი ინფორმაცია გაავრცელა ამერიკულმა პრესამ. ოღონდ ეს კალათბურთელები არა ერთი ერთზე თამაშში, არამედ საჯარიმოების სროლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. შეჯიბრების წინ, „ჰიუსტონის“ მოთამაშეებმა ორი პირობა წამოაყენეს. პირველი - თითოეული შეასრულებდა 10 ტყორცნას საჯარიმოს ხაზიდან. მეორე - სროლისას მათ თვალები უნდა ჰქონოდათ ახვეული. ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ ჰოვარდმა ათიდან რვა სროლა მოათავსა კალათში!

*„იქნებ, მატჩების დროსაც დავხუჭო თვალები? პროცენტი კარგი იქნება“*, - ლოგიკური კითხვა დასვა ჰოვარდმა, რომელმაც დაამატა, რომ ძალიან უნდა რეგულარული ჩემპიონატის დროს, საშუალოდ, ოთხიდან სამი საჯარიმო ჩააგდოს.

## უესტის ჩინეთში წავიდა

მცველმა **დელონტე უესტმა** ვერ იპოვა სამუშაო ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში და გააკეთა ის, რასაც NBA-ის ყოფილი მოთამაშეები აკეთებენ, კერძოდ, გადავიდა ჩინეთის ჩემპიონატში სათამაშოდ.

ეს სავსებით ლოგიკური სვლაა, რადგან უესტი კარგ ხელფასს მიიღებს და თუ სტატისტიკაც კარგი ექნება, შესაძლოა, ამავე სეზონში დაბრუნდეს NBA-ში. ჩინეთში სეზონი თებერვალში სრულდება და ვინ იცის, იქნებ ასოციაციაში ტიტულის რომელიმე მაძიებელს დასჭირდეს უნივერსალური მცველი კარგი შორეული ტყორცნით.

## კობი ისევ სამკურნალოა

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** დატოვა ამერიკის შეერთებული შტატები სამედიცინო პროცედურის გასავლელად, თუმცა ეს არ უკავშირდება აქილევსის მყესის ტრავმას, რის გამოც კალათბურთელი დიდი ხანია მოედანზე არ გასულა.

კალიფორნიული კლუბი არ ავრცელებს ინფორმაციას პროცედურის სპეციფიკის შესახებ და არც იმას იტყობინებიან, რომელ ქვეყანაში გაემგზავრა ბრაიანტი. კობი თავის თანაგუნდელებს მომავალ კვირას შეუერთდება.

## პირველი ვარჯიში ოთხი წლის შემდეგ

„მაიამი ჰიტი“ ახალმა ცენტრმა **გრეგ ოდენმა** ბოლო ოთხი წლის განმავლობაში პირველად ჩაატარა პრაქტიკული მეცადინეობა. კალათბურთელმა გუნდის საწვრთნელ ბანაკში „ჰიტის“ ვარჯიშში მიიღო მონაწილეობა. შეგახსენებთ, რომ ოდენმა ბოლო მატჩი 2009 წლის 5 დეკემბერს ჩაატარა, როცა სერიოზული ტრავმა მიიღო და ამის გამო ოთხი წელი გამოტოვა.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ერიკ სპოელსტრამ** აღნიშნა, რომ „მაიამი“ არ იჩქარებს ოდენის თამაშებში დაბრუნებას.

*„ყველაფერი ნაბიჯ-ნაბიჯ მოხდება. ის, რომ გრეგი ჩვენთანაა – დიდი ბონუსია. ვნახავთ, როგორ იგრძნობს თავს და როგორ წარიმართება აღდგენა“*, - განაცხადა სპოელსტრამ.

# ფოტო-NEWS

## სახლი თუ ფეხბურთის მოედანი?

„ბარსელონასა“ და არგენტინის ნაკრების ლიდერის **ლეო მესის** ახალი სახლის ზედხედი საფეხბურთო მოედნის ფორმისა იქნება, რომლის ცენტრში „ბურთს“ განათავსებენ.

სახლის პროექტით დაკავებულია ჯგუფი ესპანელი არქიტექტორის **ლუის დე გარიდოს** ხელმძღვანელობით, რომლის დაპროექტებულია **ნაომი კემპბელისა** და სხვა ცნობილი ადამიანების სახლები.

მესის გარაჟი ერთდროულად შეასრულებს შესასვლელი კარის ფუნქციას და ის ძირითად საცხოვრებელთან ერთად წარმოქმნის „ათიანს“ - ნომერს, რომლითაც გამოდის თანამედროვე ფეხბურთის ლეგენდა.

გვერდი მოამზადა გია **თვალაბეიშვილმა**






დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
9 772233 382000

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:10. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გოტფრიდ ლენცი
მისამართი: **იოსებიძის, 49**. ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ტელ: 238 84 44 (შიდა ნომ. 413); 238 74 44; ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608